# ცისკარი.

## 1866

ფ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

## წელიწადი მეათე.

წოდება თხზულებათა:

I—აღსარება ქალის, მარიონ დელორმისა. (ნათ.) გრიგოლ რჩე-
ულოვისა.

II—ლექსები: 1, გლეხის ნაამბობი. ა. ლეონიძესი.—

III—ისტორიული მიმოხილვა. ივ. კერ.

IV—რედაქციისაგან.—რედ.

V—მართლმსაჯულება ამერიკაში. გ. რჩეულოვისა.

—ხსჳა და სხჳა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)

---

ტფილისი.

ქერესელიძის ტიპოგრაფიაში.

თბილისი

## ნაწილი მეორე.

იმ დროს, როცა მე ჲ ეტენი გარდავცვივდით ხიდიდგან ხენაში, ვიღაც კაცი მორბოდა წყლის პირსა....

ჩუჱნი ვენსენის ტყეში გარდასახლება არავისთვის გვეთქვა.ამისთვის ეტენის ოსტატი დანიელა ხშირად თურმე მოდიოდა ჩუჱნს სანახავად ძველს სახლში პარიჟში, ჲ ამაოდ ურახუნებდა კარებსა.

სორლენი თურმე იცნობდა დანიელსა ჲ ამის სამხატვრო სახლში დაიარებოდა. ერთხელ იმას ენახა ჩემი პორტრეტი ჲ გაშტერებულ იყო.

—მარიონი! შეჰყვირა მან.. განა შენ იცნობ ამ ქალსა?

მხატვარს გაოცებით შეეხედა იმისთვის ჲ ეთქვა..

—შენ შემცდარი ხარ; ეს პორტრეტი ჩემი შაგირდის ცოლისა არის.

—ეტენ ლამბერისა??.. ჰო, ჩუჱნ ვიცით დაწვრილებით ეგ ისტორია, უთხრა სორლენმა.. ეხლა სად არიან დამალულნი ჩუჱნი გვრიტები?—ერთი კვირაა არა ჩანან თავიანთ ძველს ყაფაზაში.—ნინონამაც არა იცისრა სად გაპარულან ჲ გაოცებულა; იმის გოგო ტერეზამ ყველა საიდუმლო იცის თავის ქალბატონისა, მაგრამ ეს საიდუმლო კი არც იმან იცის.—მარიონის მოტაცება ეგრე როგორ იქნება ეტენისაგან.—ეხლა ის ჩემთჳსაც ძალიან საჭიროა კარდინალის საქმისათჳს... გესმის, დანიელ? მე შენთჳს ჩამიბარებია ჩქარა იპოვნო მარიონი—უთუოთ უნდა იპოვნო!

—მარიონ დელორმი!... ეტენს სრულებით ეჭვი არა აქვს, რომ ის მარიონია, ჲ თუ რომ ის შეიტყობს როდისმე იმის სახელსა...

—რა იქნება?

—ეტენი ან იმას მოჰკლავს, ან თავის თავსა.—

—რას ამბობ?

—ჰსწორეს მოგახსენებ... მე ვიცნობ ეტენის ხასიათსა: იმას ტვინი ცაში და ღრუბელში დაურბის. იმას ეგონა, რო დაიპყრო უმანკო ქალის გული, და უნდა ცოლად შეერთო.—

—ნუ ხუმრობ!

—გარწმუნებ. თუ შეიტყო, რომ იმის სიყვარულის ანგელოზი მარიონია, ეტენი უთუოთ ჭკუაზედ შეცდება. მე მეშინიან ერთი რამ უბედურებისა.

—მაშ მარიონი უნდა ჩქარა გამოვგლიჯოთ კლდიდგან იმ უგუნურსა! ეს მეხამეთ მომდის კარდინალისაგან წიგნი ლაროშელიდგან. სიტყვა მომეცი დანიელ, რომ იმოვნი ჩუმად გვრიტებსა.

—მე ვეცდები რაც შემიძლიან!... ჩქარა უნდა მოვაშოროთ ისინი ერთმანერთსა. იმ დროიდგან მოვიდებული დანიელა ყოველ დღე მოდიოდა მგელს სახლში და მეზობლებსა ჰკითხავდა ჩუმად ამბავსა; ის მოვიდა იმ სადამოზედაც, როცა მე გამოვარდი გიჟივით ეტენის დასადევნელად. მეზობლებმა უთქვათ ჩუმად არეულობა, ჯერ ეტენის გამოქცევა, მერე ჩემი:

დანიელი მისვედრილიყო, ისიც მაშინვე დაგვდევნებოდა წყლის მხარესა. იმას დავვინახვეთ გაქცევაზედ იმ დროს, როცა ხიდის კიდეზედ ვიყავით შემდგარი ჩასაცვივნელად. იმას შეექმნა წივილ-კივილი და შევარდნილი იყო იქვე დუქანში. იქ თურმე გემის სალდათები ვახშამზედ ისხდნენ. ფულის დაპირებით გამოცვივდნენ ისინი, ახსნეს ნავები და დაგვიწყეს ძებნა იმ ადგილებში, სადაც დანიელს ვენახეთ ჩაცვივნილი.—წყლისძირში ეტენმა გამიშო კლდიდგან, ანუ ტალღამ წაგვერთვა, არ ვიცი; ერთს წამს მე ამომაგდო ისევა და დავინახე ცა, მაგრამ მაშინვე ისევ ჩამძირა. უგონებაში შემომესმოდა საშინელი შუილი; მე მეგონა, რომ ყინულის გრგოლი მიჭერია შუბლზედ, რომ მთა მაწევს გულზედ. მერმე მე დავჰკარგე ყოველი ცნობა და გრძნობა.

ღმერთო! რაღათ აანთე ჩემში ცეცხლი, რომელიც მზათ იყო გამქრალიყო? მაგრამ იქნება ესრეც შეუბრალებელი განჩინება შენის მართლმსაჯულებისა! გემის, სალდათებს მოეკრათ თვალი ჩემის ტანისამოსისათჳს მებაში. გრძელის ოშტაყვირზედ მობმულის კავებით

გამომათრიეს წყლიდგან ცოცხალ მკჳდარი. როცა გონებაზედ მომიყვანეს, პირველად თვალებში მეცა დამხვრჩვალი ეტიენის გვამი. მე მივარდი იმას, მოვეხვიე და კვალად წამივიდა გული. მე ესრე უგრძნობი მომიყვანეს შინა. მთელი ღამე გავატარე სიცხეში და ბოდვაში.

რაკი დანიელისაგან გაიგო ჩემი ამბავი, სორლენი მეორეს დღესვე მოვიდა ჩემთან და გარდამიყვანა მაშინვე ჩემს გაწყობილს სახლში. ჩემი მდგომარეობა საშიში იყო: ყმაწვილი მომწყდა და გავხდი საშინლად ავათ. არც ერთი დედაკაცი არ გადურჩებოდა ამდენს ნაღველსა. მეკი ყველას გაუძელ. ჰსჩანს ღმერთს უნდოდა ჩემი სიცოცხლე სხჳა და სხჳა ტანჯვისათჳს, სხჳა და სხჳა უბედურებისათჳს.—

ყოველი ჩემი მეგობარი, ვისაცკი ვიცნობდი, მოდიოდა ჩემს სანახავად; ნინონა დელანკლო ქვეშაგებიდგან არა მშორდებოდა. იმისმა ექიმმა გუი პატენმა ჴელი აიღო დანარჩენის ავათმყოფებისაგან, რომ მე არ მომშორებოდა და არ მოეკლო ჩემთჳს არა ვითარი მზრუნველობა.

სორლენმა მითხრა, როდესაც ცოტა მოვსულიერდი:—კარდინალმა დროებით გამოცვალა პოლიციაზედ მიცემული ბრძანება შენის დაჭერის გამო; ის სრულებით გაპატიებს, თუ აუსრულებ იმას ერთს სამსახურსა, რომელსაც მერმე გეტყვი. შენ უნდა მე მომსმინო, ჩემო ძვირფასო მარიონ: როცა გეშინიან მძვინვარე მხეცისა, მაშინ ერთი ღონისძიება რჩება მოერიდო იმის ბჭყალებსა; ყოველთჳს და ყველგან უნდა ჴელი უსო იმის ტყავსა.—

დოკტორი გუი ოხუნჯობდა, მეტადრე თავის მოძმებზედ ექიმებზედ: ექიმები, ჭირი და შიმშილი გაჩენილნი არიან ღჳთის რისხვის დროსაო ხალხის შესამოკლებლადაო.—ის იქნებოდა ოც და ათის წლისა, არ იყო ურიგოს სახისა, მხოლოდ ცოტა გრძელი ცხვირი ჰქონდა. მევედრებოდა უსმენდე იმის რჩევასა და მოწყრილობასა.

მე დავპირდი უსმენდე.

—მაშ მე გირჩევ მოგზაურობას ტურენში. მე, სორლენი და ნინონა გამოგყვებით.—ნინონას შარშან მოჰკვდომოდა ბებერი დედის ძმა და იმისაგან მიეღო სამკვიდრებელი ტურენში.

მე მოვრჩი თუ არა, ნინონას პირველად გაუკეთე ვიზიტი იმ ბაღში, სადაც დავიმალე კარდინალისაგან დევნილი. ბევრი რამ მოვიგონეთ ამ შემთხვევაში. მე სარკე მეუბნებოდა, რომ სილამაზის

ტახტი უნდა ნინონას დაეთმო. მართალიც იყო, ის მეტად მშუენი-ერი რამ იყო და თითქოს დროს არა ჰქონდა იმაზედ მოქმედება. ის იქნებოდა ოც და ორის წლისა და მე ოც და შვიდისა. ხუთი ექვსი წელიწადი მეც ჩემი თავი ოც და ორ წელიწადზედ მეტი არ ავწიე: ვგონებ წლოვანების დაკლება უმეტეს ნაწილს ქალებსა აქვსთ ჩვეუ-ლებათ.—სიცოცხლის საათის ისარს უკანა ვჰსწევთ ხოლმე, მაგრამ შეუბრალებელი დრო თავის კელით დაცინვით დაგვასომს ხოლმე სა-ხეზედ ჭეშმარიტს ბეჭედსა.—ჩუენ დავაწყეთ პირველად მივსულვი-ყავით, ორლეანში, იქიდგან ნინონას ციხეში და იქიდგანაც ტურენში. მაგრამ ნინონა მემუქრებოდა, თუ მწუხარებაზედ კელს არ აიღებო, მე შემოგწყრებიო. ექიმმა მითხრა, რომ მხოლოდ ახალს სიყვარულს შეუძლიან შენი სრულებით განთავისუფლებაო, და როგორც ჰსჩანდა, თავის თავი უნდა გაეხადნა წამლად.—სორლენსაც მოაგონდა ძველი ნები, მაგრამ ორივემ ცივი პასუხი მიიღეს ჩემგან.—

ჩუენ წავედით სამგზავროთ. ჯერ მე სორლენისათვის არცკი მე-კითხა, რა საქმე აქუს ჩემთან კარდინალსა, ან როგორა ჰფიქრობს სორლენი იმასთან შემარიგოს.—ნინონამ მიგვიღო თავის ციხეში დედოფლურის სიუხვით. ყველანი ცდილობდნენ ჩემს გამხიარულებას; სორლენმა მითხრა, რომ თუ ძველს გუნებაზედ არ მოხვალ და არ დაივიწყებ შენს მწუხარებასაო, კარდინალი ვერ მოგიხმარებს იმ პლა-ნის აღსასრულებლად, რომელიც გუნებაში აქვსო. ის მოთმინებისა-გან გამოდიოდა და ჰსწერდა სორლენსა ჩემს ჩქარა მიყვანას ლარო-შელში.—მე მივეცი სიტყვა მხიარულებისა.—

—მაშ მე დავემშურები და ვაცნობებ კარდინალსა, რომ შენ მზათა ხარ, მითხრა სორლენმა.

—რა სურს ჩემგან კარდინალსა?

—დამშვიდდით. ამ შემთხვევით ის მხოლოდ პოლიტიკაზედ და-გიწყებს ლაპარაკსა. გზაზედ ნინონა აგიხსნის ამ საგნის დაწვრილე-ბას. მშვიდობით, ნახვამდინ. სორლენი წავიდა. იმ დღეს სამჯერ მა-ტანჯიეს ექიმთან.—ეხლაც, როცა ვწერ ჩემს აღსარებას, ვწითლდები სირცხვილისაგან.—მეორეს დღეს ჩუენც წავედით, და ოც და ოთხ საათზედ მივედით ბინაზედ. გზაზედ ნინონამ გამომიცხადა, რა სამსახურსაც ელოდა ჩემგან კარდინალი პატივების სამაგიეროთ.

ჯერ ერთის საათის შესვენებულნი არ ვიყავით, როგორც მოვიდა

ჩუენთან სორლენი და გვთხოვა იმას გავყოლოდით: კარდინალი გველოდა ჩუენ კლდიანს ზღვის პირს, გემების სადგურის თავზედ.

იმას გაეხადა წითელი ფარაჯა და სამხედრო ტანისამოსში იყო მორთული, ხმლით და ბუმბულიანის ქუდით; ამაშიაც ისეთივე სასაცილო იყო, როგორც ატლასის საცმელში, რომლითაც უნდოდა დაემარცხებინა ჩემი გული.

როცა ავედით კლდეზედ, კარდინალმა მზაკვრით გადმომავლო თვალი, მითომ ვერ დამინახა და აგრძელებდა ლაპარაკს ორს კაცთან, რომელნიც ყოველ იმის სიტყვაზედ მოწიწებით თავს უკრავდნენ.—

ერთი იმათგანი იყო კაპიტანი ტოარი, უპირველესი დასხელოვნებული ცისეების ადებაში; მეორეს ეცვა ირლანდიის ტანისამოსი. ეს იყო გამხდარი, მაღალი და უსიამოვნოს სახისა, ჩაცვივნილს თვალებში გამობჟუტავდა რაღაც ბნელი ცეცხლი.

ლაპარაკში რიშელიემ უთხრა ამ კაცსა:

—მაშ შენა გგონია, უფალო ფელტონ, რომ არეულება და უბადრუკება ანგლიაში წარმოჰსდგება მინისტრის ცუდის გამგეობითა?

—მე მაგაზედ დარწმუნებული ვარ, და ჩემთან მთელი ანგლია.

—მაშ ანგლია დასაღუპავად ახლოვდება, ამიტომ, რომ ბუკინღემს დიდათა ჰწყალობს მეფე კარლი.. გარდასცდეთ თქუენი წასვლა ლონდონში; მე მინდა მოველაპარაკო ერთლად.

ფელტონმა თავი დაუკრა.

ჩუენ ორს ნაბიჯზედ ვიდექით იმათგან.

კარდინალმა ჯავრად შემომხედა მე და უთხრა სორლენსა, რომელმაც წარგვადგინა:

—რა ლამაზ ქალებთან დასეირნობ, უფალო?.. არ შეეშინდათ მაგათ, რომ დაიფუსაჭნონ ფეხები აქ ამოსვლითა?... მგონია მე შემცდარი არა ვარ, ეს მადმაზელ დელორმია, ჩემი დაუძინებელი მტერი... დიდხანსკი გვალოდინეთ თქუენი პასუხი, ჩემო მშუენიერებავ! უთუოთ შენ ელოდი, რომ მე დავიჩოქებ და შეგეხვეწები მიიღო ჩემგან მოტევება... შენი ქცევა ჩემს გამო სავსე იყო საძაგლობით, ბილწობით, უმადურობით.—წყენა და აშფოთება—აი რა იყო ჩემს ჯილდოდ იმდენის სიკეთისათვის!

—გევედრები მომისმინოთ!..

—გაჩუმდი! შენ ქცევას არა აქუს თავის მართლება და ამისთვის უფ-

რო მიკვირს, რომ ესრე ცოტა ხალისი გამოაცხადე ჩემის სურვილის აღსასრულებლად.

სორლენი გამომესარჩლა.

—მე მოგახსენეთ თქვენ, რომ ამ ქალის დაგვიანება წარმოსდგებოდა ავადმყოფობის გამო.

—მახსოვს, მახსოვს, რაღაც სამიჯნურო შემთხვევა, ეს მგონია მეასე... მადმუაზელ დელორმი დიდკაცებს უშვებს ვიღასაც მსატვრის გულისთვის, და იქიდგანაც უფრო მდაბალ ხალხში ჩამოვა თავის ღირსის საყვარლის ამოსარჩევად.—

ამ სიტყვების თქმაზედ ბრაზის ჟრუანტელმა დამიარა ტანში.

—მაგისთვისა გსურდათ ჩემი დაბარება, რომ ეგრე მარცხვინოთ და დამამდაბლოთ? შევჰყვირე მე: თქვენ შეგიძლიანთ, რამდენიც გინდათ, მდიოთ ჯავრის ამოსაყრელად, მაგრამ ნებას არ მოგცემ, რომ...

—გესმისთ, რა შეუპოვარია, ჰსთქვა კარდინალმა: ნებას არ მოგვცემს,... შენ რა ხარ, შენი ნება რა იყოს?.. განა შენ არ იცი, რომ ერთის შემოხედულებით. ერთის ნიშნით, სამუდამოდ ხმას გაგაკმენდინებ?

—მაგაზედ უარს არ ვიტყვი; მაგაში იქნება ღირსი და კეთილშობილური ხმარება თქვენის წოდებისა.

ნინონა შიშით ილეოდა. ის ჩუმათ მიჭერდა ხელსა, იმ ფიქრით, არ გამეჯავრებინა კარდინალი, მაგრამ მე მინდოდა მეჩვენებინა კარდინალისათვის, რომ თუ ის სიტყვა იყო, მე ქვა ვიყავ.—მაგრამ ჩქარავე დავატანე:

—გარწმუნებთ, თქვენო ყოვლად მაღალო უსამღვდელოესობავ, არ მესმის, რათა გვაქვს ჩვენ ეს ლაპარაკი. მე განშორებული მაქვს ფიქრი თავი ვიმართლო ჩემს უგვანო მოქმედებაში- მე გხლებივარ თქვენთან ან ბოდიშის მოსახდელად ჩემს დანაშაულში, ან დასჯის მისაღებად. ორივე თქვენს ხელშია.

—მეც გარწმუნებ, ლამაზო, მეტად მიამება ხოლმე, რომ მაგ ძნელის მდგომარეობიდგან, რომელშიაც ხშირად გაყენებსთ შენი ტუტუცობა და ქარიანობა, გამოძვრები ხოლმე ოსტატურად, და არც ჰკარგავ არც გამბედაობას არც ამპარტავნებას, მითხრა მცირედის ღიმილით კარდინალმა.—

ეს ღიმილი შერიგების ნიშანი იყო, და მიამა გულში.

—მაშ ეგრე., მიუბრუნდა ახლა ის კაპიტან ტუარასა, რა დაანახვა მას ანგლიის ხომალდები:, მაშ ეგრე ჰფიქრობთ, რომ ის შეჩვენებულნი ბუნტოვშჩიკები გამაგრებულნი იქნებიან, მასამ ბუკინღემი არ გაგვეცლება თავის გემებით?

—მაგაზედ დარწმუნებული ვარ, უპასუხა იმან: არ შეიძლება ქალაქის აღება, რომელსაც მაგოდენი ძალა შველის ზღვის მხრიდგან.

—კარგი; მაშ ჩვენ ჩამოვაცლით იქიდგან იმ ხომალდებსა, ჰსთქვა რიშელიემ:

—ჰმ; წაიბუტბუტა კაპიტანმა, რა ეჭვით გაიქნია თავი: ბუკინღემი დაჰხსნის ჩჳენს ხუხტს ზარბაზნეულობას.—

—მაგრამ ის გაიცინებს ერთს წყვილს ამისთანა მშვენიერს თვალებზედ, უთხრა კარდინალმა, რომელმაც მხიარულებით მტაცა მე ჴელი ნიკაპში და კაპიტნის პირდაპირ დამაყენა.

კაპიტანი გაოცებული მიცქეროდა.

—მე არ მესმის, დაიბუტბუტა იმან.

—როგორ? შეჰყვირა რიშელიემ: ნუთუ ქალი გამოსაცნობია? ოდესმე ამ ქალს ეჭირა ბუკინღემის გული ტყვედ. ექვსი თვე მეტია, რაც ის ჰსუნთქამს ამ ზღვის ნისლითა და არა ჰყავს იმას სხვა საზოგადოება, თავის გაუთლელის სალდათების გარდა; მე კი უმზადებ იმას თჳთ სასიამოვნო თაიგულსა. იმისი მშჳენიერი მარიონი დაეცემა იმას თავზედ თითქოს ზეციდგანა. და თუ რომ ამისი მეგობარიც მოინდომებს თან გაყოლას ამ მოგზაურობაში, განაგრძელა კარდინალმა, რომელმაც უცერემონიოთ დაუწყო ახლა მადმაზელ ნინონს ჴელის სმა ლოყაზედ, მაშინ მე დარწმუნებული ვარ ჩემის პლანის წარმართებაში.—რას იტყვით, მშჳენიერებო, თანახმა ხართ გარდუხადოთ ერთგული სამსახური მეფეს და მამულსა?

—თანახმანი ვართ, უპასუხა ნინონამ: ჩჳენი ზარბაზნების ცეცხლისა უფრო იმედი გქონდესთ, ვიდრე კაპიტნისა

—მე მაინც არა მესმისრა, წაიბუტბუტა კაპიტანმა.

—მე ყოველთჳს გეუბნებოდი, ჩემო საყვარელო, კაპიტანო, რომ შენ პოლიტიკაში სრული უმეცარი ხარ, უთხრა რიშელიემ: აი ეს ქალები ამ კლდიდგან ჩავლენ ზღვის ნაპირს, ჩასხდებიან მეთევზის ნავში, და დაუწყობენ ცურვას ბუკინღემის გემებისაკენ. კეთილშობილი მილორდი დაუყოვნებლივ მიიღებს ამათ გაშლილის მკლავებით, ამი-

ტო უფრო, რომ ესენი მოუყვებიან სხუა და სხუა ისტორიას, მითომ ესენი გამოქცეულან, მითომ ამათ ჩუჱნ ვჰდევნით დასაჭერად; ამ ისტორიებში შეუძლიანთ ამათ გადამაქციონ მე ცოფიან მხეცათ, პალახათ, ბარბაროსათ, ერთის სიტყვით, რაცკი მოაგონდებათ ამათ ანჩხლ ენას ჩემზედ ცუდი სახელები... ეხლა დანარჩენი შენ გამოიცან, კაპიტანო.—

—მე მრცხვენიან ჭეშმარიტად ჩემის მიუხვედრელობისა, მოახსენა კაპიტანმა.—

—შე საწყალო, შე საცოდავო! უთხრა კარდინალმა: გაიგონე: ეს ქალები გარდავლენ ანგლიის ხომალდებზედ; ესენი გულს აირევენ, დაიწყებენ მთქნარებას, მოწყენას, ლაპარაკშიაც მოიკლებენ მარილს, დაჰკარგვენ ალერსის ხალისსა. ბუკინღემი შეჰსწუხდება. ის ხომ უკანვე ველარ გამოგვიგზავნის აქა თავის მშუჱნიერს სტუმრებსა: ის დარწმუნებულია, რომ ამათ ჩემს კელში ელის ან საპყრობილე ან მონასტერი, მარიონი და ნინონა დაუწყებენ იმას ხვეწნას ანგლიაში წაიყვანოს თავისთან, და ჩუჱნ აქედგან დავინახამთ, როგორც გაიშლებიან იალქნები ანგლიის გემებისა და დაიმალებიან ნისლში... რას იტყვი კაპიტანო, ამ პლანის გამო?

—თქუჱნო ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობავ, მე გაოცებული ვარ, მე შერცხვენილი ვარ.

—ჰო, აკი გეუბნებოდი, რას ნიშნამს მაღალი პოლიტიკა.—მაშინ ზღვა განთავისუფლდებოდა, მე ავაგლეჯინებდი ამ კლდეებს, ჩავაყრევინებდი უზარმაზრ ტივებს და შეუკრამდი ნავთ სადგურში შემოსასვლელს გზასა. მაშინ, რა ამეებს მოვახდენდი, ლაროშელსაც ავიღებთ ადვილად, თითქმის უსისხლოდ.

—საოცარია! საოცარი! შეჰყვირა კაპიტანმა! აბა მაგასა ჰქვიან ნიჭი ზეციური!... რიშელიეს იამა ეს ქება, და რა მოგვიბრუნდა ჩუჱნ, გვითხრა:

—რას შვრებით, დედოფლებო? მზათა ხართ?

—მომეცით იმედი სრულს მოტევებაში, წმიდაო მამავ, მოვახსენე მე თავის დაკვრით და მე თავდებათ დაგიდგებით, ყოველი ისე შევასრულოთ, როგორც ბრძანეთ.

—მოტევებაში?.., ტუტუცო! ეხლანდელს ჩემს ჯავრობაში ხაშიში არა იყოსა. მე მინდოდა მხოლოდ გამეგო, ისევ ისე უშიშარი და

მოხერხებული ხარ თუ არა. მე ვნახე, რომ შენ მზათა ხარ მეც მებრძოლით, და ძალიან კმაყოფილი დავრჩი... მე ძალიან წაგაქეზე შენა, მარიონ; მაგრამ ბოროტად ნუ ხმარობ ჩემს მოთმინებას. როცა ბატკანი ებრძვის ლომსა, მხეცების მეფე დიდსულოვნათ ექცევა და ბრჭყალებს იმალამს, მაგრამ თუ გინდა დაიჯერო ჩემი რჩევა, ხშირად ნუ ელტვი ხოლმე მაგ გვარ სათამაშოსა.

— მართალს მიბძანებთ, წმიდაო მამავ, და მე მივჰყვები თქჳენს რჩევასა. მაგრამ ესეც უნდა მოგახსენო, რა ვნება მოგეცი მე თქვენა? მე მხოლოდ მინდოდა გამომეხსნა საწყალი დედაკაცი... ახ, მე მომაგონდა, რომ ერთი ნივთი უნდა მოგართოთ. მე მაშინვე ამოვიღე უბიდგან დედოფლის მედალიონი და მივართვი ასეთის შეხედულობით რომელმაც გააწითლა ისა.

— კარგი, კარგი, მარიონ! მე ყოველთვის კარგის ჯაზრისა ვიყავ შენზედ. მხოლოდ ცოტა დაცინვა და სიფიცხე რომ არა გქონდეს... მაგრამ ესენი ყველა მოსატევებელია. შეუდექით საქმეს, ჩემო პლანებო. გააბით ბუკინგემი თქჳენს გრძნეულს მახეში. როდესაც მიახწევთ ანგლიის კიდეს, ნუღარ დაემორჩილებით მეორეთ მოგზაურობაზედ ზღვაშივე, არ გამოუშვათ მახიდგან ლორდი, მანამდისინ ჩემი ტივები არ შეიკრას ზღვაში. მაგრამ თუ არ შეიძლება, ვერ შეიმაგრებთ იმას და თუ მიმიხჳდება ის ჩემს პლანებს, მოინდომებს აქეთ წამოსვლას უფრო დიდის ძალითა, მაცნობეთ ესა... ჩჳენ მაშინ სხჳა ნაირათ დავიჭერთ საქმეს, უფრო უკეთესად, დაუმატა კარდინალმა, რა შეხედა განსხვავებით ირლანდელსა. — კმარა, შეუდექით ჩქარა საქმესა, ჩემო მშჳენიერონ... თქჳენც მიშველეთ დაუბრუნოთ მეფეს მაგარი ციხე სახელმწიფოსი.

ამ სიტყვებთან, მხიარულად ნათქვამთან, რიშელიეს დაავიწყდა, რომ ის კარდინალია, მეფე ეკლესიისა, და მოგვეხვია მე და ნინონას ისეთის მხურვალებით, რომელმაც ექიმს გუის პირში წყალი მოჰგვარა.

ამისგამო ექიმმა რაღაც ლათინური რეცეპტი წაიბურტყუნა.—

ჩჳენ ჩამოველით წყლის პირსა, სადაც მოემზადებინათ ჩჳენს გასასტუმრებლათ უცხო ნავი. სორლენმა დაგვითვალა ოთხი ათასი პუთასი თუმნის ოქრო გზის ხარჯათ, მოგვეხვია ჩჳენ, მოისურვა ყოველი გამარჯვება ჩჳენი, ჩამოართო ექიმს ხელი და ჩააბარა იმას

ჩუენი თავი.

მე, ექიმი და ნინონა ჩავსხედით ნავში; საღამოს ნიავმა გაბერა იალქნები და ჩუენ გავფრინდით პირ და პირ ბუკინღემის ხომალდებისაკენ;—იქიდგან დაგვიშინეს ზარბაზნები. მაგრამ რა ცოტა მივასცილდით, მილორდმა მიცნა და მაშინვე უბრძანა ჩუენი მიღება. ის ძალიან მოხარული იყო, რომ ეწვია მას ორი ფრანცუჟანკა. ჩუენ უამბეთ იმას ჩუენი მწუხარება, რომელშიაც ჩაგვყარა მითომ კარდინალის ბოროტებამ, და იმისმა დევნამ გამოგვაქცია მითომ აქათკენ; ბუკინღემს ჯერ არ გამოჩნელებოდა რიშელიეს ჯავრი და შემოგვფიცა, რომ ის თქუენ თვალით ველარ დაგინახამსთო.—

დასაწყისითვე ბუკინღემმა გულითადი ყურადღება ნინონას უფრო მიაპყრო, ვიდრე მე. ამითი ცოტა დამშვიდდა ჩუენი ექიმი, რომელიც არ იყო, რომ ჩუმათ ოხრავდა ჩემთჳს.—

ბუკინღემმა უბრძანა ვახშმის მომზადება თავის ოთახში; აქ თავის ოფიცრებიც მოიწვია ზოგიერთნი, რომელნიც თავიანთის სიჩუმით ძილსა გვგვრიდნენ. ანგლიჩანინების ჭკუა და სიტყვები ისე არა ფეთქამდნენ, როგორც იმათი ზარბაზნების წამალი.

მეორეს დღეს ნინონამ წაისო მოყვითანო უმარილი, და გამოაცხადა, რომ გემის რყევა იმასა ჰკლავს.

მესამეს დღეს მეც გამოვაცხადე, რომ პირში ველარა ჩამიდგიარა, გული მერევა. თავბრუ მესხმის, ოთახები მეტად ვიწროები იყო, კუპრის სუნი გვახრჩობდა. ორი დღეც ამ გვარი ტანჯვა და ჩუენ სულები ამოგვძვრებოდა.

ბუკინღემი დაღონებული იყო, რა ესმოდა ჩუენი ჩივილი და წყევლა გემებისაც და ზღვისაც.

—აქ რასა სდგესართ მილორდო? შევჰყვირე მე: ექვსი თვეა, რაც დაგიმწყვდევია ამოდენა ჯარი ამ ზღვაში და ჯერ ერთი ბრძოლა არ გარდაგიხდია კარდინალთანა. რატო არ დაბრუნდებით ანგლიაში, არ შეჰკრებთ უმეტეს ძალასა და არ ამოიყრით კარდინალზედ ჯავრსა, რომელმაც დაგიმალა სიყვარული ანნა დედოფალთან.—ლაროშელი ისე გამაგრებულია, რომ თქუენს მოსვლამდინ იმას არაფრის შიში არა აქუს.

—მართლა! წამოიძახა ნინონამ: მილორდო, თქუენი მოგონება ჯერ არ გაცივებულა თქუენს გულში და მე დილას სიყვარულზედ მე-

ლაპარაკებოდით.

—არა, გარწმუნებ, ცის მნათობო... წაილუღლუღა გერცოღმა.

—მე რწმუნება არ მინდა; მინდა საქმით დამიმტკიცო, უთხრა ნინონამ: მე აქ ვჰკვდები, აქ ვიტანჯები კაეშნისაგან... მხოლოდ ხმელეთზედ შემიძლიან მივიღო თქუენი სიყვარული.. ამასთანავე, მე ესრე გულით მინდა ლონდონის ნახვა.

—კარგი, ჰსთქუა ბუკინღემმა: წავიდეთ.

როგორც წარმოჰსთქუა იმან ეს ბედნიერი სიტყუა, ჩუენ ორნივე მივსცვივდით და ვესვეოდით მილორდსა.

აი, ხან და ხან რაზედ არის დამოკიდებული პოლიტიკის წარმართება, და თითქმის სახელმწიფოს პირის შეცვლა!—

აიშალა გემებზედ აფრები. ორის დღის შემდეგ ჩუენ გადმოვედით ზღვის პირს ქალაქს პორტსმუტში. ბუკინღემმა აქ დაუტევა თავის გემები და წაგვიყვანა ლონდონს, სადაც—მოუმატებლივ და უკვეხნოდ ვამბობ—შევიქმენით დამამშვენებელნი სასახლისა.—

ანგლიჩანკებს არა აქუსთ ნაკლებულება სილამაზეში და მოტყუებაში, მაგრამ იმათ არ იციან მოხმარება თავიანთის სიტურფისა. იმათი მისვრა მოსვრა უხერხო და სულელურია; იმათ თვალებს არა აქუსთ მიზიდულება და სიბრწყინვალე. იმათ არ იციან თვალების თამაშობა, თვალებით ლაპარაკი, არ იციან ტურფა ღიმილი. ხოლო იმათი კაცები, ჩუენს დროს, უფრო ბევრს ლაპარაკობდნენ სარწმუნოებაზედ, ვიდრე სიყვარულზედ.—

ერთი იმათგანი, ოლივიე კრომველი, გამიტყდა სიყვარულში, შემოყო ფანჯარაში ბარათი, რომელიც სავსე იყო საღმრთო წერილის სიტყვებითა, და შემგზავსებით ჩემის სახისა სხუა და სხუა ძველს წმინდანებთან.—

ჩუენ მივიღეთ ცნობა რიშელიესაგან. ტივები უკვე მზათ არისო, მაგრამ მუშებისთჳს საჭიროა ერთი თვე იმათ დასასაგრებლადაო.

ეს ცნობა მოგვიტანა იმ ირლანდიელმა კაცმა ფელტონმა, რომელსაც რიშელიე ელაპარაკებოდა გორაზედ ჩუენი მისვლის დროს. მინისტრი გვწერდა გაცნობოთ ამას ჩუენი იმედი ანუ უიმედობა ბუკინღემის გამო.—ჩუენ ამას უთხარით ყოველივე მართალი. ბუკინღემი აპირებდა წასვლას ლაროშელში უფრო დიდის ძალით, უფრო დიდის ჯარით.—

— კარგი ჰსთქუა ფელტონმა, და იმისმა მჴეცურმა სახემ და რაღაც ბნელმა ცეცხლმა თვალებში მე შემაშფოთეს და შემათრთოლეს.—

მართლაც, ნინოსას მშუენიერებამ ვერ შეაბრკოლა ბუკინღემი; იმას მიეღო ცნობა მტრის მოქმედებაზედ და ეჩქარებოდა მისაშველებლად ლაროშელისა და დასასჯელად რიშელიესი. მაინცკი ისევ ძრიელ ეპურპურებოდა ნინოსას და გვარწმუნებდა, რომ ჩქარა დავბრუნდებით.—

როდესაც ჩუენ დავარწმუნეთ, რომ უიმისოთ ლონდონი ჩუენ გვეჩვენება ვერანად. იმან გვითხრა:

— წადით სამგზავროთ, ჩემო ცის მნათობნო: გაისეირნეთ იტალიისაკენ. როდესაც გაიგოთ ჩემგან დამარცხება კარდინალისა, მაშინ დაბრუნდით ისევ ლონდონში, სადაც აღტაცებით მოგეგებებით. იმან გააჩუქა მე და ნინოსას თითო წყვილი დიდ მშუენიერი ბრილიანტის სამკაული და დაბოლოვა თავის სიუხვე გამოგზავნით შავის მშუენიერის ყუთისა, რომელიც იპყრობდა ხუთი ათასის თუმნის ოქროსა. ბუკინღემს უნდოდა რომ გვემგზავრა ჩუენ, როგორც პრინცესებსა. იმანა გვთხოვა გავაცილოთ ის იმის ხომალდებამდის და დაგვპირდა მოეცა ჩუენთჳს გემი, რომელიც გაგვიყვანდა გოლანდიის სამზღვრამდის.

მეორე დღეს ჩუენ უკვე პორტსმუთში ვიყავით, სადაც მომზადებულნი წასასვლელად ხომალდები ელოდნენ ბუკინღემსა.—

მილორდს უნდოდა თჳთონ წაგვყვით გემში და ენახა ჩუენი წასვლა გოლლანდიისაკენ.— ჩუენი გემი უკვე აპირებდა მოტრიალებას და გერცოღი, სასლიდგან გადმოყუდებული ფანჯარაში, ჯერ ისევ გვიგზავნიდა გამოსალმების ნიშნებსა. უეცრათ მოვჰკარით ჩუენ თვალი, რომ ვიღაც კაცი მოეპარა იმას უკანიდგან.

ეს ის ირლანდიელი იყო, რომელმაც მოგვიტანა კარდინალის წიგნი. მე მეჩვენა, რომ დანამ გაიელვა იმის ხელში. ჯერ ჩუენ ახლოს ვიყავით ნაპირიდგან და მე რაც ღონე მქონდა შევყვირე მილორდსა, რომ გაფრთხილდეს. მაგრამ ამავე წამს ირლანდელმა ასწია მკლავი და დაურტყო ბუკინღემს დანა გულში.— სულ ეს თვალებში მოგველანდა, როგორც საშინელი სიზმარი. მე დავიწივლე და ნინოსასკი გული შეუწუხდა.—

გაოცებულნი შიშისაგან ამ ნახვაზედ, გემში მჯდომნი ჰსთხოვდნენ

კაპიტანსა დაგვაბრუნოს უკანვე წყლის ნაპირს. მაგრამ ის უარზედ დადგა და გვითხრა, რომ იმას ბრძანება აქვს აუცილებლივ გოლანდიაში გარდაგვიყვანოს ჩვენა.—

იქნება კაპიტანის უარზედ ყოფნამ განგვათავისუფლა ჩვენ ეჭვისაგან, რომ ჩვენც მკვლელის ამხანაგებათ არ შეგვრაცხეს. ხოლო ჩვენი გამტყუვნება ამ სიკვდილის გარევაში მეტად ადვილი იყო, ამიტომ რომ ირლანდიელი, მილორდის მოკვლის შემდეგ გადმოვკიდა ფანჯარაში, და რა სისხლიანი დანა გაიქნია, გამოიქნია ჭაერში, იმან შემოსძახა ჩვენს გემსა; «აცნობეთ კარდინალსა, რომ იმის სურვილი ავასრულე და განვათავისუფლე ანგლია დამქცევის მინისტრისაგან!» — ის მაშინვე შეიპყრეს მილორდის მსახურებმა.— მე და ნინოსა დიდხანს ვგლოვობდით ბუკინღემის სიკვდილსა. დასასრულ დავბრუნდით მწუხარენი გოლლანდიიდგან ფრანციაში. ყველასაგან ვმალავდით ჩვენ მიზეზსა ანგლიაში წასვლისას.— ნინოსა ეუბნებოდა, თავის მეგობრების და მცნობების კითხვაზედ ამისაგამო, რომ თქვენ მოგვბეზრდითო და თქვენის ტუტუცობას გავექეცითო.—

ამ დროს მე მაწუხებდა ფულების შემოკლება და ნინონას ნივთების უქონლობა. ჩვენ ადვილად მოვრიგდით: იმან აილო მილორდის ნაჩუქები სამკაული ორივე წყვილი და მე დამანება შავი ხის ყუთი ოქროებით სავსე.

მცნობებისა და მეგობრების გასაასლებლად და შესაკრებად მე გავმართე დიდი წვეულება. რაცკი პარიჟში და მთელს ევროპაში იშოვებოდა და იპოვებოდა ძვირფასი და იშვიათი საჭმელი, ჩემი სუფრაც სავე იყო იმითი.— ციდგანაც რომ ჩამოსულიყვნენ ანგელოზები ანუ ძველნი მეფეები, ისინიცკი იპოვიდნენ რით გაეხსნათ პირი!—

ახლა მეორეს დღეს ნინონამ გამართა შურით დიდ მშვენიერი ბალი თავის ბალში,— რომლის დედოფლადაც მე ამომარჩია. აქ იყვნენ მეფის ძმის გასტონიდგან დაწყობილი, ყოველი პრინცი და გერცოგები ქალი და კაცი — ჩემი კამუზარის გარდა. აქ იყვნენ თითქმის მარგარეტაც და ვილარსოს შვილიც, თეთრ ქერა თმიანი ყმაწვილი კაცი, რომელმაც თმები შეიტრუსა ნინონას სიყვარულით. ვგონებ, ნინონამ ბოლოს შეიბრალა ამისი ტანჯვა. აქ პირველად გამოჩნდა უმაღლესი მწერლობის ნიჭი პეტრე კორნელისა, ოცდა ოთხის წლის ყმაწვილის კაცისა, რომელმაც ამ კრებაში, ხაშუალტაშის კვრისა და აღტაცების, წაიკითხა პირველად თავისი თხზუ-

ლება — როცა დასრულდა, კვალად მოისმა ნალმი ტაშის კვრისა და ნინონამ დააჯილდოვა იგი ორის კოცნით, — რომელნიც იმან სიხარულით უკანვე დაუბრუნა.

თითქმის მქადაგებელმა ანდრეია მღვდელმაც არ დამაგდო უნახავი: ამან მომიტანა ამბავი, რომ თეოფილი ჩავვდაო და დებარო ისევ ისე გარყვნილი და ქაღალდის მოთამაშე არისო, შულერებს გაამხანაგებია და ხამებს ჭყვლეფენო. — მართებლობას ეპატიებინა დებაროისთჳს ულვთო წიგნების გამოცემა. მე მომაგონდა, რომ ანდრიას დავჰპირდი საეკკლესიოთ ფული, რომელიც ეხლა მივეცი. — იმან სიხარულით ჩაილაგა ჯიბეში, და გამომესალმა. —

სამის თვის შემდეგ ჩემის პარიჟში მოსვლისა, მოულოდინელმა გარემოებამ დამაყენა ძველის ცხოვრების გზაზედ. ჩემი სქელი მარშალი ბესომპიერი დასასრულ დაბრუნდა პარიჟში ნეაპოლიდგან, სადაც გაატარა იმან ოთხი წელიწადი. მე დავითხოვე ჩემის სახლიდგან ყველანი, ვიზედაცკი იმას მცირედი აჩრდილი ეჭვისა ექმნებოდა ჩემის სიყვარულისგამო. ამასთანავე ბესომპიერი ძალიან საჭიროებდა ნუგეშისცემაში: იმას მოჰკვდომოდა იტალიაში პატარა წითელ ლოყიანი ცოლი, რომელსაც ოხვრით იგონებდა ხოლმე ხშირად. — ქვრიობის გამო ბესომპიერი აღარა მალამდა ადრინდელივით საიდუმლოებითა ჩუენის ერთმანერთის დამოკიდულებას. ყველამ შეამცნიეს, რომ ციხე იმან დაიპყრო და დანარჩენები შემოეცალნენ. მე უამბე იმას ყოველი ჩემი თავს გარდასავალი, ბევრი ვიცინეთ კარდინალზედ და იმის წიგნების ყუთზედ, რომელიც ისე მოტყუებათ მოვიტაცე იმისაგან.

— იცი მარიონ, კარდინალმა მე რათ გამგზავნა ელჩათ ნეპოლში და ამოდენი ხანი იქ რათ გამიშო?

— არა, არ ვიცი.

— იმ ავაზაკმა გაიგო ჩემი განზრახულება!... მაგრამ განშორებამ უფრო შეამაგრა ჩემში ეს განზრახვა. მოკლედ გითხრა, მე გუნებაში ჩამიდვია, რომ მეფე ლუდოვიკმა უთუოთ მოჰხსცეს ფრანციასა ტახტის მემკვიდრე. —

— როგორ მოახერხებ მაგას? მეფის ბუნება ხომ არ შეცვლილა?. ის მხოლოდ ომშია ვაჟკაცი და არა ქალების სიყვარულში. —

— მართალია, მაგრამ განა კავკასიის მთის თოვლი მზის სხივით

არა დნება? ხოლო მე მყავს მომზადებული, უცხო ამომავალი მზე, რომელიც უეჭველად გაადნობს მეფის გულის ყინულსა.

—დარწმუნებული ხარ, მარშალო?

—სრულებით, სულოჯან. აი მოისმინე ჩემი ჯაზრი, მე მყავს ერთი შენისთანა დასატული ნათლული ლაფაეტის ქალი; ის იმითი გჯობს შენა, რომ თხუთმეტის წლისა არის, მეტი არა. ერთხელ მეფეს ენახა ის ბაღში და ღირსეულად დაეფასებინა იმისი სახე, რომელიც ქსლა იშლება, როგორც სამოთხის ვარდი.—ეს ამბავი მე გავიგე, როცა მოველ ნეაპოლიდგან, და რასაკვირველია მაშინვე შეუდექი ცდასა დაენიშნათ ჩემი ნათლული დედოფლის ფრეილინათ.—

—რა უგუნურება მოგვსვლია, მარშალო!

—სრულებით არა... მე ყველგან ფრთხილათ მიჭირავს თვალი. მეფეს უკვე შეუმცნევია ჩემი ნათლული და რამდენჯერმე დაუწყვია იმასთან ლაპარაკი. ეს უმანკო ანგელოზი ყველაფერს მე მეუბნება. მე აუხსენი ამას, რა საშინელს მდგომარეობაში იქნება ფრანცია, მეფე რომ უშვილოთ მოკვდეს და მივასწვდრე როგორც იყო, რომ ეს ქალი დიდს სარგებლობას მოუპოვებს ფრანციასა მეფეს რომ ასწავლოს სიყვარული. ჩემი მშვენიერი ნათლული მიხვდა და შემომფიცა, რომ ის ყველა ღონის ძიებას მოიხმარებს, რაც კი იმის ძალშია, რომ მეფე რიგიანათ ექცეოდეს დედოფალსა, როგორც ყველა ქმრები ცოლებსა. რას იტყვი. მარიონ, ამაზედ? მეფე აიგზნება სიყვარულით ჩემს ნათლულისადმი და ამ ცეცხლით კი ისარგებლებს დედოფალი ანნა. მთელი სასახლე აყვავდება სიხარულით, რასაკვირველია დაწყევლილის კარდინალის გარდა... ცხადია, რომ ეს წვერიანი თხა ახდენს განხეთქილებას მეფეს და დედოფალს შუა, ამისთჳს, რომ ამათ არა ჰყვანდეთ შვილი.—ამ ავაზაკს უნდა რომ თითონ გამეფდეს. ეს უსვინიდისოთ სარგებლობს მეფის ავანტყოფობით.—თუ რომ ტახტს მემკვიდრე არ გაუჩნდება, გასტონი შეადგენს მცირე დაბრკოლებას და ეს ვერ დაუშლის შემძლებელს კარდინალს ტახტზედ აჩოჩდეს. მაშასადამე მემკვიდრე საჭიროა, და შეუძლებელია, რომ ჩემი პლანი არ შესრულდეს.

მე და ბესომპიერი ტკბილათ ვატარებდით დროსა, ხშირად მოგვდიოდნენ სტუმრები; ერთს ღამეს უეცრად თავს დამესხნენ მეფის ძმა გასტონი, პრინცი კონდე, გენრი მონმორანსი (ბიძაშვილი ფრანსუა მონმორანსისა, რომელსაც თავი გააგდებინა კარდინალმა) და გე-

რცოლინია დეშევრეზის მამა გრაფი როგანი.

გასტონს ცხრა თვე ჰყვანდა ცოლი, და მშობიერობაზედ მოუკვდა, რა დაუტევა ქალი. თავის სიქვრივეში გასტონი მარცხნივ და მარჯვნივ ეძებდა ნუგეშსა. მხოლოდ ამ ქალების დევნით ემგზავსებოდა ეს თავის მამას დიდ გენრისს მეოთხესა; დანარჩენში არაფერში არა ჰგვანდნენ მამას არც ერთი შვილი. გასტონი იყო ბრიყვი, მკვეხარა, კეკლუცი, და მოკლეს-ჭკუისა. გენრი მონმორანსიკი ღირსი იყო ყოვლის ქებისა, ის ყველაზედ საყვარელი იყო სასახლეში. არავინ არ იყო ამაზედ ვაჟკაცი, ამაზედ კეთილშობილურის ხასიათისა, ამის უკეთესის ტანისა. თვრამეტის წლისა, ეს უკვე განთქმული იყო როგორც პირველი სარდალი; მთელს პარიჟს ისე უყვარდათ, და ისე პატივსა ჰსცემდნენ, როგორც ხატსა.—რასაკვირველია სიარული ამ ჭაბუკისა ჩემთან უფრო სახელად მიმაჩნდა, ვიდრე ასის გასტონისა ერთად.—მონმორანსიც ცოტად მეკურკურებოდა მე, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ისიც ჰხედამდა ჩემში დედოფალთან მგზავსებას. არავინ არ იცოდა, რომ ეს იტანჯებოდა დედოფლის სიყვარულით.

თჳთ დედოფალიც არ იყო დარწმუნებული თავის გულის სიმტკიცეზედ, როცა ეს უმაწვილი კაცი იმასთან იყო ხოლმე. დედოფალმა ჰსთხოვა იმას დროებით დაუტევოს იმან ფრანცია, რა აგრძნობინა რომ მეფე რაღასაც ეჭვნეულობსო.

მონმორანსი წავიდა ისპანიაში საბრძოლად, სადაც მიიღო მარშლობა. როცა იქიდგან დაბრუნდა, მონმორანსიმ იწყო შეძულება კარდინალისა. როგორც ყველა კეთილშობილ კაცსა, როგორც ყველა დიდ ჭკვიან კაცსა, მონმორანსის ჰსძულდა უსამართლოება, რომელსაც ურცხვად ხმარობდა რიშელიე. ამის გარდა მონმორანსიმ იცოდა, რომ კარდინალს თვალი უჭირავს დედოფალზედ, იმ დედოფალზედ, რომელიც თჳთონ უყვარდა ესრეთის წმიდის, მოწიწების სიყვარულით!

ბესომპიერს ჯავრი მოჰსდიოდა მონმორანსის ჩემს კურკურზედ, ერთი ერთმანერთზედ გაცივდნენ. ერთხელ ჩემსას ტანციობდა ბესომპიერი, რომელსაც სისქის გამო არ უხდებოდა ეს კუნტრუში. მონმორანსიმ მეტად ნება მისცა თავის ენას ოხუნჯობისა იმის გამო.

რა მოთმინება დაჰკარგა, ბესომპიერმა უთხრა:

—რასაკვრველია, თქუ̂ენ მეტი ჭკუა გაქვსთ, ვიდრე მე—ფეხებში., ანჩხლმა და ამპარტავანმა, მონმორანსიმ მიიღო ეს სიტყვა საწყენოდ. და რა მრისხანებით გაზომა თავით ბოლომდინ ბესომპიერი, უთხრა:

—თუ რომ მე ცხვირის ნისკარტი შენისთანა არა მაქვს, მგონია ჩემი ხმალიკი შენსას არ ჩამოუვა.—

ჩხუბი სამში შეიქმნა.

მე თვალებით ვეხვეწებოდი მონმარანსის, პირზედ კელს ვაფარებდი ბესომპიერსა, მაგრამ ისინი—ღრინამდნენ და უნდოდათ იქვე ჩასულიყვნენ ბაღში ერთმანეთში გასასწორებლად ხმლითა.

ჩემს ბედზედ, ნინონა მომეშველა. ამან ხუმრობათ გარდააქცია იმათი მრისხანება, რა დაუწყო მათ ორივეს კოცნა და ხვეწნა- ისინი შევარიგეთ,—და მხიარული ბალი ისევ განვაგრძელეთ.—

ამ დროს შემოვიდა მარშალი მარილიაკი, მოხუცებული კაცი და გამოცდილი სარდალი, და მოახსენა გასტონს:

—თქუ̂ენო უმაღლესობავ! თქუ̂ენმა ძმამ მეფემ გაცნობათ ჩემის პირით, რომ კარდინალმა აიღო ქალაქი ლაროშელი.

—ღმერთსა გჳფიცავ, უკეთეს იქმოდი მარშალო განგეთავისუფლებინა შენი თავი შრომისაგან მაგ ამბის მოტანით, რომლითაც ააშფოთე ჩუ̂ენი მხიარულება, უთხრა გასტონმა.—

—თქუ̂ენო უმაღლესობავ! მოახსენა მარშალმა ბოდიშის მოხდით: მე უნებურად ვასრულებ უმაღლეს ბრძანებასა. ყველა სასახლის დიდკაცთა, რომელნიც პარიჟში დარჩენილან, მიიღეს ბრძანება—ეხლავე მისაგებებლად კარდინალისა... ის მოდის დამმარცხებელის დიდებით.

გასტონი ილანძღებოდა, იგინებოდა, იწყევლებოდა, ტუტუნებდა, მაგრამ დაუმორჩილებლობაკი ვერ გაბედა, მას მოართვეს კარეტა, რომელშიაც მარტო გასტონი და დედოფალი ანნა ჩაბძანდნენ და შუაღამისას გავიდნენ გზას კარდინალის მისაგებებლად!.. რასაკვირველია მათ გაჰყვნენ მონმორანსიც, ბესომპიერიც, კონდეც და მრავალნი სხუ̂ანიც.

ამ გვარად ჩუ̂ენი ბალი, რომელიც ისე მხიარულად დაიწყო, გათავდა თითქმის ცრემლით.—

ორის დღის შემდეგ, შემოვიდა კარდინალი.

არც ერთს რომის იმპერატორს არ მიუღია ეს პატივი და არ უნახამს ამდენი კელისაგან ტაშის კვრა თავის ეტლის გარეშემო, რაც გარდუხადეს კარდინალსა პარიჟანელებმა. იმან წარმოიდგინა თავი

ალექსანდრე მაკედონელად, და შემოისვია შუბლზედ დაფნის ფოთლის გვირგვინი.— რამდენი ლექსები და ქების შესხმა მიიღო კარდინალმა, შეიძლებოდა იმ ქაღალდებისგან შეეკრათ მთელი ჯარისათჳს პერანგები.— აი შემთხვევა — ანუ ესლა ეცადოს დაიპყრას ქვეყანა, ანუ აღარასოდეს!

სრულებით ვერ შეიძლო კარდინალმა შემდგარიყო ამ მშვენიერს გზაზედ. ამან მოითმინა რაოდენიმე კვირა; კვალად იმოსება ის სამხედროს ტანისამოსში, თჳთონა სურს მიიღოს სარდლობა მთელის ჯარისა პიემონტში და ჰფიცავს გასრისოს ფეხით ამპარტავნება ავსტრიის მეფისა.—

კარდინალი წავიდა გზასა, და თან წაიყვანა ყოველნი კეთილშობილნი, სასახლისანი, ასე რომ თითქოს პარიჟი ვერასათ გადიქცა, მეფე ამის ჯარში სალდათის როლსა თამაშობდა. ჩუენ დავრჩნენ მხოლოდ პოეტები, ჩემი ნათლიის შვილი მარგარეტა და ვილარსოს შვილი თეთრა თმა.— მარგარეტას თუმცა ცხვირთან მეჭეჭი ეზდებოდა, მაგრამ ამასთან კეთილშობილურ ქცევასაც უმატებდა სახეში. მე და ეს კვალად დავმეგობრდით, მაგრამ ამ მეგობრობაში არა იყორა საეჭო და დამიმტკიცა თავისი ერთგულება იმით, რომ რაც კი შეეძლო ეცადა შეერიგებინა თავისი დედა ჩემთან.— მიხრწნეული სამიმის ავანტყოფობით, ჩემი ნათლია გრაფინია ჰგრძნობდა სიკვდილის მოახლოებასა; იმან დამიბარა და მარგარეტამ მიმიყვანა. ავანტყოფმა შემომაქცია თავისი ჩამქრალი თვალები და მომიშვირა გამხდარი ჴელი; მე დამავიწყდა ყოველი ავი, რაც კი იმას ჩემთჳს ექმნა, და მომაგონდა ყოველი იმისი სიკეთე; მე ვტაცე ამას ხელში, მივიკარ გულზედ და დავბანე ჩემის ცრემლით.— ჩუენ ორნივ ვჰსტიროდით, ვითხოვდით ბოდიშს ერთმანეთთან, და მოტევებას. იმან მიმიკრა გულზედ. მე აღარ მოვშორდი იმის ლოგინს, ჩემა ზრუნველობამ შეუმსუბუქა იმას გული, და არა სნეულება, ცამ არ მოინდომა დაებრუნებინა ის ჩუენის სიყვარულისთჳს. იმან დალია სული ჩემს მკლავზედ, ჩემს ხვევნაში.—

მე ჯერ იმის საფლავს ისევ დავჰსტიროდი, როდესაც მოვიდა ჩემი ძმა ესტამი მალონიდგან, სადაც სამი თვე ყოფილიყო დათხოვნილი; ახლა ამან მომიტანა ახალი მიზეზი მწუხარებისა და ნაღვლისა:— დედაც აღარა მყვანდა ქუეყანაზედ! ესტამმა მანუგეშა ამით, რომ დედასაც მოეტევებინა ჩემთჳს ბოლოს ჟამსა ყოველი ჩემი დანა-

შაული. ანდერძით ჩემი ნათლიის გრაფინია მაძლევდა მე თორმეტი ათას თუმანსა; მე მინდოდა უარი მეყო, მაგრამ მარგარეტა არ მომეშო: «ეს თავისის პირით დამწერინა განსვენებულმაო და მე არ შემიძლიან შევცვალო იმისი უკანასკნელი სურვილიო.»—აი დიდსულოვნება გრაფინიასი!—

მე მოველ შინა და შევმოსე შავით ჩემი მსახურები. ესტაშმა მითხრა, რომ მამას ძალიან უნდა შენი ნახვაო; მე შევეხვეწე წასულიყო და მოეყვანა პარიჟში.—თუმცა ჩემი დები რიგიანათ დათხოვნილიყვნენ, მაგრამ რიგიანი სიცოცხლე კი არ ეტარებინათ, მეტადრე ჟაკლინას თურმე გამოჰყვანდა თავისი ქმარი პატიოსანი აზნაურშვილი, მოთმინებიდგან. ყოველდღე ემუქრებოდა მას ქმარი მონასტერში გაგისტუმრებო და ბოლოს აესრულებინა თავისი სიტყვა.

მოვიდა მამა ჩემი გაბრიელ დელორმი, რომლის ამალაშიც ერია კამუზარიც; ისინი დედიჩემის სიკუდილის შემდეგ, ერთად თურმე იდგნენ.—მაგრამ ჴსჩანს ბედის წიგნში ისე ჰქონდა კამუზარს დაწერილი, რომ რაკი პარიჟში ჩამოვიდეს, თითო უსიამოვნება უნდა გადეხადა. ერთხელ სეირნობაში კამუზარს დასვედროდა თავისი ცოლი ლიზა, რომელსაც პირველად ელანძღა და ეთრია კამუზარი, და მოჰყოლოდა ჩემ სახლამდინ ლანძღვის განგრძელებით. იმას ეთქვა რომ რადგანაც ცოლიც იქ უნდა იყოს, სადაც ქმარიაო. ლიზასა ჰქონდა განზრახვა ჩემთან მოსვლისა. მაგრამ მე ბიჭებს გავაგდებინე სახლიდგან, ჩემის რჩევით კამუზარმა შეიტანა საჩივარი და იმას გაუშვებინეს ცოლი, ამ პირობით, რომ სარჩენლად მიეცა იმისთჳს ერთის გზობით ასი თუმანი. ეს ფული მე მივეცი; აგრეთვე დავძლიე მამაჩემი მიეღო ჩემგან ხუთი ათასი თუმანი იმ ფულიდგან, რომელიც მიანდერძა ჩემა ნათლიამ. ამ გვარად, მე მქონდა ბედნიერება კამუზარი გამენთავისუფლებინა უღირსის ცოლისაგან და მამისთჳს მომემზადებინა სასიამოვნო ცხოვრება მოხუცების ჟამში.—დელორმი ცრემლით გამომესალმა და წავიდა შინა; ჩემი ძმა ესტაშიც ომში გავისტუმრე.—

გიორგობის დამდეგს დაბრუნდნენ ომიდგან.

მაგრამ კარდინალი იმ ამპარტავნებით და დიდებით აღარ შემოსულა, როგორც პირველად. მეფე ავათ გამხდარიყო და ლიონში დარჩომილიყო. ამის გარეშემო მსლებელთ ესარგებლად ამ შემთხვევით და

მოუხსენებინათ, რომ იმის მინისტრი კარდინალი ცდილობს ტახტის დაპყრობასაო და შეშინებულს მეფეს შეეფიცნა, რომ რაკი სასახლეში მივალ, მაშინვე გადავაყენებო.—მსწრაფლად გავარდა ეს ამბავი ყველგან. მინისტრის მტრები არ მალამდნენ თავიანთ მოუთმენლობას და ცდილობდნენ დაეახლოვებინათ წამი, როცა მეხი უნდა დაჰსცემოდა კარდინალს თავში,—ამან ჯერ არა იცოდარა, როგორ არის შემდგარი ეს შეთქმა, მაგრამ იმედი ჰქონდა დაერღვია ესეცა, როგორც ადრე სხვები. მეც ამ უკანასკნელის ჰაზრისა ვიყავ და ამისთჳს ჩემს სახლში ყველას ვაჩუმებდი, ვინცკი კარდინალზედ ავს რასმეს იტყოდა, მანამდისინ სრულებით არ დავრწმუნებულვიყავ, რომ შეთქმას აქუს წარმართება. ამ დროს უეცრად მივიღე წერილი, მოწერილი თჳთ კარდინალისაგან. ის მიპატიჟებდა მივსულიყავ იმასთან ახალს თავის სასახლეში, რომელიც ჯერ თუმცა დასრულებული არ იყო, მაგრამ ერთი ფლიგელი სულ გამართული იყო და მანამდისინ იმაში იდგა.

მე მინდოდა გამომეჩინა ძველი მორჩილება. კუჩერი გრასენი შინ არ იყო: ის რაღაც საიდუმლოს ბრძანებით მიეწვიათ პოლიციაში. მე წაველ ქირის ტრასტრევანდით ახალს სასახლეში,—არა ვიცოდირა, რა ლაპარაკი მომისდება მინისტრთან.—

ეს ახალი რიშელიეს სასახლე ბევრად აემატებოდა ლუვრის სასახლესა დიდ მშვენიერებით: გამოუთქმელი მდიდარი ხელოვნება არსებობდა ყოველ ნაწილში; შემძლებელი კარდინალი მილიონებს არა ზოგავდა ამ თავის ამპარტავნების სახსოვრის დასადგენად.

განიერ ტალანებში ირეოდნენ შვეიცრები და ლაქიები. ერთგან მინისტრს დაეხატვინებინა ქათალიკოზის ქუდი, რომლის ყაითნები ეხვივნენ სამეფო და საფაფო გვირგვინებს. ამაში ცხადათ ჰსჩანდა რიშელიეს ჰაზრი: ამას უნდოდა თავის თავზედ შეეერთებინა უფლება საეროც და სასულიეროც, ესე იგი გამოეცხადებინა თავის თავი მეფეთაც და ფაფათაც.

კარდინალისაგან მოწერილი ბარათი კელში მეჭირა, როგორც ბილეთი, შესასვლელად სასახლეში. როგორც მივატანე მინისტრის კაბინეტს, ვიღამაც წამავლო კალთაში კელი. ეს იყო ყმაწვილი ქალი, რომელსაც თვალები დასიებოდა ტირილით.

—გევედრები, ღუთის გულისათჳს, მეც შემიყვანე მინისტრთან, მითხრა ქალმა განკალით.

—ვინა ხარ, ქალო.

—პასკალის ქალი გახლავარ ხოკრატინა. მამაჩემი გადაკარგეს უსამართლოდ და არავინ არის იმისთჳს ხმის ამომღები. მე შესხმა მომზადებული მაქუს სათქმელად.

ორმა შვეიცარმა გაგვიღო კარი მინისტრისა და შევედით.

კარდინალი ლოგინში იწვა გზისაგან დაღალული.

—ეგ რა ქალია? რათ მოგიყვანია ჩემთან? მკითხა იმან მშრალის ხმითა.

—ეს თჳთონ მოგახსენებსთ, რისთჳსა გხლებია, უთხარ მე.

აქ ეს ყმაწვილი ქალი დაეცა იმის წინ მუხლებზედ, დაიკრიფა გულ ხელი და წარმოსთქუა ლექსი, რომელშიაც კარდინალს აქებდნენ.

სიბრძნით, სიმართლით, კაცის მოყვარეობით.

მე შემბრალდა ეს საცოდავი ქალი, თითქმის მინისტრმაც იგრძნო ამ გვარივე ლმობიერება. მე გავბედე ამის შუამავლობა.

—წმიდაო მამავ, მიუტევეთ ამ ქალის მამას, მეც ხომ მაპატიეთ და არა დაგაკლდათრა!

—უარს როგორ გეტყვი! მითხრა კარდინალმა: შენ ასეთი სამსახური გარდმიხადე, რომ არა დაგეშურებარა ჩემგან. დაე იმის ჯილდოდ იყოს ესა.—

კარდინალმა დაუჭირა პატარა ქალს ჴელი და ააყენა.

—გეტყობა, რომ კარგათ ზდიან თქუენს სახლში შჳლებსა, უთხრა კარდინალმა ალერსით: ამბობენ შენა გყავს ერთი ძმა, რომელიც სასწაულს თურმე ახდენს თავის ცოდნით მატემატიკისა.,. რატო ისკი არ მოგიყვანია თანა?

—ჯერ ძალიან ყმაწვილი გახლავსთ ისა, მოახსენა ქალმა.

—რამდენის წლისაა?

—შვიდისა.

—შენა?

—მე ათისა,

—რასაკჳრველია, უთხრა ღიმილით კარდინალმა: დიდი განსხვავებაა, მაგრამ მართლა ისე დახელოვნებულია შენი ძმა როგორც ამბობენ?—

—მეტად, მოახსენა ქალმა.

—კარგი შჳლო, კარგი, წადი შინა, გაახარე დედა შენი და შენი

ძმა ჩემის მოწყალებით: მამა შენს პრეზინდენტს პასკალს მოვაყვანინებ და დაუბრუნებ თავის მამულებს, სიტყჳა მომიცია.

ქალმა აკოცა კარდინალს ხელზედა ცრემლიანის თვალებით და რა მომიბრუნდა მე მკითხა:

—მიბძანეთ თქჳენი სახელი, რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში გულში მქონდეს შენახული.

—ჩემი სახელი მარია არის, პატარა ქალო.

—ნება მომეცით გიახლო ჩემის ძმით თქჳენთან: ისიც მოინდომებს მადლობის გარდახდას.

—არა, შვილო, უთხარ მე: შენ მითხარ, სადა ჰსდგესართ, მე თვთონ მოვალ თქჳენს სანახავად, როცა დრო მექმნება.

იმან მასწავლა სადაც იდგნენ. მე დავპირდი როდისმე ვნახო ისინი. ყმაწვილი წავიდა სრული ბედნიერი.—იმის ძმას ბოლოს დაერქვა ორბი ჰსწავლისა, და იყო პირველი მატემატიკოსი ფრანციაში.

როცა ეს ქალი გავიდა. კარდინალმა კვალად მიიღო უხიაკი, დაცინვითი სახე, რომლითაც მიმიღო მე.

—ძალიან ნუ დამამადლებ და შენს შუამავლობას ნუ მაუწერ იმ ქალის სურვილის აღსრულებას. პასკალის დაბრუნება და პატიება უკვე გადაწყვეტილი იყო.—

რიშელიეს სახეზედ გამოეცხადა მზაკვრობა; მე შემეშინდა იმისი; მე მეგონა, რომ იმისი ჩემი პატიებაც ლაროშელში წმიდის გულით არ იყო.

ჩემის მკვლებურის ჩვეულებისამებრ, მე მინდოდა იმისი დამშჳდება ტკბილის სიტყვებით და ალერსიანის სახით.

—ეგ უმეტესად სასიამოვნო იყო თქჳენის მხრით, რომ ის ყმაწვილი მოტყუებული დარჩა და იმას ჰგონია, რომ მე უყავ ეს სიკეთე, მოვახსენე მე: თქჳენ დიდ სულოვანი ხართ, იცით შებრალება; მაგრამ მე არ მესმის ულმობელი პოლიტიკა თქჳენ რათ გაავკაცებს ხოლმე, რომელიც ყველას აშინებს?

—რა აკვაცობას მეუბნები? გრაფ შალეს და ფრანსუა მონმორანსის რომ თავები დავაყრევინე? ისინი ღირსნი იყვნენ სიკჳდილისა. მართმსაჯულებამ არ უნდა განარჩიოს დიდი და პატარა. მგონია მე შენ გითხარ, რომ არის ხოლმე შემთხვეულება, როდესაც შებრალება სისუსტეა და პატიობა სიმდაბლე... მაგრამ ქალა მივხვდი, მოუმატა იმან

რაღაც ცივის ღიმილით: შენ უიუროთ მამტყუვნებ ბუკინღემის სიკვ-დილში... შენ მგონია ეჭვი გაქჳს, რომ ჩემის ბრძანებით მოკლეს ისა.,. შემცთარი ხარ: მე აქ არაფერში მაქჳს დანაშაული.—

მე გულგრილად ვერ ვიტანდი კარდინალის ესრე ურცხვად ტყუი-ლსა.

—მაშ იმ ირლანდელმა რათ შემოგვძახა, რომ თქჳენ გაგახაროთ მილორდის სიკჳდილითა? ვჰკითხე მე.

—ნუ თუ იმ ურცხვმა ეგ გითხრათ?.... მაგრამ ყველა დამნაშავე ცდილობს მიზეზი იპოვოს რამ თავის მართლებისა... სად არის მაგის დამტკიცება? რითა ჴსნანს ჩემი გარევა მაგ საქმეში? ქაღალდი ჰქონდა ჩემგან მიცემული თუ მოწმები ჰყვანდა?... იმედი მაქჳს, რომ მე უფრო დამიჯერებ, ვიდრე იმისთანა ავაზაკსა.. ან თუ მოკვლა მდომოდა ბუკინღემისა, თქჳენ რაღათ გაგისტუმრებდით იმასთან და მოგასმარებინებდით იმის განსაშორებლად იმ ღონისძიებას, რომე-ლიც მხოლოდ ჩემთჳს არ გემეტებათ?... ესე იგი ღონისძიება უფრო კაცობრიობითი და დამატკბობელი.—

—მე დიდად ვწუხვარ, კარდინალო, რომ თქჳენი ქება მე არ მე-კუთვნის: ხინონა ლანგლო ისე კეთილი იყო, რომ ყოველი სამძიმო მოქმედება მაგ ღონისძიებისა მარტო იმან იკისრა.

—მართლა? მაშ მე იმას უნდა დაუმადლო... იმასაც უნდა ვსთხო-ვო ჩემთან იარებოდეს.

—ის არ გიახლებათ.

—რატომ?

—მე და იმას ფიცი გვაქჳს მიცემული, რომ ერთმანეთს არ წავგა-რთოთ საყვარლები.

—მერმე?

—მერმე ესა, რომ იმან დაწვრილებით იცის ჩემი დამოკიდებულო-ბა თქჳენთან, და ეს საკმაო მიზეზია, რომ იმან არ აასრულოს თქჳენი სურვილი.

—კიდევ ეჭვი!.. შეჰყვირა კარდინალმა: ვნახოთ ესლა რაღა წერ-ილები მაქჳს შენგან მოსაპარავი!

—ოხ, რა ბოროტი დასხომება იცით, კარდინალო! ეგ არ არის კარგი.

—მართალია, მართალია, მე დამნაშავე ვარ, მითხრა რაღაც მწარეს

ღიმილით რიშელიემ. შენ ისე გარეცებით მომატყუე, რომ ღირსი ხარ აღტაცებისა!.. კარგა ჰქმნა იმ სამაგელ ვარსკვლავთ მრიცხავმა თომამ, რომ გაიქცა, თორემ ის გადიხდიდა ორივესთჳს.... დედაკაცს მაგდენი ეშმაკობა ჰქონდეს და რიგიანათ არა ხმარობდეს!... ახ, შენ რომ გდომოდა, ან რომ ეხლა მოინდომო, რამდენს უცხო საქმეს ავასრულებდით ჩუჱნა.... მაგრამ შენ არ გინდა გაიგო არც ჩემი განზრახვა, არც ჩემი მაღალი პოლიტიკა, არც ჩემი ხასიათი.. შენ ყველაფერში ცდილობ მომატყუო; შენ თითქოს საკვეხურათ გაქვს ესა- შენ სარგებლობდი ჩემის მონდობილის ხასიათით, მაგრამ აღარ მოგცემ შემთხვევას დაიკვეხო კიდევ უარზედ დადგომით... ეხლაც რომ მაგონდება იმ ყუთის მოპარვა წიგნებითა... შენი ბედი, მარიონ, რომ მიყვარხარ, ვერ გამომიმეტებიხარ საწყენად... მე ეხლაც მზათავარ აღვასრულო ყოველი შენი სურვილი... ლენტის ნაკუწით დაგყავს შენს ნებაზედ ლომი... მაგრამ ჰსჯობს, ყველა წარსული დავივიწყოთ. მე ბევრი ნაღველი მაქვს, ჩემო შვილო! საკვირველია, სასახლეში ყველასა ვძულვარ. შენი სიყვარული ჩემთჳს მართლად ცის საჩუქარია. აი გასაღები ჩემის კაბინეტისა; როცა ხალხის უნახავად გინდოდეს ჩემთან მოსვლა — დასავლეთის მხრით — ეს ყველა კარებს აღებს. ბოლოს ტალანში ზარს ჩამოჰკრამ. ერთგული ბურნე გაცნობებს. — მართლა შენის ბაღის გასაღებს მაინც კიდევ ვინახამ; კლიტე არ გამოუცვალო კარებსა; როცა მე ნაღველი მომაწვება, მოვალ შენთან სანუგეშოთ. იმედი მაქვს, რომ არ დამიშლი.

— არასოდეს. როცა გნებავდეს, მობრძანდით ხოლმე.

— მაშ ნახვამდის, მარიონ, მშვიდობით!

რიშელიემ ჴელზედ მაკოცი და ღიმილით გამომესალმა.

რისთჳს დამიბარა მე კარდინალმა? იმან არა ჩამაბარა რა აღსასრულებლად; რასაკვრელია ის იმისთჳს არ დამიბარებდა, რომ თავი ემართლებინა ჩემთან ბუკინღემის სიკვდილში; არც იმ უბრალოს ლაპარაკისთვის დამიბარებდა, რომელიც ჩუჱნა გვქონდა. — იმისი ყვედრებაც წარსულს ჩემს საქმეებზედ მეტად ზომიერი იყო, ის რიშელიეს ყვედრებას არა ჰგვანდა. — ესენი მე ეჭვნეულს მყოფდნენ, იმას უთუოთ უდევს რამა გუნებაში ჩემს გამო, უთუოთ ბოროტ მახეს მიგებდა რასმეს, რომელსაც ვერ მივხვდარვიყავი ჯერ მე. —

შინ რომ მოველ ამ არეულის ფიქრებით, თერეზამ მიამბო რა

საქმესაც უჩუმოდ გაარა. — იმისი ქმარი გრასენი ჩუმათ დაებარებინა პოლიცმეისტარსა ლაფემას, რომელიც უყვარდა კარდინალს, რადგან ისიც ამას ემგზავსებოდა უდიერობით, შეუბრალებლობით, სასტიკობით. ლაფემას გამოეკითხა, რა აქვს იმას თავის ცოლით ჩემთან ჯამაგირი, შემოსავალი, ან ისე ფულათ რა აქვსთ მოგროვებული. ჩემს ქმარს ეთქვა ზოგი მართალი, ზოგი ტყუილი. ლაფემას ეთქვა რომ რაცა გაქვსთ, ერთი ორათ ჩჳენ მოგცემთო, თუ რომ შენ ხან და ხან დაგვმალავ მე ანუ კარდინალსაო, იმისთანა უშიშ ალაგსაო, საიდგანაც შევიძლოთ ყურის გდება, რასაც ლაპარაკობენ შენს ქალბატონთანაო. — გრასენს ეთქვა, რომ მაგ საქმის ასრულება მხოლოდ ჩემს ცოლს შეუძლიანო, თუ გეთანხმებათო. — მერმე ლაფემა ჩემთან მოვიდა, დამიწყო ლაპარაკი და თანხების მლევა, თუ რომ გარგათ ავასრულებთ იმის თხოვნას. ჩჳენ გასაღები გვქონდა თქჳენის ბაღისაო, მაგრამ ჩჳენ გვინდა თავისუფლათ შემოვდიოდეთ თქჳენს სახლიშიო დღითაც და ღამითაცაო: ჩჳენ ნიშანი დავდოთ რამაო, რომლითაც შეიტყობთ მე მოვდივარ თუ კარდინალიო, მაშინ თქჳენ უნდა დაგვმალოთ უშიშს ალაგსა, საიდგანაც გვესმოდეს და ვხედამდეთ, რასაც აქ ლაპარაკობენ და მოქმედებენო. — რასაკვრველია ლაფემამ დამარწმუნა, რომ აქ სრულებით შიში არა აქჳს რისამე მარიონსაო: კარდინალი იმას დიდი ხანია იცნობს და ჴსწყალობს კიდეცაო. — აგრეთვე დაგვემუქრა, თუ რომ ეხლავ ადგებინებთ ქალბატონსაო, ან ეტყვითო, თქჳენი სინსილა ამოწყდება ამ ქვეყნიდგანაო. — მე ჯერ ბევრი უარი უთხარ, ჩემი სულისათვის ცოდო არის მეთქი, კეთილი ქალბატონი მყავს, იმისთანა ადგილს ვერსად ვიშოვნით მეთქი, თუ გაიგო ჩჳენი ღალატობა; მაგრამ მაინც იმათი დაბოლოვდა, რომ ვეთანხმენით და აქ უნდა ვმალოთ ხოლმე ანუ კარდინალი ანუ ლაფემა თქჳენის ყურის საგდებლად. — თეროზამ ორმოც და ათის თუმნის ბილეთიც მაჩვენა, რომელიც მიეცა ლაფემას ჯერ ბეთა. —

ჴსჩანს კარდინალმა იმისთჳს დამიბარა, რომ ლაფემასთჳს მიეცა დრო მარტო მოსალაპარაკებლად თეროზასთან და იმის ქმართან. — მაგრამ რა ჴავშირი ჴქონდა კარდინალის ყურის გდებასა ჩემს სახლში — უფრო საპოლიტიკურო, თუ სამაჯურო — არ ვიცოდი. მაგრამ რაკი დედაკაცმა იცის საიდგან უბერავს საშიში ქარი, მაშინ ის გაფრთხილებულია, მხნელად გაებმება მახეში. — მე უნდა მეფიქრნა, რომ რო-

შელიე იმისთანა კაცი არ იყო, რომ სიყვარულისათჳს შეეწირა იმას პოლიტიკა, მეტადრე ამ დროს, როდესაც ის ჰგრძნობდა, რომ იმის დასაღუპავად არის რაღაც და სადღაც შეთქმულობა, რომლის საიდუმლო ძაფიც მას ვერასფერით ვერ ჩაეგდო ხელში.—იმას ესმოდა, ის ჰგრძნობდა რომ ამ შეთქმულებაში ბესომპიერიც უნდა ერიოს.—

ბესომპიერმა კვალად მოიპოვა ჩემი სიყვარული, რაკი ნეაპოლიდგან დაბრუნდა, მაგრამ ის შესცდა, რომ არ მითხრა დაწვრილებს შემთქმელებისა რიშელიეს გამო, ან ამიტომ არ მითხრა, რომ არ უნდოდა ავეშფოთებინე, ან იმიტომ, რომ ქალს ვერ ანდობდა ამისთანა საიდუმლოს თქმასა, ანუ მგონია ამიტომ, რომ ის არ ერწმუნებოდა მე და კარდინალის მამა შჯულურს სიყვარულსა. მართალიც იყო: ყველანი ჰფიქრობდნენ, რომ მხოლოდ გულის საყვარელს შეეძლო უგადუხდინებლივ მოეტაცნა კარდინალისთჳს ყუთი წერილებითა. მაგრამ ეს ფიქრი ტყუილი იყო; კარდინალმა არ გადამახდევინა ამიტომ, რომ არ უნდოდა გავევრცელებინა ეს იმისი შესარცხვენელი ისტორია. ის მეტად დაკელოვნებული იყო, რომ არ მოეცადნა იმ დრომდის, როცა შესძლებოდა მართლად ჯავრის ამოყრა. და აი, ეხლა მიგებდა იმ მახეს გასაბმელად.—

რიშელიემ იცოდა ჩემი დამოკიდებულება ბესომპიერთან, იმას იმიტომ უნდოდა ჩუმნი ყურის გდება, რომ დარწმუნებული იყო, ერთხელაც არის ბესომპიერს წამოსცდებოდა რამ იმისთანა სიტყვა, რომლითაც კარდინალი მიხვდებოდა ანუ გაიგებდა სადაცარის ანუ ვისა აქუს იმაზედ შეთქმულება, ან როდის უნდა ასრულდეს, ან რას ჰფიქრობს იმაზედ თჳთონ მეფე ლუდოვიკი?—

მე და თერეზამ დავაწყეთ ნიშნად, რომ როდესაც კარდინალი ეყოლებოდა იმას დამალული ჩემს სახლში ყურის საგდებლად, მაშინ იმას უნდა მოეხვია ხოლმე თავზედ წითელი ხელცახოცი, და როდესაც ლაფემას ყვითელი.—

ზევითა ვსთვით, რომ ავათ მყოფობის ჟამსა ლიონში მეფემ მისცა სიტყვა თავის დედას მარია მედიჩის, როდესაც პარიჟში დაბრუნდება, გამოცვალოს კარდინალი თანამდებობიდგან. ხოლო როდესაც მეფე მორჩა და მოვიდა, დედამ მოაგონა მას თავისი დაპირება. ეს იყო ათს გიორგობის თვეში. მაგრამ მეფემ თავის ჩვეულებისამებრ იწყო ყოყმობა, გაუბედობლობა და ბოლოს გამოუცხადა, რომ ის ვერ მო-

ისვენებს უკარდინალოთ, და ვერც გასძლებს. ამ დროს მოვიდა სასახლეში თჳთ რიშელიეც, დიდმა დედოფალმა არა დაზოგარა იმის შესამკობლად: იმას უწოდა გარყვნილი, უმადური, ავაზაკი, აღმშფოთებელი ევროპიის სიმშვიდისა, ერთის სიტყვით, რაცკი პირში მოუვიდა საძაგელი სიტყვა, სულ ზედ მოასხმარა; ამასთანავე არ დაივიწყა ეჭვედრებინა, რომ იმასა სურს მოგლიჯოს თავიდგან მეფეს გვირგვინი და თჳთონ დაიდგას.

თქჳენო დიდებულებავ, მიუბრუნდა კარდინალი მეფეს: ცდილობენ, რომ თქჳენ მოგაკლონ ერთგული მოსამსახურე. უკანასკნელად გიბედამთ მოხსენებას: ნუ უსმენთ სავნებელ რჩევასა ჩემს მტრებსა, მოიფიქრეთ თქჳენის დახსნისათჳს, თქჳენის სახელმწიფოს დახსნისათჳს,... — ფრანცია დაიღუპება, მე რომ მინისტრობაზედ ჴელი ავიღო! — ამ სიტყვებით კარდინალმა თავი დაუკრა და გავიდა.

— ურცხვო! მიადევნა დედოფალმა; ნუ ერწმუნები იმას მეფევ! იმას უნდოდა მხოლოდ შეგაშინოს თქჳენ.... თჳთონ ეგ ამოსავარდნელი ღუპამს ფრანციასა! გააგდეთ ეგა, და მაშინ თქჳენ თჳთონ დაჭეშმარიტდებით, რა მკვიდრს ბოძსა ჰპოვებს ჩუენში სამეფო ტახტი. —

მაგრამ დედამ მაინც ვერ დაამშვიდა შეშინებული მეფე, რომელიც ნაღვლიანათ დაბრუნდა ვერსალში (სასახლეში). მაგრამ ეჭვი აღარავისა ჰქონდა, რომ კარდინალს მოელო ბოლო. ეს ეჭვი თჳთონ მინისტრს უმეტესათა ჰქონდა, ამიტომ რომ გამოაცხადა, რომ ის მიდის გავრში და უბრძანა ტომრების ჩალაგება ისპანიის ოქროებით, ოთხ მილიონამდის. —

მხიარულად გავარდა ხმა კარდინალის ჩქარა წასვლაზედ, და გროვა კარის კაცებისა ირეოდნენ დიდი დედოფლის სასახლეში.

რასაკვირველია იმ დროს არც კარდინალს და არც ლაფემას არ აგონდებოდათ ესარგებლნათ ჩემის მსახურების მოსყიდვითა და მოსულიყვნენ სამალავად ჩემს სახლში. — ბესომპიერიც აღარ მოსულა ჩემთან იმ უკანასკნელს ორს დღესა, მაგრამ თერთმეტს გიორგობისას, მესამე საათზედ სადილს უკან, ის შემოვარდა ჩემთან აღტაცებული სიხარულით. —

— დავამარცხეთ, მარიონ, დავამარცხეთ! შეჰყვირა იმან: კარდინა-

ლი თავის სახლის კაცებთან ქომაგებთან გავისტუმრეთ... დღეს დილას დაცალა იმან სასახლე და წაბძანდა; წინა წინ თავის სიმდიდრე გაისტუმრა საკმაოს მცველებით, რომ პარიჟანელებს არ მოუვიდესთ ფიქრათ იმის წართმევა... და რიშელიემ წაიღოს თავისი ოქრო, თითონაც ოღონდ ჯანაბაში წავიდეს და აღარ მოვიდეს უკან!.... ბებერი ქომაგი ამოფხვრეს, და გააქციეს დიდმა დედოფალმა, მიშელ მარილიაკმა, რომელსაც აბარია სახელმწიფო ბეჭედი, და ყველამ ჩვენ...

—ჭსწორე ამბავია ეგა, მარშალო? ვკითხე მე.

—ჭსწორეო!...მთელმა პარიჟმა იცის!...წუხელის მთელი ღამე არავის დაუძინია... ყველანი ფეხზედ ვიდექით. ყველამ იცოდნენ, რომ კარდინალი ემზადებოდა გასაპარავად. მეფე ვერსალში დაიმალა, რომ განთავისუფლებულიყო გამოსალმების ვიზიტისაგან. მთელი კარის კაცნი დიდ დედოფალს ფეხქვეშ ეგებიან; ყველას გაეღვიძათ გულში იმედი იმ ადგილისა. ამბობენ მიშელ მარილიაკს დაჰპირებია მეფეო, ის იქნება მოადგილე კარდინალისა; მიშელმა უკვე გაგზავნა იტალიაში თავისი სეკრეტარი ამ ცნობითა. იმის მაგალითისამებრ ყოველ ელჩმა გაგზავნა ჩაფრები (კურიერები) თავიანთ სახელმწიფოში. სამ დღეს უკან მთელს ევროპას ეცოდინება ჩვენი ცვლილება.

—ზეციერო! მე ყურს გიგდებ, და არა მწამს კია!...კარდინალი წავიდა... ესე ჩქარა!

—როგორ?.. ესრე ჩქარაო?... ნუთუ ნანობ?... გარწმუნებ, მაშ შენის მეტი გამამგლოვებელი არ ეყოლება იმას.... კმარა იმაზედ ლაპარაკი! ჯანაბას წავიდეს იმისი თავი!—ხვალ საღამომდინ ის გემში იჯდება გავრში!.. ხა! ხა! ხა!.. ნეტავი ეხლა დამანახვა იმისი მჟავე სახე!

ბესომპიერს ჯერ არ დაესრულებინა ეს სიტყვა, როგორც უეცრად თერეზა შემოვარდა წითელის თავზედ მოსასხვევით,—და მაჩვენა თვალით მოსართავის ოთახის კარები. მე გავყვითლდი.—

—მე უბედური! კარდინალი გავრშიკი არ არის, აქ არის, ჩვენს სახლში... ის ყურს გიგდებს, წავჩურჩულე მე ბესომპიერს.—

იმას უნდოდა ეთქვა რამე.

მე მივაშტერე თვალი პირზედა ახლის კანკალით, რომ თვითონაც გაყვითლდა. რა გავიმაგრე როგორც იყო გული, მე მოვაბრუნე სკამები, რომ რიშელიემ ვერ დაინახოს ჩვენი არეული, სახე კარების

ჯუჯრუტანიდგან, საიდგანაც ის ყურს გვიგდებს.—

— საკვირველს ამბავებს მეუბნები, საყვარელო მარშალო, უთხარ მე. ნუ თუ მართლა მეფემ გააგდო თავისი მინისტრი? ნუთუ იმან გაბედა მოაკლოს თავის თავს იმისთანა ერთგული მოსამსახურე, როგორიც კარდინალი იყო? ოჰ, რა უგუნური, რა დაუხედავი კაცია ჩუენი მეფე!...

—ეგ ხომ უბედურება იქნება ფრანციისთჳს?... არ შერცხვა მეფესა? იმდენი ამაგი და სიკეთე დაავიწყდა იმას კარდინალისა?... მე იმედი მაქუს, რომ შენ მაინც ურჩევდი მეფეს არ გამოეცვალა იმისთანა კაცი... რადგანაც ყველაზედ ჭკვიანი იყო, იმიტომ ყველას ეჯავრებოდათ მინისტრი. მაგრამ შენგან თჳთონ ბევრჯელ გამიგონია იმისი ქება, ნუთუ შენც იმისმა მტრებმა გამოგცვალეს? სწორეთ მითხარ, ნურას დამიმალავ.—

მე ვანიშნებდი მარშალსა, რომ კარგი რამ ეთქუა კარდინალზედ. ის ვერას მიმიხვდა.

მე ისევ გავაგრძელე,

—არა, ეგ არ შეიძლება... შენ ჭკუას აფასებდი კარდინალისას და არა იმის ხასიათსა.—კარდინალი დიდი მინისტრი იყო; მე ვემსახურებოდი იმას და კიდევაც ვემსახურები... გარწმუნებ, მეფე ისევ დაიბარებს იმას; გავრამდინ არ მიასწევინებს იმასა,...

იმ წუთს გაიღო კარი ჩემის მოსართავის ოთახისა, და რიშელიე წარმოგვიდგა ჩუენ.

—შემიძლიან მოგილოცო, ჩემო სულო! ჰსთქუა იმან: შენ მაღალის ჭკუის დედაკაცი ხარ და საკვირველად შორს მხედველი!... ღმრთის იმედით, არასოდეს მეფე ისე მოწყალე არა ყოფილა ჩემთან, როგორც ეხლა.—

ბესომპიერი ისე გაოცდა, რომ სკამიდან ვეღარ დაიძრა.

მე მივარდი კარდინალსა სიხარულით.

—რას ვხედამ? თქუენა ბრძანდებით?... მომიტევეთ ეს ალრეულობა... ესრე უეცრად წარმოგვადექით თავსა, და ბესომპიერიკი ეხლა მეუბნებოდა....

—ჩემს გაპარვაზედ?... ჰო, ჰო, მე ვიცოდი, რომ ძალიან გეწყინებოდა, ჩემო შვილო. აი რისთჳს დავეშურე შენს სანახავათ და დასამშჳდებლად მაგრამ, წარმოიდგინე, მარიონ, არავინ შემხვდა შენი

მოსამსახურენი, მე ავირიე შენს ოთახებში, იქ სადღაც შევსულვიყავ და ახლა შენი ხმა შემომესმა... რას ფიქრობ მარშალო! ჰსედამ, ჩემი გავრში წასვლა არ მოხდა, მე ისევ თქჳენთანა ვრჩები.

—ჭეშმარიტად, თქჳენო ყოვლად მაღალ უსამღჳდელოესობავ... მესიამოვნება, მაგრამ გაოცებული ვარ...

—ყველანი ეგრე არიან, ჰსთქჳა რიშელიემ დამშვიდებულის ღიმილით.—მართალია მე ვაპირებდი გავრში წასვლას დღეს დილით; მაგრამ ჩემს ბედზედ შემოვიდა მამა იოსები. იმას ხან და ხან კარგი ფიქრი მოჰსდის ხოლმე:

«კარგს არა შვრებიო, რომ ბრძოლის მეიდნიდგან გარბიხარო, მითხრა იმან: შენი მაღალი ბედიო ისე არ არის ზეცისაგან დუნეთ დამყარებული, რომ დედაკაცის კალმა და ენამ დაფუშოსო. გარწმუნებ შენი სამსახური არ არის დავიწყებულიო. წადი ლუდოვიკი ნახე, ის მარტოა ვერსალის სასახლეშიო,—მაინც შენი წასასვლელი გზაც ისე არისო.»—მე დაუჯერე იმ ბერსა.მე მინდოდა მეცადნა ერთხელ კიდევ ჩემი ბედის ვარსკვლავი. მიველ მეფესთან და ჩაუარდი ფეხებში; იმან ამაყენა მოწყალის გულით, და მიბრძანა: «გმადლობ, რომ მოსველიო. შენ გუშინ მართალი მითხარ, რომ ჩემი ერთგული და თავ გაწირული ყმა ხარო; დღეიდგან მოენდე ჩემს მფარველობასა; შენის მტრების შეთქმულებას და ბეზღებას მე გავაქარვებო; ნურარაფისი ნუ გეშინიანო».... მაგრამ, მარშალო, თქჳენ როგორღაც თითქოს არ გესიამოვნებათო ეს ჩემი ამბავი.

—როგორ, არა, უკაცრაოდ.. მეაღტაცებული ვარ...

—აა, აღტაცებული ხართ, უფრო კარგი, განაგრძელა კარდინალმა: ათ საათზედ მიველი ვერსალში და თორმეტზედ დავბრუნდი იქიდგან, და თან წამოვიღე თჳთ მეფისაგან მოწერილი ბრძანება დასაჭერათ ორივეს ძმების მარილიაკებისა და კიდევ სხჳა ვისიმე.—

კარდინალმა ამ ბოლოს სიტყვაზედ ასეთის მკაცრის დაცინვით შეხედა ბესომპიერსა, რომ მე კანკალმა ამიტანა.

—ორივე ძმა—მარილიაკები უკვე ჩჳენს ჴელშია, განაგრძელა კარდინალმა; დანარჩენებისათჳსაც მიმიღია ღონის ძიება.—კარგი, რომ თქჳენ არ ერიეთ მარშალო, ჩემს მტრებში.

—უფალო მინისტრო, უთხრა მარშალმა ღირსებით, რა ფეხზედ წამოდგა: თქჳენ ყველაფერი იცით... ნუ ჰსწუხდებით მომატყუოთ.

ისარგებლეთ თქუენის ღვაწლითა, როგორც გნებავდეთ. მე უნდა გატესილი მოგახსენო, რომ ვარ და კიდეც ვერ·ე თქუენს მტრებ-ში.—

—მართლა? ჰსთქვა დაცინვით კარდინალმა: მე სრულებით ეჭვი არა მქონდა.,.

—მაგისათჳს ვრაცხე ჰეტიოსნურ ვალად, მე თჳთონ მომეხსენებინა, რაც თქუენ არ იცოდით. მე ეხლავ მეფესთან წავალ და შევიტყობ, ჩემი ძველი სამსახური ახსოვს იმას კიდევა თუ არა.—

—წაბძანდით, წაბძანდით, უთხრა რიშელიემ: მხურს შენთჳს გამარჯვება. ბესომპიერმა წამოავლო ქუდს ჴელი და რა ამაყად დაიხურა, გავიდა ისი.

კარდინალმა მე ჴელი მომიჭირა მაგრა.

—მე შენზედაც ეჭვი მქონდა, მარიონ, რომ შენ და იმ ავაზაკს კუდი კუდზედა გქონდათ გადაბმული: შენი ბედი, რომ რაოდენსამე შენს სიტყვას ყური მოვჰკარ... მაგრამ ის, ის ჩემს ჴელშია...

—შეიბრალე, წმინდაო კარდინალო!თქუენი მტრები დამარცხდნენ, ხომ აღარ გეშინიანთ იმათი ბოროტებისა. აპატიეთ ყველას!—

—მე ვაპატიო?.... მეხუმრები, მარიონ? შეჰყვირა იმან და რა დამიჭირა ჴელი, მიმიყვანა ფანჯარასთან.—აქეთ მოდი, აქ უყურე!

ჩემი საცოდავი მარშალი გადიოდა ეზოში. ის მიახლოვდა დია ალაყაფის კარებს, უეცრად სალდათები შემოეხვივნენ მას და ხმალი აგლიჯეს.—

—ღმერთო დიდებულო! შევჰკივლე მე: ოო, კარდინალო! ეს ხომ სამაგელობაა, ეს ხომ ღალატობაა!

—სრულებით არა, ჩემო ლამაზო. მე ვიცოდი, რომ ის შენთან იყო სტუმრათ. რასაკვრელია მე თჳთონ მომინდა ჩემის ჴელით დამეჭირა. ბასტილია ორ ნაბიჯზედ არის აქედგან, იმას შორს არ მოუნდება შინამდინ მისვლა. ღამე მშვიდობისა, მარიონ, ღამე მშვიდობისა!—

მე გონება წამერთო შიშისაგან. მე აღარ მომაგონდა დამეჭირა კარდინალი, მხოლოდ მე მაშინ გავარდი კარზედ იმის დასაჭერათ, როცა ის უკვე კარეტაში ჩაჯდა, და წავიდა.—

ამაოდ დაუჩოქეს მეფეს მარშლის სახლობამ და იმისმა ნათესავებმა. ის ვერ მოდრიკეს სამოწყალოდ. მარშლის მამულებიც სახემწიფოთ

შერაცხეს

განვლო ერთმა კვირამ. ბევრჯელ მივედ კარდინალთან; მე აღარ მიშვებდნენ იმასთან; მეფესთანაც მისვლა აკრძალულიყო.—ხოლო ნიც გერმანიაში გაესტუმრებინა კარდინალს.—მე მივწერე რამდენიმე შე-სავედრებელი წიგნი მინისტრსა; იმან პასუხიც არ მაღირსა. ამ გვა-რად შემეკრა ყოველი იმედი მარშლის გამოხსნისა საპყრობილიდგან; ციხის მცველნიც ვერ მოვატყუე ფულით და ვერა გავიგერა ამათგან იმ საცოდავის ბედის გამო. დადგა ახალი დრო მინისტრისთჳს: ქრისტეს მსახური გარდიქცა პალაჩათ და ამოფხიკა სახარებიდგან სიტყვა—მიტევება. ამ დღიდგან კარდინალმა ჩაიდო გულებაში დიდი დედოფლის გაგდება პარიჟიდგან.—ორივე ძმა მარილიაკი დაიღუპ-ნენ; ერთი საპყრობილეშივე მოკვდა და მეორეს თავი გააგდებინეს მეიდანზედ; ეს ბოლოსი იყო ის მკვლელი კაცი მარშალი, რომელმაც ამბავი მოგვიტა ლაროშელის აღებისა. ჯარი ტიროდა, როდესაც ეს მიჰყვანდათ დასასჯელად.

იმ დღეს სადილათ ჩემთან იყვნენ ნინონა, მარგარეტა და გერცო-ლი მონმორანსი, რომლის მეგობრობაც შეიქმნა ჩემთჳს ძვირფასი; ჩუჱნ სადილზედ ვისხედით, როცა მოგვივიდა ამბავი მარილიაკის დასჯისა. ეს იყო მონმორანსის ოსტატი სამხედროს სწავლაში. ეს უმაწვილი მეტად შეჰსწუხდა ამ ცნობით: ის სრულებით არა ფიქრო-ბდა, რომ მეფეს არ ეპატივებინა მარშლისთჳს, რომელსაც მთელი სიცოცხლე შაეწირა ერთგულის სამსახურისათჳს.

ასე მგონია, ესლა უყურებ მონმორანსის: ის წამოდგა, მას თვა-ლები სველი ჰქონდა, სიყვითლე გადაჰფენოდა მშუჱნიერს სახეზედ და რა კელები მაღლა აიღო, ჰსთქჳა:

—ესლა რიგი ჩემზედ მოდგა!—

ჩუჱნ გულები გაგვიწყალდა ამ თქმაზედ.

—რას ბრძანებ? შევჰყვირე მე: გაიცალეთ თავიდგან მაგისთანა შა-ვი ფიქრი!

—არა, მიპასუხა იმან ნელა: რიშელიე მეც ისე მომკლავს, როგორ-ც მარილიაკი. თუ რომ მე არ მივცემ იმას მიზეზსა, ის თჳთონ გამომიქექს საიდგანმე. მაშ ჰსჯობს ისევ გამოცხადებით გაუხდე იმას მტრათა. თუ რომ გავიმარჯვებ, განვათავისუფლებ დედოფალს, მე-ფეს, ფრანციას! დღესვე წავალ ჩემს ქვეყანაში ლანგედოკიაში, მოვუ-

წოდებ ჩემთან დიდ დედოფალს და გასტონსა, და იძულებულ ვჰყოფთ მეფესა მინისტრის გაგდებას.—ეს ბუნტი იქმნება ჩუჱნის მხრით, მაგრამ სამღრთო ბუნტი, პატივისცემის ღირსი,.. მშვიდობით!

ჩუჱნ ვერ შევიმაგრეთ მონმორანსი; მართლა წავიდა ის თავის მამულში. მე მეტად შემაწუხა იმისმა მოშორებამ.

ნინონა დაჰსცინოდა ჩემს ნაღველს და ჩუმათ უხაროდა, რომ იმისწასვლით მომეშალა გულის იმედი.

მე უკვე ოც და ათის წლისა ვიყავ; ყველანი მპოვებდნენ ისევ ლამაზათა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემა სიყმაწვილემ განვლო. ნინონას უმაწვილური უბედობა მომწყინდა. უჩხუბოთ ვგრილდებოდი მე მასთან, ამასთანავე გულ გრილათ ვეღარ უყურებდი იმის გაფუფუნებულს სილამაზეს, რომელმაც გამომაცალა ტახტი მშვენიერებისა. რაკი მე ცოტა გაუწყერ ნინონასა, ყველა ჩემი მცნობნი იმისაკენ გადვიდნენ, ეს ძალიან მეცა გულზედ. მე არ მინდოდა ჩემის თვალით მენახა იმისი გამარჯვება, მე მაშინვე ჩემი სახლი გავყიდე და სხვაგან გადაველ, მითომ იმ მიზეზით, რომ იქ უფრო ზალი დიდია.—

ჩემი ცდა, მენახა ბესომპიერი, დაშთა ამაოდ. რიშელიე წავიდა ლოტარინგიაში საომრათ.

ერთს საღამოზედ მსახურმა მომახსენა, რომ ვიღაც ქალი გელისთ კარეტითაო. მე ჩაველ ქვეით, გავაღე ეკიპაჟის კარები და გერცოღინია დეშევრეზი გადმომწვდა მოსახვევნელად. ხუთი წელიწადი იყო, რაც ჩუჱნ ერთმანეთი არ გვენახა.

—ჩამიჯექ კარეტაში და სასახლეში წავიდეთ, მითხრა იმან.

მე მოწყენილი ვიყავ შინ ჯდომითა და ბესომპიერის ნაღვლითა. მე მიამა რომ მიწვევდა სასახლეში. მე მაშინვე ჩაუჯექ ეკიპაჟში.

—იცი მარიონ, იმ ურცხვმა კარდინალმა კიდევ მითავაზა თავისი სიყვარული ლოტარინგიაში, როცა მე მიველ სათხოვნელად მომცეს ნება პარიჟში მოსვლისა.—არა ეშმაკობა არა გაგვეწყორა იმ კაცთან. აქ, ფრანციაში კაცის მასხარათ აგდება სიკვდილია. დღეიდგან მე ვეცდები, რომ კარდინალი მასხარა გავხადო. მე და დედოფალს გუნებაში ჩაგვიდვია ერთი ოინი მოუვიდეთ იმას. შენ თვითონ ნახამ მარიონ.

ჩუჱნ მივედით ლუვრში, სადაც დედოფლის თხოვნით დასახლებულ იყო გერცოღინია დეშევრეზი.

—მარიონ, დედოფალსა სურს შენი ნახვა, მითხრა იმან; ეს დიდი პატივის ცემა არის შენთვის. სამი ნაწილი შენის გარდასავლისა შევ-მოკლე დედოფალთან ლაპარაკში შენზედ. იმან იცის შენი ისტორია გერტრუდ ბუკინღემთან და უნდა თავის თვალით დარწმუნდეს, მართ-ლა დიდი მგზავსება გაქვს იმასთანა.

გერტრუდინამ იმ ღამესვე წარმადგინა დედოფალთან. ამათმა დი-დებულებამ მოწყალედ მიმიღეს. დედოფალი ანნა—ნამდვილად დედ-ოფალი იყო ტანით, ქცევით, მშვენიერებით, შეხედულებით, ლაპარ-აკით. იმის ყინულისაგან შედგენილი ქმარი ლოტარინგიაში იმყოფ-ებოდა თავის მინისტრთან. ამისათვის სასახლე ემგზავსებოდა პანსი-ონსა, სადაც ყმაწვილები—ცელქობენ და ქმაკობენ ოსტატების იქ არ ყოფნით. ჩვენ გატარებდით დროსა ლუვრში მხიარულად და ყმაწვილებივით.—ოცჯერ მათქმევინა დედოფალმა ჩემი შემოხვევა ბუკინღემთან.—ის მეტად პატიოსანი იყო, რომ დავიწყებოდა თავი-სი მოვალეობა. ბუკინღემის სიყვარული იმას არ აწუხებდა: დედო-ფალს მონმორანსისათჳს უცემდა გული და არც მალამდა ამას თავის მეგობრებთან. საწყალი დედოფალი! ის იმისთანა ლამაზი და მეფე იმისთანა ქმარი—რა დასაძრახისი იქნებოდა, რომ იმის გული ცო-ტა გადაჰსცდენოდა ჰსწორე გზასა?—

ერთს საღამოზედ მე და დედოფალმა ჩავიცვით ერთნაირი ტანი-სამოსი, მეც რომ ქერა ვყოფილიყავი, მსგავსება სრული იქნებოდა. მე მაშინვე შევღებე იმას მსგავსად თმები და წარბები, ავიღე წიგნი ჴელში და ჩამოვჯექ იქ, სადაც ჩვეულებრივ დედოფალი ბრძანდებოდა ხოლმე. ვინც ჩემს ახლოს გაივლიდნენ ფრეილინები, ღრმათ თავს მიკრავდნენ; უეცრად დედოფალიც გამობრძანდა, და მოისმა გაოცები-თი კიჟინა: «ოჰ დედოფალო!» ჩქარა მოეკვეთა ჩემს მხიარულებას და სასახლე დაემსგავსა იქ სამგლოვიარო სადგურს: მეფე და კარდინა-ლი მობძანდნენ ლოტარინგიიდგან გამარჯვებულნი.—

გერტრუდინას დეშევრეზმა გაუგრძელა კარდინალს თვალით თამა-შობა, რომელიც დაეწყო ლოტარინგიაში. სიყვარული და იმედი თვა-ლებს უბამდნენ მინისტრსა და ისე ჩქარა ებმებოდა ბადეში, როგორ-ც გელაქნეყა. ის უგზავნიდა გერტრუდინას მდიდრულ საჩუქრებსა, შემდეგ, რა ერთხელ შეხვდა, ჰსთხოვა კარდინალმა მიეცეს ნახვის ნება.

—სიხარულით, უთხრა გერცოგინიამ, თუ მხოლოდ შენ იმ ატ-ლასის ტანისამოსს აღარ ჩაიცომ, როგორც ადრე, თავის ჯერსა.

კარდინალმა შეჰფიცა უკანასკნელ მოდაზედ მორთულიყო,—და გერცოგინია შევიდა თავის სადგომში გახარებული. იმან მოუწოდა დედოფალს, ყველა ფრეილინებს და მე, დაგვმალა ტანთ საცმელის ოთახში, რომელსაც კარები მინისა ჰქონდა და მწვანე ჩამოფარებულს ფარდაში ყველა სჩნდა.

რიშელიე მოვიდა გერცოგინიასთან დანიშნულს ვადაზედ. ესლა ის იყო ჩაცმული, როგორც შეჰფერის კეთილშობილს გმირსა: იმას ეცო დიდრონი მუხლებამდინ ჩექმები ოქროს დეზებით, ძვირფასის ქვებით მოჭედილი ხმალი გვერდზედ ეკიდა ოქრომკედით ნაქსოვს ტყავზედ, სოსანი ხავერდის შალვარი და დიდრონი ბუმბულიანი ქუ-დი ასრულებდა იმის მორთულობას.

—აი ეგ არის თქუჱნი შესაფერი ტანისამოსი, უთხრა გერცოგი-ნიამ; უცხოთ ხართ ჩაცმული; ტანსაც კარგათ გიჩენსთ; მხოლოდ გეტყობათ კი, რომ შეჩვეული არა ხართ ამ ტანისამოსსა; მოძრაო-ბაში თითქოს ძალას ატან თავსაო, სიარულშიაც ირევი ცოტა.—აბა მაღლა აიღეთ თავი, ეგრე... აბა გაიარ გამოიარეთ!—

კარდინალმა გაიარ გამოიარა.

—აბა ახლა დოინჯი შემოიყარე...ძალიან კარგი!.. დაეყუდეთ ხმა-ლსა.—ერთი ფეხი ცოტას წინ წამოდგით... უცხოა, უცხო!.... ნიჭი-ანი კაცი ყველას ჩქარა მიხჳდება... აბა ესლა თავი დამიკარ, და არ დაგავიწყდეთ მარჯვენა ხელი მიწას დააკარო.

მინისტრის წელი არ იყო ძალიან მოქნილი. დაიკუზა თუ არა, იმან ვეღარ აიტანა თავი მაღლა, დაებჯინა ხმალსა, მაგრამ ხმლის ბოლო წაუცურდა პოლზედ და თითონაც გადიშხლართა.

დედოფალმა ვერ მოითმინა სიცილი, ფრეილინებმაც შექმნეს კასკა-კი—საშინელი კასკასი!

რიშელიე გაყვითლებული წამოხტა და შემოიხედა მრისხანედ მინის კარებისაკენ. მე მოვეფარე ქალებს, რომ არ დავენახე.

—მანდ ვინ იყვნენ? ჰკითხა გაცოფიანებულმა კარდინალმა.

—არ ვიცი, მე არავინ მინახამს! მიუგო დაყოყმებით გერცოგინიამ.

—გააღე ესლავ ეს კარები! შეჰყვირა რიშელიემ გაბრაზებით.

დედოფალი გამობრძანდა.

—თქჳენ ბრძანებულხართ, დედოფალო?... წაილუღლუღა არჟულმა მინისტრმა.

—როგორც მხედამთ, უფალო კარდინალო! მე გასლდი ჩემის ფრეილინებით... რათა ხართ ეგრე გაჯავრებული? უთუოთ ტანციობის ნიჭი არა გაქჳსთ... ანუ გერცოღინია ვერ შეგხვდა კარგი ოსტატი.

—არა დედოფალო. მე კარგათ ვიცოდი, რომ გერცოღინიას ჰყოლებოდა მოწმები დამალული; მე მინდოდა მხოლოდ შემეტყო, სადამდის ექმნებოდა ამას გამბედაობა მიეყვანა თავისი კადნიერება; მეც განგებ დავემორჩილე ამის ხუმრობასა; მაგრამ გვეტყობა, წლოვანებასთან სიმარდეც გვაკლდება მუხლებში. მშჳდობით! მე დიდათ მიხარიან, რომ ჩემმა უნემანმურობამ მცირედი გაგამხიარულათ.—მშჳდობით ბრძანდებოდეთ თქჳენო დიდებულებავ, მშჳდობით გერცოღინიავ, გმადლობ ხუმრობისათჳს; ვეცდები გარდაგიხადო მადლობა.—კარდინალმა მდაბლად თავი დაუკრა ყველას და გავიდა.

ყველას შიშის ქარმა დაგვიარა ტანში; ჩჳენ არ ვიყავით კმაყოფილი გერცოღინიას ხუმრობისა. ლომის გაბრაზება ადვილათ არავის გაუშვლის.—

ოთხს საათს უკან მეფემ დაიბარა გერცოღინია თავისთან.

—გერცოღინიავ, უბრძანა იმან: შენ დაბრუნდი ლუვრში იმიტომ, რომ შემოიტანო აქა ურიგობა და გარყვნილება. კარდინალს თავის თვალით ენახა შენი უგვანო ქცევა ჩემს სახლში. ჩჳენ არ გვიყვარს მაგ გვარი შექცევა და უმორჩილესათა გთხოვთ დაბრუნდეთ უკანვე ნაცნობს გზაზედ ლოტარინგიისა.—

ამაოდ ცდილობდა გერცოღინია გამოეფხიზლებინა მეფე. იმათმა დიდებულებამ მხრები აიწია და გაუზდელათ შეაქცია მას ზურგი.—

ნაღვლიანი დაბრუნდა გერცოღინია მეფისაგან.

—მეფეს და კარდინალსა ჰგონიათ, რომ მე გამოვესალმები პარიჟსა, ჰსთქვა იმან... იმათის თვალების სეთქამ... რაც უნდა მომივიდეს, აქ დავრჩები; დაე ილესონ ჩემზედ კბილები!

იმან მაშინვე ხმა დაყარა, რომ მიდის ლოტარინგიაში; მსწრაფლად ჩაალაგებინა ჩამადნები, და რა მორთო თავის ტანისამოსში მოახლე, საღამო ხანზედ ჩასვა ის ეკიპაჟში, ჩამოაფარა პირზედ ლე-

ჩაჭი და გაისტუმრა თავის მაგიერათ. მერმე თჳითონ ჩაიცვა ვაჟურათ ტანისამოსი, მოიკვეცა თმები კუწრულათ, გაიკეთა წვრილი წაბლის ფერი ულვაშები და ჩამოიყარა მკლავი მკლავში და ამ გვარად წამოვედით სასახლიდგან ჩემს ახალს სახლში. ამ ცვლილებით გერცოღინიას ვერავინ იცნობდა, და ჩემა მსახურებმა იფიქრეს, რომ მე ახალი მიჯნური ამითრევია. თჳთონ ამანაც გამოაცხადა თავის თავი ჩემს მიჯნურად, და ურცხვად მატარებდა ხოლმე სასეირნოდ ყველგან. ერთხელ, რა შინ დავბრუნდით, ვნახეთ დედოფლის მოახლე ჩუჱნ გველოდა. იმას მოეტანა დედოფლის ბარათი, რომლითაც გვატყობინებდა, რომ ლანგედოკში გავრცელებულა მწრაფლად არეულობა მონმორანსის მეცადინეობით, და მეფის კაბინეტში გარდუწყვეტია რიშელიეს იმისი სიკვდილი თუ ხელში ჩაიგდებენ. დედოფალი გვათხოვდა მივსულიყავით იმ ღამეს ბაღში სამხრეთის მხრითა, სადაც დაგვხვდებოდა იმის კამერდინერი.—

დანიშნულს ვადაზედ ჩუჱნვიყავით უკვე დედოფალთან.

—ოო!შეჰკივლა დედოფალმა,მწარეთ მტირალმა: მე იძულებული ვიყავ მომეწოდნეთ საშველებლად! ის საცოდავი თავის თავს ღუპავს. განა არ იცის იმან რა საშიშროებას აძლევს თავსა? გევედრებით, გაემურენით ტულუზაში!.. დაე წავიდეს ისა, დაე გაიქცეს ფრანციიდგან!... რიშილიე მოჰკლავს იმასაც, როგორც სხვები დახოცა.—უთხარით გენრის, რომ იმის სიკვდილი ჩემი სიკვდილი იქმნება; უთხარით რომ მე ის მიყვარს, რომ მე ვთხოვ, მე უბძანებ გაიქცეს სადმე. თჳთ მეფე აპირებს გაჰყვეს კარდინალსა ბუნტის დასამშვიდებლად. ამათ უნდათ მეც თან წამიყვანონ, ამიტომ რომ მაჩვენონ იმისი თავის გაგდებინება...ღჳთის გულისათჳს ჩქარა აცნობეთ იმასა და დაიხსენით!...

გერცოღინიამ შეჰფიცა დედოფალსა,რომ ამაღამვე წავალო, მეც უნდა იმას წავყოლიყავ. დედოფალმა მიგვიკრა გულზედ მხურვალებით და გვეფიცებოდა თავის სიცოცხლეში არ დაივიწყებს ჩვენგან ამ სიკეთესა. ჩუჱნ გამოვედით ბაღიდგან. ერთი საათის უკან ჩემს კარებზედ იდგა ფოშტის კარეტა. მეც ვაჟურათ ჩავიცვი ტანისამოსი და მე და გერცოღინია გავფრინდით ლანგედოკისაკენ.ჩუჱნ მივაჭენებდით დღე და ღამე.—მაგრამ ორმოც და რვა საათის უკან ჩუჱნ გაგვიტყდა ეკიპაჟი საშიშო ხეობაში. რადგანაც იმის იქით უფრო სულ კლდიანი

გზები იყო. ამისთჳს გვირჩიეს ცხენით წასვლა. ახლა ცხენებზედ გადავსხედით და ხან ჭენებით, ხან ჩაქჩაქით დღეში ას ოც ვერსს ვჰკვეთებდით. ერთს ღამეს დაგვიღამდა იმ სოფელში, სადაც ტრაკტირი არ იყო, ჩუენ იძულებული ვიყავით ერთის მღვდლისას შევეხვეწნა. ეს ძალიან კეთილი მოხუცი იყო და სტუმრის მოყვარე; კარგი ვახშამი მოგვართო, შემკული თავის გამოცხადებულის ლაპარაკით. იმას ერთი კუხნის მეტი არა ჰქონდა, სადაც იმისავითვე მოხუცებული დედაკაცი უწვა და ერთს ოთახშიაც თჳთონ იწვა. მე ვჰკითხე იმას, სად უნდა დაგვაწვინოს.

იმან თავი მოიფხანა, მიიხედ მოიხედა და გვითხრა:

— ერთს ლოგინში თუ დაწვებით სამნივე; მე ერთი ხელი ქვეშაგების მეტი არა მაქვს; მაგრამ განიერია, ერთმანეთთან ახლოს მიწოლით, როგორც იქნება მოეთავსდებით.

მე და გერცოლინიამ ერთმანეთს შევხედეთ და გაგვეცინა. — მაგრამ მეტი ღონე არ იყო. პირველად გერცოლინიამ გაიხადა ტანთ და ჩაძვრა საბან ქვეშ, როგორც თევზი; მეც იმას მივბაძე. რამდენიმე ლოცვების შემდეგ მოხუცეც მოგვიწვა გვერდით; იმისმა ჩქარა ხვრინვის ამოშვებამ ჩუენც დაგვამშვიდა და დაღალულებამ დაგვაძინა.

იმ დროს გამოგვეღვიძა, როცა გათენებული იყო. მღვდელი უკვე გვერდით აღარ გვიწვა: ის ცისკარზედ წასულიყო და ჩუენთჳს საუზმის მომზადება ებძანებინა გოგოსთჳს. ამან კიდევ შინ მოგვასწრო. როდესაც გამოვესალმენით, გერცოლინიამ დაუმადლა და უთხრა, რომ არ დაავიწყდეს ახსარებაში უთხრას მოძღვარს, რომ წუხელის გერცოლინიას დემეკრეზთან და მარიონ დელორმთან გეძინაო. — საწყალი გაოცდა და რამდენჯერმე პირჯვარი დაიწერა. —

ჩუენ მივედით ტულუზაში. მაგრამ კურიერს დაესწრო ჩუენთჳს და მოეტანა აქ მეფის ბრძანება, რომლითაც მონმორანსი ცხადდებოდა დამნაშავედ. მეფეს ჩამოერთმევინა იმისთჳს წოდება, ხარისხი, ჩინი, და იმის მამულს სახელმწიფოთა ხდიდა. — ბრძანება აცხადებდა, რომ თჳთ მეფეც ორს დღეს უკან მობრძანდება. იმ დილითვე ვნახეთ ჩუენ მონმორანსი. ის გაოცდა, თვალებს არ ერწმუნებოდა. ჩუენ უთხარით, რომ დედოფალს არა სურს იმისი სიკუდილი, ის უბრძანებს გარდავიდეს ისპანიაში მანამდისინ გარემოება გამოიცვლება და გამოვა მოწყალება მეფისა იმის დაბრუნებაზედ მამულშივე.

—დედოფალი ხომ ვერ მიბძანებს ღალატობასა? გვითხრა იმან ამოხვრით: მე მივეცი უკვე სიტყვა მარია მედიჩის და გასტონსა. იმითი ჯარი უკვე შეკრებილია. დღესვე გადაწყდება ჩუენი საქმე,

—იფიქრეთ, რომ მეფის ჯარი უკვე მოვიდა, უთხრა გერცოგინიამ; თქუენი ჯარი იმასთან ვერას გააწყობს; იცი რა ბრძანებაც არის მიცემული თქუენზედ. თუ რომ კარდინალს ხელში ჩაუვარდები, დედოფალი მწუხარებით მოკუდება... ეს იმისი საკუთარი სიტყვებია. —

—ღმერთო! ღმერთო! გერცოგი ტიროდა და იმტვრევდა ჴელებსა.

—მართალია, ეშაფოტზედ არ უნდა მოკვდეს მონმორანსი. წადით, მოასხენეთ დედოფალს, რომ მოვკვდები ღირსი იმის სიყუარულისა, მოვკვდები, როგორც დახოცილან ჩემი წინაპარნი, ბრძოლის ველზედ. ჩემი უკანასკნელი გულის ბგერა — იმას ეკუთვნის. —

ამ სიტყვებით იმან გააჭენა ცხენი თავის ჯართან, რომელიც იქნებოდა სამასამდინ კაცი. —

იმ დღეს მომხდარიყო ბრძოლა. რა შეეტყო გასტონს, რომ მეფე თჳთონ აპირობს მოსვლას, შეშინებოდა და აღარ გამოსულ იყო ჯარით საომრად. მარტო მონმორანსი სამასის კაცით მიჰგებებოდა მეფის ჯარს, ხუთი ათას კაცსა. ბრძოლა ყოფილიყო საშინელი, მაგრამ მცირეს ხანს. მონმორანსი დაჭრილიყო ექვს ადგილას ხმლით და თერთმეტგან ტყვიით. — ის მაინც ცოცხალი ჩაიგდეს ტულუზაში და ქალაქის ციხეში ჩასვეს. ზეითი ატაკა ამ ციხისა კარდინალმა მოამზადებინა დედოფლის ანნა ავსტრიულის მისაღებად იმისათჳს, რომ ამ სატოდაკისთჳს ეჩვენებინათ იმ კაცის სიკუდილი, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ მეფეს და მინისტრსა. —

ჩუენ დავიჭირეთ სახლი დედოფლის პირდაპირ; მაგრამ იმის ნახვა ვერ მოვასწრეთ. ბოლოს იმის კამერდინერი ლაპორტი ვნახეთ. იმან გვაცნობა, რომ მონმორანსის მკლავზედ შებმული უპოვნიათ ბრასლეტი დედოფლის პორტრეტითა — ამას მეტად გაეცეცხლებინა მეფე და კარდინალი უფრო უკეთებდა ცეცხლს, მსაჯულებმა ჩქარა გარდასწყვიტეს გერცოგის სიკუდილი.

ჩუენი სახლის პატრონის ძმა იყო სტოროჟათ საპყრობილისა. ღარიბი კაცი ჩუენ ჩქარა დავითანხმეთ ფულით, შეგვიყვანოს იმ ღამეს მონმორანსისთან. ჩუენ გაცნობეთ ეს მაშინვე დედოფალსა.

იმას მოეწერა ორი სტრიქონი დასველებული ცრემლით:

«თქჳენა გაქჳსთ იმედი გამოგლიჯოთ სიკჳდილს ის საცოდავი, განაგრძელეთ თქჳენი მეცადინეობა. ყოველი ჩემი სიცოცხლე თქჳენ გეკუთვნისთ.»

ჩჳენ დავაწყეთ, რომ მონმორანსი შეიმოსება საპყრობილის მოხამსახურის ტანისამოსში და ისე გამოვა ციხიდგან. მერმე ყველანი ჩჳენ და ციხის სტოროჟი უნდა გავქცეულვიყავით ისპანიაში.—

დაჰკრა შუაღამემ. ყველასა ჰსძინამსთ საპყრობილეში. სტოროჟმა დაათრო ყარაულნი, რომელთაც აბარიათ ციხე. დაბრკოლება აღარ არის. ნელა გაიღო საპყრობილის კარი და ჩვენ შავედით. გენრი მონმორანსი იწვა ჩაცმული ლეიბზედ. ის იტანჯებოდა დაჭრილობისაგან ისე, რომ ძილშიაც არა ჰქონდა შვება, და ემზადებოდა სასიკჳდილოდ. ჩჳენს მიახლოვებაზედ, იმას თავი არ აუწევია. ჩჳენ წავადექით თავზედ. ის შეკრთა, წამოიწია და გვითხრა აღრეულებით:

— კიდევ ისა გზავნისთ? —

მე მივართვი დედოფლის ბარათი.

იმან წაიკითხა; თვალში ცრემლმა უბრწყინა და დიდხანს ჰკრა ტუჩებზედ ის ბარათი.

— დაეშურენით, თქჳენო უგანათლებულესობავ. კარები ღიაა... აი ტანისამოსიც. ჩჳენ ხვალ ყველანი პირინეის მთას იქით ვიქნებით გასულნი. ესლა არის თქჳენი ხსნის გზა, ნუღარას ყოყმობთ.

გერცოღის თვალებმა იწყეს ბრწყინვა სიხარულით.— სიცოცხლე! ჩჳენ მიუტანეთ იმას სიცოცხლე! მაგრამ იმავე წამს მწუხარებით გაიქნია თავი და რ: დასედა ჯვარცმას, რომელიც ჴელში ეჭირა. გვითხრა:

— არა, არა... ჰსჯობს მოვჰკვდე.

— რას ბძანებ! რას ფიქრობთ! უთხრა გერცოღინიამ, კარების გზა ღიაა. ყოველი დაბრკოლება შემუსვრილია.. რა ეჭვი გაქჳსთ? დრო ძვირია.

— არა, არა, სიკვდილი მირჩევნია, განიმეორა იმან: ის სიცოცხლე, რომელსაც თქჳენ მთავაზობთ, რა სიცოცხლეა—ეგ იქნება შესარცხვენავი, საძრახავი; სიცოცხლე, რომელიც უნდა ვათრიო განშორებული ფრანციიდგან, და უფრო იმისგან, ვისაც ვეღარა ვნახავ... ჩემი ყოველი ბედნიერება შელეწილია... განა შეუძლიან იმას თან გამომ-

ყვეს?... არა, ამიტომ, რომ ის დედოფალია... იმისი ვალია დარჩეს ქრმის სიახლოვეს და არ შეარცხვინოს გვირგვინი... ამ ქვეყანაში ჩუენ სამუდამოდ განშორებულნი ვართ, ცაში დაუწყებ მას მე ლოდინსა!— ოო, ბოროტო ბედო!...

ჩუენ მოვეხვიენით მონმორანსის მუხლებზედ, ტირილით ვეხვეწებოდით გამოგვყვეს ისი—მაგრამ, ვერც თხოვნით, ვერც ცრემლით ვერ დავიმორჩილეთ ისა.

—მშვიდობით, გვითხრა იმან: გმადლობთ ერთგულებისათჳს, რომელსაც თქუენის მეტი ვერავინ ვერ იქონიებდა... გთხოვთ იმას იქონიოთ ჩემზედ მოგონება და ილოცოთ ჩემის სულისათჳს!... სტოროჟი შიშით კანკალებდა, რომ ყარაულებს არ გამოეღვიძნათ. იმან საჩქაროთ გამოგვიყვანა ჩუენ.

ციხის ეზოში გამართეს მეორეს დღეს ეშაფოტი და მოკეტე'ს კარები. მხოლოდ გერცოგის დასჯა შეეძლოთ ენახათ იმათ, ვისაც მაღალი სახლი ჰქონდა იმის ახლო მახლოს. ჩუენც გვქონდა მწუხარე პატივი იმის ნახვისა.

გამოვიდა მონმორანსი შავში მოსილი, ჴელში ჯუარცმით. იმ ეზოდგან სჩანდა დიდი ჰენრიხის მეოთხის მაღალი ძეგლი; ეს მეფე იყო ნათლია მონმორანსისა, ამას ბევრჯელ უალერსნია სიყმაწვილით ამისთჳს და ახლა იმის შვილი ისტუმრებს სასიკუდილოთ მამის ნათლულისა! ეს ტკბილი მოგონებანი წარმოუდგა მონმორანსის და ცრემლი გადმოყარა.—შემდეგ მტკიცის ნაბიჯით ავიდა ეშაფოტის კიბეზედ.

—ისე მომჭერ თავი, უთხრა იმან ჯალათსა, რომ ძირს არ დავაგდო. იმან დიდის წვალებით დადო თავი კუნძზედ, რადგანაც ყელში დაჭრილობის წყლული ჯერ არ გამთელებოდა.—

—გაბედვით დაჰკარ! უთხრა იმან ჯალათსა და წარმოჰსთქუა ნელა: უფალო იესო ქრისტევ, მიიღე სული ჩემი!

იმ წამს მოისმა ცულის ზუზუნი, და ერთს მაღალის სახლის ფანჯარაში შეირყა ფარდა. ამ ფანჯრიდგან ერთი კაცი ჰსტკბებოდა სასიკუდილო სახილველით. ეს კაცი იყო რიშელიე!

ჯალათმა ასწია სისხლიანი თავი. პოლიცმეისტერმა გაადებინა საპყრობილის ეზო ამ თავის საჩვენებლად ხალხისა.—ესრეთი ბოლო ჰქონდა ჰენრის მონმორანსის, რომელიც იყო უკეთილშობილესი და უპირველესი კაცი მთელს სამეფოში!—

ამის მნახველმა გერცოღინიამ ვეღარ გაბედა პარიჟში დაბრუნება, რადგანაც ის იქიდგან გამოგდებული იყო მეფის ბრძანებითა. იმან მოინდომა ისპანიაში წასვლა, სადაც მეც მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ იმან უარი ჰყო: შენ იქნება დედოფალს დაჰსჭირდე რაშიმეო, დაბრუნდი პარიჟში იმის ნაღველის შესამსუბუქებლადაო; ყველა ფრეილინაზედ ის შენ უფრო გენდობაო.—მე დაუჯერე გერცოღინიას და დავბრუნდი პარიჟში.

რადგანაც ეხლა დედოფლის მცნობი ვიყავი და კეთილად მიღებული, მე აღარ შემფეროდა ახალი მიჯნურების მოძებნა, რომ არ მოკლებულ ვიყავ იმისაგან უმაღლეს მოწყალებას. ამისათჳს გასართველად მე გავიმართე ბაღის ბოლოში ოთახი, ავავსე ის რჩეულის წიგნებითა და ვიწყე წერა ჩემის გარდასავლისა, ესე იგი ამ ჩემის აღსარებისა.—

ნინონა ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩემთან და დამცინოდა კელის აღებაზედ ქვეყნიერების კმაყოფილებისაგან.

ტულუზიდგან დაბრუნდა მთელი სასახლე. ანნა დედოფალს სურდა ჩემი ნახვა. იმან გამოუგზავნა თავის ერთგული კამერგერი ლაპორტი. ამან მითხრა, რომ დედოფალი ყოველ ხუთ შაფათს დაიარებოდა ერთს დედათ მონასტერში მონოზნებთან საუბრად. ლაპორტმა მთხოვა მეც მივიდე ხუთშაფათს, დანიშნულს ვადაზედ, დედოფალთან მოსალაპარაკებლად, და სახელად დავირქო ბარონესა დემელვალ.

მე მიველ მონასტერში დანიშნულს ხუთშაფათს. საწყალი დედოფალი! რა ნაღვლიანათ ვპოვე მე ისა! იმან ტირილით შემამჩივლა, რომ სურს დაუტევოს ლუვრიც და მთელი ფრანციაც. მეფის ქცევა ეჩვენებოდა იმას საზიზღრად. უკვე თექვსმეტი წელიწადი იყო იმათი ჯვარის წერა, და აქამდის როგორც უცხონი, ისე სცხოვრობდნენ. თჳთ მომთმინო ცოლიც აღშფოთდებოდა ამისთანა ქმრის კელში.—დედოფალს არა ჰსწამდა მეფის უსრულ ბუნებობა. იმან შემომჩივლა იმის სიყვარულზედ ერთს ფრეილინასთან ლაფაიეტის ქალთან.—მე გავბედე დამემშვიდებინა დედოფალი ამ ქალის გამო, და აუხსენ ყოველივე პლანი, როგორც გავიგონე ბესომპიერისაგან. მაგრამ დედოფლის გული, შევიწროებული ხშირის მწუხარებით, არ ერწმუნებოდა იმედს, რომ საუკეთესოდ შეჰსცვლოდა იმას ბედი,—და ამისთჳს გუ-

ჩემში ჩაედო ისპანიაში წასვლა.

—მაგრამ ჩემს საუბედუროდ, ფრანციამ გამოუცხადა ისპანიას ომიო, დაატანა დედოფალმა: როგორ უნდა ვაცნობო მე ჩემს სახლობას, გერცოგინია დეშევრეზსა და სხჳათა ჩემს მეგობრებსა? შენ უნდა შემეწიო ჩუმის გზით, საყვარელო მარიონ და დამესმარო იმათთან მიწერ მოწერაში.

—თქჳენო დიდებულებავ, შეგიძლიანთ მოენდოთ ჩემს ერთგულებას ჩემს სიკჳდილამდინ.

—ვიცი, ბევრჯელ დამიმტკიცე შენ ეგა. მაგრამ ნუ იფიქრებ, მარიონ, რომ მე მქონდეს მცირედი აჩრდილი ფრანციის ღალატობისა: ღმერთმა მიხსნას მაგისთანა უპატიოსნობისაგან! მაგრამ მე შემომელია ძალა მეფეს გაუძლო. ის ცდილობს ჩემს შერცხვენას. ჩემი სახლობა გამომესარჩლება მე და მოითხოვს ჩემს გაშვებას იმასთან.—

აქ დედოფალმა ამიხსნა თავის პლანი.

ყოველ კვირა ხუთ შაფათობით, ის უნდა მობრძანებულიყო მონასტერში, და აქ ეწერა იმას წიგნები. რაც ისპანიიდგან წიგნი მოვიდოდა, ისინი სულ ჩემს სახელობაზედ იქნებოდა, ესე იგი ბარონესა დემეკალ.ლ სხვის სახლში და არა ჩემსას; მე ეს წერილები უნდა დედოფლისთჳს მიმეცა, და შემდეგ ეს მომცემდა თავის ნაწერ წიგნებს, რომლებიც უნდა მე მიმეცა ოგუსტ დე-ტუსთჳს პარლამენტის სოვეტნიკისათჳს, რომელიც კისრულობდა გაეგზავნა ისინი თავის ალაგს დანიშნულებისამებრ. დედოფალმა მომცა ამ ყმაწჳლი კაცის სოვეტნიკის ადრესიც.—

რა შინ დავბრუნდი მონასტრიდგან, მე გავგზავნე მსახური და დავიბარე ოგუსტი დე-ტუ. ეს იქნებოდა ოც და ოთხის წლისა, მაგრამ იმისი დამჯდარი გონიერი სახე უფრო მეტისას ჰგვანდა. ამის შუაკაცობა დედოფალმა მიიღო გერცოგინია დეშევრეზის რჩევით, რომელიც დიდად პატივსა სცემდა ამ ყმაწჳლ კაცსა, ჭკვიანსა და დაფარულსა.

ამ გვარად გრძელდებოდა ისპანიაში დედოფლის მიწერ მოწერა, რომლისათჳსაც რიშელიემ ბევრი აყალ-მაყალი ასტეხა. ამაში იმას დედოფალი გამოჰყვანდა დამნაშავედ, ორგულათ, და კინაღამ დააჯერა მეფეც და მთელი ევროპაც. ამ დროს შეიძლებოდა ეთქვათ რომ მეფე კარდინალი იყო. სასახლის ხალხი კანკალებდა იმისაგან

ის განაგებდა სახელმწიფო საქმეებსა თავისის ნებით, და რა არავის არას დაეკითხებოდა, ისა ჰსწყვეტდა ყველა დიდ საქმესა და ბრძანებლობით ელაპარაკებოდა მთელს ევროპასა, მაშინ როდესაც ნამდვილი მეფე ძალა ჩამორთმეული, მხოლოდ იჭერდა ჩიტებს თავის საყვარლებთან ან ნადირობდა მგლებზედ.—

ერთს ხუთშაბათს ჩვეულებისამებრ მე ჩავიცვი დილით და მივედ ქალების მონასტერში ქვეითი; მე სულ ქვეითი ვიარებოდი ხოლმე, ამიტომ რომ ჩემი ეკიპაჟი არ ეცნათ. იმ დღეს დიდხანს ველოდე დედოფალსა. ამ მონასტრის უფროსად იყო რიშელიეს ბიძაშვილი. რასაკვირველია საოცრად ჰსჩანდა, რომ ანნა დედოფალი ენდობოდა კარდინალის ნათესავსა. მაგრამ ეს პატიოსანი იღუმენია ისეთი ერთგული და თავ განწირული იყო დედოფლისა, რომ იმის გულისათჳს არ დაზოგამდა კარდინალი თავის ხელით მოეკლა. ყოველ წერილებს დედოფლისას ეს ინახამდა თავის სენაკის პოლ ქვეშ.—

ბოლოს მობძანდა დედოფალი ორის ფრეილინით. იმას მეტად არეული ჰქონდა სახე.

ჩუ̂ენ შევმოფოთდით იმის დანახვაზედ, და ვჰკითხეთ რა მოსვლია იმის დიდებულებას.

—ჩუ̂ენ დავიღუპენით, გვიპასუხა დედოფალმა: ჩემი ერთგული ლაპორტი დაატუსაღეს! კარდინალმა უბძანა ბასტილიაში ჩასმა იმისი. ჩუ̂ენი კურიერი დაუჭერიათ წიგნებით, რომელიც მოჰქონდა მარკიზ მირაბელისაგან, რომელიც ერთხელ აქ იყო ელჩათ ისპანიიდგან. აქ დანაშაული არსად არ არის ჩემის მხრით, მაგრამ უბრალოს წერილებიდგანაც კარდინალს შეუძლიან შეადგინოს გასამტყუნარი საბუთებიც და ის უეჭუ̂ელათაც ისარგებლებს ამ შემთხვევით, რომ ჯავრი ამოიყაროს ჩემის მწუხარებისათჳს მისდამი.—ყოველს წამს უნდა ველოდეთ დასჩხრეკასა.., ჩქარა, წმიდაო დედავ, შენს სენაკში წავიდეთ...

ამ დროს შემოვარდა ჩუ̂ენთან მორჩილი (უნცროსი მონაზონი) შეშინებულის სახით და გვითხრა:

—წმინდაო დედავ, არხიეპისკოპოზი მობრძანდა ვიღაც სხუ̂ა კაცებით; გიბარებთ თქუ̂ენ მეფის სახელობით. ყველა მონაზნები იმან შეაგროვა ეკკლესიაში და უბრძანებს ერთმანეთს ნუ ელაპარაკებითო...

—ჩუ̂ენ დავიღუპენით! შეჰყვირა დედოფალმა სასოება მიხდილმა...

ყველა გამოცხადდა... ყუთი! ღმერთო ჩემო, ყუთი ჩქარა წიგნების!..

—გეფიცები, ყუთი კარდინალს არ ჩაუვარდება! ამაზედ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ დედოფალო, მოახსენა იგუმენიამ.

პატარა შეყოყმების შემდეგ გვალად ჰკითხა, და აჩვენა ჩემზედ:

—დედოფალო, ბარონესას ყველაფერში ენდობით?

—ჰო, ჰო! ყველაფერში! მომარჩინეთ, მომარჩინეთ მე!

—წამომყევი მე! მითხრა იგუმენიამა. იმან გამატარა სამი ოთხი ბნელი ტალანი და შემიყვანა თავის სენაკში; მასწია იქით თავისი კრაოტი, ახადა ერთი ფიცარი პოლისა, ამოიღო ყუთი და მითხრა არეულის ხმითა:

—ბარონესავ! ვენდობ თქვენ პატიოსნებას საიდუმლოსა; მაგრამ რასაც ნახამ, გევედრები, იქიდგან ნუ გამოიტან ცუდს აზრს, შესაგიცხავს ანუ ჩემის სახელისთჳს ანუ დანაშთენის მონოზნებისთჳს. ბერების მონასტერი ჩვენს გვერდზედ არის. ისინი ჩვენი სულიერნი მამანი არიან და ხშირათაც, როდესაც მონოზანი სასიკვდილოთ ავათ გაგვიხდება, იმათ მოაქვსთ ხოლმე ბარძიმ ფეშხუმი საიდუმლოს მისაღებად, იმ მიწაში გაყვანილის გზით, რომელსაც ეხლა თქვენ გაივლით... ეხლა განდობ თქვენ ამ საიდუმლოსა

—ნუ ჰსწუხართ, მოახსენე მე ისე დაცული იქნება ეს საიდუმლო, როგორც აქამდისინ.—იგუმენიამ საჩქაროთ მოუხსო ორიოდე კალამი და მომცა ბარათი მე.

—ხუთს მინუტზედ თქვენ მიხვალთ ბერების უფროსის სენაკში, სამჯერ დააბრახუნე კარი. თუ იქ არ არის, მოუცადეთ მცირეს ხანსა. ის წაიკითხამს ამ ბარათსა. მე ვწერ იმასა, მოგცეს ღონის მიებს გასვიდე მონასტრიდგან ისე, რომ არა ვინა გნახოს. შემდეგ თქვენ უნდა ელოდეთ დედოფლის ბრძანებასა.—

აქ იგუმენიამ აანთო წმინდა სამთელი: მომცა ყუთი, მიაჭირა თითი კედელში პრუჟინასა, ისე, როგორც ამის ბიძაშვილის კარდინალისას იყო, და გაიღო კარები.

—გაიქეცით, გაიქეცით ჩქარა! მითხრა იმან და ნელა ხელი მკრა გასვრეტილისაკენ, რომელიც ჩადიოდა ძირს მიწის გასავალში; და მაშინვე მომიკეტა კარები.—არხიეპისკოპოსი და სხვა მოხელენი მოასლოვდნენ უკვე იგუმენიას სენაკს. იმ დროს, როდესაც იგუმენია ეჩქარებოდა ჩემის კარის მოხურვასა, ნიავმა შემოუბერა ძირიდგან

და გამიქრა სამთელი. მე დავრჩი საშინელს ბნელაში. კარების დაბრა-ხუნება აღარ შეიძლებოდა. მე უკვე მესმოდა ლაპარაკი არხიეპისკო-პოსისა.

—თქჳენი მონოზნები, უთხრა იმან იგუმენიას: მეტად ერთგუ-ლათ გემცევიან თქჳენა, და ბევრი შრომა მომინდა მე, ვიდრე მოვა-გნებდი თქჳენს სენაკსა. რაკი გაიგეთ ჩუენი მოსვლა, თქჳენ მაში-ნვე მოგიტანიებიათ თქჳენის სენაკისათჳს, რასაკვრელია იმიტომ რომ დამალოთ ჩუენის ძებნისაგან რომელიმე ქაღალდები, აქ შენახული.

—გარწმუნებთ, წმინდაო...

—ნუ მარწმუნებთ, ნუ სტყუით. დედოფლის სენაკს უკვე ჰჩხრე-კენ (დედოფალსაც ცალკე ჰქონდა სენაკი სალოცავად), და ჩუენა გვაქვს ბრძანება მთელი მონასტერი გადავაბრუნოთ. ჩუენის უსიამოვნობი-საგან განთავისუფლებისათჳს ამ ძებნის და ჩხრეკის გამო, თქჳენ უნდა ეხლავ გაბძანდეთ ამ მონასტრიდგან და მოიცადოთ იმ მო-ნასტერში, რომელიც ამოურჩევია თქჳენს ბიძაშვილს კარდინალსა. თჳთონ ის მობძანდება იქ თქჳენთან მოსალაპარაკებლად. ინებეთ წაბ-ძანდით ოთხის მოლოზნითა, ჩემი კარეტა მიგიყვანსთ დანიშნულს მონასტერში.

—მე კარგათ ვიცი, წმინდაო მამავ, კანონი მორჩილებისა და არ გაუძალიანდები თქჳენს ბრძანებასა, უთხრა იგუმენიამ: უბრძანეთ გაჩხრიკონ აქაურობა; ადრევე გარწმუნებთ, რომ არცარა არის რა აქ დამალული და ვერცარას იპოვნიან.

—მე უბრძანებ მონოზნებს ამოირჩიონ თავიანთში თქჳენს მაგ-იერათ ახალი უფროსი; მაშინ ის მიშველის ძებნაშიც და პოვნაშიც.

—იყოს ნება უფლისა და თქჳენი!

—კარეტა გელის თქჳენ... მაგრამ მოემზადეთ; წასვლამდინ უნდა გაგჩხრიკონ თქჳენცა.

—არ გაუძალიანდები. მე უნდა დავემორჩილო რასაც ინებებთ —

—წამამყევით.—

ისინი ერთათ გავიდნენ სენაკიდგან.

ჩემი მდგომარეობაც საშინელი იყო. თითქოს ცოცხალი დამმარ-ხეს მე ჯურღმულში. მაგრამ შევიკრიბე სიმხნე; კედლები წავიშვირე წინა და ბობღით მივდიოდი; თჳთონ ვიწრო იყო; თუმცა იგუმენიამ მითხრა ხუთ მინუტზედ მისვალ კარებამდინაო, მაგრამ მე მეგონა

ნახევარ საათიც მივბოტამდი. ბოლოს მე მივედ დანიშნულს კარებამდინ- სამჯერ დავარახუნე ისა, მაგრამ არ გაიღო. ბერების უფროსი შინ არ იყო. შიშის ჟრუანტელმა დამიარა ტანში. ნუთუ ამ საფლავში უნდა დავრჩე, მანამ თითონ მომიკითხამენ? მე ვამტვრევდი მეხის კარებს, უძახოდი, ვყვიროდი რაც შემეძლო. არავინ ხმას არ მცემდა.—მე სასოებას მეკარგებოდა.—ნახევარ საათმა განვლო, რაც მე სველ ქვაზედ ვიყავ ჩამომჯდარი; ამ დროს ჩემი ყურადღება მიიზიდა რაღაც რახარუხმა. ეს ხმა მოდიოდა არათუ ბერების უფროსის სენაკიდგან, არამედ ჩემს მარჯვნივის მხრიდგან, ისმოდა, რომ წერაქვით კედელს აქცევდნენ. საშინელმა ფიქრმა გამირბინა თავში; იქნება მონისტრის პოლიციამ მიაგნო საიდუმლო მიწაში გასასვლელსა? კაი, თუ ამ ყუთით ჩავუვარდე ხელში ლაფქემას და იმის კაცებსა?

წერაქვის ცემა აუხშირეს და გაუძლიერეს. უეცრად კედლიდგან გადმოვარდა ქვა ჩემ ფეხებთან. კედელში [illegible] და ჯუჯრუტანა, საიდგანაც სინათლე მოჩნდა; ამ დროსვე შემომესმა ხმა:

—ჩქარა მოუღებთ ბოლოს!

—რა გაუფრთხილობაა! უპასუხა მეორე ხმამ: თქუენ ცუდ საქმეში გამაბით, მამაო აბრამ,

—დამშვიდებული იყავ... მონასტრის უფროსი აქ არ არის... ის მგონია მონოზნებთან წავიდა სტუმრათ.—მანამ მოვა, ჩუენ ამ ანაქცევს მივალაგებთ და გასვრეტილს მივადგამ ჩემ კრაოტს.—აჰა, უფალნო ბერებო, ჩუენ გვიქადაგებთ მარხულებას და მოთმინებას, ხოლო, თქუენკი მოლოზნებში დაბძანდებით... ხა! ხა! ხა!

—გაჩუმდით, მამაო აბრამ! რათ უნდა იფიქრო იქ ბოროტი, როცა არა გაქვს რა დამტკიცება.

—დამტკიცება!... მამაო ბონიფაციო! თქუენ იმათგანი ხართ, ვისაც აქ ცხვირით ატარებენ!.. მე მეორეთ გიუბნები: გუშინ წვეულება ჰქონდა ჩუენს უფროსს ბერსა და მე შემომესმა ქალების ხმა.

—შენა ხარ აქ კარის კაცი, კარების მცველი: მაშ შენ შემოუშვი აქ ქალები.?

—რასაკვირველია არა.

—მაშასადამე ის ქალები, ვინც აქ ვ ხშამსა ჰსჭამდნენ, უნდა იყვნენ ჩუენი გვერდის მონასტრის მოლოზნები... რას იტყვი? კიდევაც ეჭვი გაქუს?

—მართლაც რომ ისინი მოხულიყვნენ ვახშმათა, აქ რასა ხედამ ცუდსა?

—ას, რა საკვირველი კაცი ხარ! აქ ცუდი რა იქნება ჩუენის უფროსისათჳს?.., იმას მხოლოდ ბარძიმ ფეშხუმი მიაქუს ამ გათხრილის გზიდგანა!.. ვნახამთ რას იტყვის არხიეპისკოპოზი, როცა დაწვრილებით მოვახსენებ იმას... ეშმაკს, სატანას გეფიცები, მე მოვახსენებ უთუოთ.—

—შენც რომ მიგიპატიჟონ ხოლმე ვახშმათა? მამაო აბრაამ.

—ჰმ! მაშინ ვიფიქრებ... მაგრამ კედელი მაინც უნდა გამოვანგრიოთ. და კვალად წერაქვმა დაიწყო თავისი საქმე.

ადვილათ გაიგებთ, რომ ჩემი შიში არ გათავდა; მხოლოდ შეიცვალა მიზეზში; მე უნდა ჩავუვარდე ორს ბერსა, ერთი ამათგანი დაბეზღებას კიდეც უპირებდა თავის მეუფროსესა.... რა იქნება? რა მომივა?

მანამდისინ გამონახვრეტს სულ ემატებოდა.

—ეხლა მგონია შეიძლება მაგაში გაძრომა, მამაო ბონიფაციო.

—მოითმინე! უთხრა მეორემ: არა მგონია, რომ ეს იყოს გზა წმინდა ბარძიმის მისასვენებლად. უნდა პირველად ვცადოთ, სამთლის ანთება შეიძლება თუ არა; თუ რომ შეიძლება, მაშინ ვნახამთ, რაც უნდა ვჰქმნათ.

—რადას ელი, მამაო ბონიფაციო, აანთე თქუენი ლამპარი.

მე მივახლოვდი გამოქცეულს ალაგს, და იმავე წამს შემოუყვეს ანთებული ლამპარი. მე ჩუმათ შეუბერე და გავაქრე.

—ჰხედამ. ჰხედამ მამაო აბრაამ! აბა შედი, იქ შენ სიკვდილი მოგელის.

—რას ბრძანებ, მამაო! ჩქარა მივიტანე ლამპარი და იმისთჳს გამიქრა... აბა ეხლაც ვნახოთ.

იმან ათჯერა ჰსცადა ლამპარის შემოყოფა და მე ათჯერვე გავუქრე.—

—ეს საკვირველია, მამაო ბონიფაციო.

—რად არის საკვირველი, მანდედგან არა სულდგმული არ დადის. ეგ ძველი დროიდგან არის დარჩენილი, და მგონია მაგ გზის მცოდნელის ძვალი აღარც კი იპოვება მიწაში.. ახ ღმერთო ჩემო, მე მესმის კარეტის ხმა; ჩუენი უფროსი თუ იქნება... ჩქარა, ჩქარა! მოადგი კრაოტი ამ გამონახვრეტსა... უფალო შემიწყალე! ეხლა რომ წმინდა მამამ შეიტყოს ჩუენი ეჭვი!.. რა სახით ვნახობ, მამაო აბრამ.

(ზოგი შემდგომ ნომერში იქნება.)

# გლახის ნაამბობი.

ამ ქუწურნათა ვარ გლახათ შობილი,
თჳთ ბუნებისგან მე დაჩაგრული;
საწყლად და ოხრად ასე შექმნილი.
არვის ვეწყალვი ოხერ ტიელი;
საზრდო არა მაქუს, არც პატრონი მყავს,
ყველას ბედისგან ვარ მოკლებული,
გარეთ ვეთრევი და სიცივე მკლავს
თუ ქოხში ვზდივარ ვარ დამშეული;
ხან ჴელთ მიპყრია ჯოხი, საწყალს
ულუკმო კაცსა ვინ უგდებს ყურსა;
აჲ მიველი ერთს ბანის წინა
და მეტანიით ვთხოვ ლუკმა პურსა;
ვხედამ ტორტმანით მაზედ მოარულს
ბატონ რაცხასთჳს ღრმად დაფიქრებულს;
მეცა დავფიქრდი, ასე მეგონა
შემეწყალეთქო ბატონს მეგონა,
მაგრამ ვიღამაც კეტი მაძგერა,
შუბლიდგან მიწყო მე სისხლმა დენა,
რა წავიქეცი, დასუსტებული,
მაშინ სიცოცხლის იმედ მიხდილი.
ამ დროს ბატონმა ბრძანა ხმა მაღლა:
«ეგე ოხერი ვინ მოთრეულა?»
ბიჭმა მას კადრა: გლახა არისო;
იგი გაჯავრდა: უბრძანა ბიჭსა:

«კეტი დაჰკარით კიდო მაგასა
და დაივიწყებს აქ შემოსვლასა.»
ვიფიქრე, მაინც აღარ მზოგამენ,
ლუკმის თხოვისთჳს მაინცა მკლამენ.
ფეხზედ ავდექი გაჭირვებული
სიტყვა მათ ვკადრე შედარებული!...
დიდო ბატონო, ყმებთა პატრონო!...
გლახა გენუკვი, სიტყვა მისმანო,
შენთან მოველი, მისთჳს უღონო,
ლუკმა მოგეცა და მით გერჩინო;
წყალობის ნაცვლად სისხლი მადინე
და სასიკჳდილო რა გაწყენინე!?...
მაგრამ შეგატყვე რომ შეგეზიზღე
გლახა კონკებში გამოხვეული,
მისთჳს მიფრინე დამკლავებული
მონა კეტითა კელთ აღებული.
რათ შეგეზიზღე? ნუ თუ არ ფიქრობ,
რომ ძმა ვარ შენი გასაწყლებული?
შენ დროებისგან ამაღლებული
და მე დროიდგან ქვე დაცემული.
შენცა ელოდე ჩემებრ ამ ქვეყნად,
დრო შეგეცვლების გაღარიბდები,
ბევრს მიადგები ლუკმის სახვეწრად,
მაგრამ ვიღასა შეეწყალები!?
მიკვირს, რად გიკვირსთ თქჳენ ეგ სიმდიდრე,
სხვისგან ნაშოვნა და დარჩენილი!
ეგე ღირსება და ან სახელი!
მიკვირს..........
მე ამას გეტყვი ყველა ერთი ვართ,
რადგან ბუნებით ძმათა ვშობილვართ.
ვისაც აქჳს გრძნობა ამ საძმო საქმის...
სახელიც მას აქვს ქჳეყნად კაცობის;
თორემ რა არის ჩჳენი ცხოვრება!—
თუ რომ კეთილი არ შეგვეძლება,

ვითა პირუტყვი დავიხოცებით
და მათებრ ქუეყნად ჩვენცა გავქრებით.
მაგრამ არ ქრების მხოლოდ ის კაცი,
ვინც მოძმეთათჳს არის ერთგული;
ვინცა ხალხისთჳს არის მზრუნველი,
სახელი მას აქუს მოუკვდომელი.
  აღარ მაცალეს თორემ კიდევა
სიტყვებს ვკადრებდი მათ შეხახებსა,
თჳთ მან იკადრა ჩემი განდევა:
და ჯიხერს მცემდა მსხვილსა ჯოხებსა...

ა. ლეონიძე.

ოკტომბერი **1865** წ.

## ისტორიული მიმოხილვა.

### რუსეთის და საქართველოს მეფეთა შორის.

**1596** წელსა, იჳნისის 2სა, მეფემ თეოდორე იოანიჩმა გამოგზავნა ალექსანდრე ჴელმწიფესთან მოციქულები კუზმა პეტროვიჩი სავინი და ანდრია პოლუხანოვი, ალექსანდრეს მოციქულების, ხურშიტის და არაბის გამოსაცილებლად. მეფის გრამოტაში იყო მოხსენებული, რომ საქართველოს დასაცველად გამოეგზავნა ჯარი წინა მძღომელობასა ქვეშე ზასეკინისა, რომელსაცა ძრიელ შეევიწროებინა შევკალები, ამასთანავე სთხოვდა ალექსანდრეს, გაეგზავნა მოციქულად რუსეთში არამი და კირილე მღჳდელი, კვალად ახლის ჯარის სათხოვნელად; რომ დიდი ჯარი გამოეგზავნა რუსეთს და დაეპყრა შევკალების სატახტო ქალაქი თარგო, სადაცა უნდა დამჯდარიყო ბძანებლად ალექსანდრეს სიმამრი, მხოლოდ ალექსანდრეს თავის მხრივაც უნდა გაეგზავნა ჯარები თავის შვილის გიორგის და სიმამრის წინამძღომელობით; უნდა შეერთებულიყვნენ ესენი რუსის მხედრობასთან, ერთად დაეწყოთ ბრძოლა, აეღოთ თარგო, ალექსანდრეს სიმამრი დამჯდარიყო მთავრად და ამ სახით გაეხსნათ გზა უშიშარი რუსეთისაკენ; მაგრამ თუმცა რუსეთის ჯარი მივიდა შევკალებისაკენ და თუმცა თერგიც აიღეს რუსებმა, ალექსანდრეს ჯარი, გიორგის და სიმამრის წინამძღომელობით არ მიეშველნენ; დიდს ხანს ელოდნენ რუსები თარგოში, მაგრამ ალექსანდრეს ჯარი მაინც არ მივიდა; ამაზედ მე-

ფე სწერდა, გაეგზავნა მოციქულებად არამი და სურმიტი; ეისოვნა კელასილად შემწეობა და მფარველობა; მიეღო სარწმუნო ქვეშევრდომობა; ამას გარდა უცხადებდა მადლობას, მეფის ბძანების მორჩილებისათჳს, რადგანაც შეურიგდა ალექსანდრე თავის ნათესავს ქართლის მეფეს სვიმონს. როდესაც ალექსანდრეს გაეგზავნა მოციქულები სვიმონის მოციქულებით, თან უნდა ყოფილიყვნენ და იმათაც გამოეცხადებინათ რუსეთის ქვეშევრდომობა. ამ გრამოტის ბოლოს უბძანებდა მეფე, ალექსანდრეს, მიღებისავე ამ გრამოტისა გაეგზავნა მოციქულები.

რუსეთის მოციქულები კუზმა სავინი და ანდრია პოლუსანოვი, მოვიდნენ ალექსანდრესთან **16** ნოემბერს **1596** წელსა, და მიღებულ იქმნენ ისე, როგორც ადრე. ხელმწიფემ მიიღო ისინი **14** დეკემბერს, იმათ წარუდგინეს მეფის გრამოტა და წიგნი პატრიარხისა იოვისაგან საჩუქრებით, ალექსანდრემ გრამოტა, წიგნი და საჩუქრები მიიღო ქუდ-მოხდილმა, და უთხრა, რომ რადგანაც ერთხელ მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა, ამისთჳს საუკუნოდ დარჩებოდა ერთგულად. რამდენისმე დღის შემდგომს რჩევა ჰქონდა მოციქულებ, ალექსანდრეს კარის კაცებთან და ელაპარაკებოდნენ იმ საგანზედ, რაც საგანი იყო გრამოტაში; ამასთანავე გამოუცხადეს, რადგანაც შევკალების მთავარი რუსეთის მეფეს დაემორჩილა, ამისთჳს ალექსანდრე შექმნილიყო მეგობრად და აღარაფერი მტრობა იმასთან აღარა ჰქონიყოსა. ალექსანდრეს კარის კაცებმა უთხრეს, თუმცა ალექსანდრეს შვილი გიორგი ჯარით აპირებდა შეერთებას რუსეთის ჯართანა, მაგრამ რადგანც მთებში რიგიანი გზა არ იყო, ამისთჳს ცხენით ვერ გაივლიდნენ, თუმცა შევკალები დამორჩილებიან მეფეს, მაგრამ არ უნდა ნდობოდა, რადგანც ისინი ძრიელ მცბიერი ხალხნი იყვნენ. ამაზედ, უპასუხეს, რადგანც თავის დროზედ ალექსანდრემ ჯარი არ მიაშველა, ამისათჳს გაჯავრებული, მეფემ შეირიგა შევკალი იმ პირობით კი, რომ დღეის შემდეგ აღარ გაებედნა საქართველოს შეწუხება.

**1597** წელსა, მაისის თვეში, ხელმწიფე ალექსანდრემ აცნობა რუსეთის მოციქულებს კუზმა სავინს და ანდრია პოლუხანოვს, რომ ყაბარდოელების ხელმწიფე სოლხი და აითაქ-მურზა, შეუცვივდნენ იმას საბძანებელში, სონელების მხრივ, და ყაბარდოლების ჩერქეზებმა ამოსწყვეს მრავალნი მცხოვრებნი. ამაზედ, აგრეთვე ერთი ყაბარდოელების ხელმწიფეთაგანი ალკასი, აცნობებდა ალექსანდრეს, სოლ-

ხის მტრობით დამოკიდებულებას,—იმას გეენთავისუფლებინა ტყვე-ები, ამას გარდა შეერთებულიყო თერგის მდინარის კიდეზედ მდგომს რუსეთის ჯართან, რომ დაეწყოთ ბრძოლა ერთად ალკასხანისათჳს. ამ საგანზედ ალექსანდრეცა გზავნიდა თავის მხრივ ჯარსა თერგის მხე-დართ-მთავრებთან შესაერთებლად. ალექსანდრეს უნდა გაეგზავნა რუსეთში, მოციქულათ დავით, მაგრამ დღით-დღე რჩებოდა ეს გა-ნზრახვა; რუსეთის მოციქულები ამაზედ ხშირად აგონებდნენ, მაგრამ ალექსანდრე პასუხად ამას აძლევდა: რადგანაც არა ჰქონდა მზათ საჩუ-ქრები, ამისათჳს უამისოთ ვერა ჰბედავდა გაეგზავნა რუსეთში დავი-თი, მაგრამ კაცები გაგზავნილი ჰყვანდა ოსმალოში და სპარსეთში კარგის ნივთების სასყიდლათ, რომელიცა უნდა გაეგზავნა მეფისათჳს ხარკად, რომელიცა შეწერილი იყო საქართველოზედ. ამასთანავე და უმატებდა, თუმცა უმეტესის საჩუქრების ღირსი იყო რუსეთის მეფე, მაგრამ იმ დროს დიდ სიღარიბეში იმყოფებოდა ივერია, ამ მიზე-ზით, რომ ერთის მხრივ აძლევდა გარეშემო მტრებს დიდს ხარკსა, რადგანაც ხშირად აოხრებდნენ სახელმწიფოს, და მეორეს მხრით გაათხ-ოვა დიდის მზითევით ქალი, რომელიც მისცა კოლხიდის მთავარს დადიანს. ამასთანავე შეჰფიცა, რომ გაისტუმრებდა რუსეთის მოციქუ-ლებს თოთხმეტს სეკტემბერს და გაატანდა თან სულეიმანს და სურ-შიტს, თავის მხრივ.

1598 წელსა, მაისის 8-ს ალექსანდრე კელმწიფემ გაისტუმრა რუსეთის მეფესთან, რუსეთის მოციქულები კუზმა სავინი და თან გაატანა თავის მხრივ თავადი სულეიმან ბულაღინი, შვილი ბაინდუ-როვისა, ლევი, რევაზ მუღაბეგოვი და მღვდელი ანდრიანე. საჩუქრე-ბი იყო შემდგომი: რუსეთის მეფეს უგზავნიდა ლურჯს ულაყს ცხე-ნსა,—ხოლო მეფის ძეს თეოდორე ბორისოვიჩს, შავს ულაყს ცხენსა.

1598 წელსა, 9 იჳლისს; საქართველოს მოციქულები სულეიმან და ლევი მივიდნენ რუსეთში, და 23 აგვისტოს წარუდგნენ სასახლეში მეფეს ბორის თეოდორეს-ძეს, რომელსაცა წარუდგინეს კელწიფის ალექსანდრეს გრამოტა. ამ გრამოტაში ჩიოდა, იმ მცირე შემწეობა-ზედ, რომელიცა უჩვენა რუსეთმა თორმეტის წლის განმავალობაში ივერიას,—ამასთანავე დაუმატა, რუსეთის მეფის ჯარს, ჯერ არაფერი არა გაეკეთებინა თურა ალექსანდრეს სასარგებლო; თუმცა რუსეთის მეფემ აღუთქვა ერთგულობა და შემწეობა, მაგრამ ყურადღებას არა

იყორა, ივერია მრთლად მტერთაგან აოხრდა; მცხოვრებთა დაატყვე-ვებდნენ, უდაბნოები და ეკკლესიები აკლებულ იქმნენ და სხ.

1601 წელსა, 28 აგვისტოს, მეფემ ბორის თეოდორიჩმა გამოის-ტუმრა ალექსანდრესთან სუფლეიმან და არტემ ლევი,—ამათ გამოა-ტანა თავის მხრივ მოციქულები ივანე ათანასეს ძე ნაშჩოკოვი და ივანე ლეონტიევი. განზრახვა ამ მოციქულობისა ის იყო, რომ მოს-თხოვა ჴელმეორედ ფიცი ალექსანდრეს და სრულიად ივერიის რუსე-თის ქვერდომობისა.

რუსეთის მოციქულები მოვიდნენ ივერიის ჴელმწიფეებთან ალექს-ანდრე და დავით პირველთან 2 ივლის 1602 წელსა, მაშინ ორთავე ჴელმწიფეთა მიიღეს ფიცი სრულის ივერიით რუსეთის ქვეშევრდომობისა, ამის შემდგომს დავით ჴელმწიფე წავიდა საბრძო-ლველად ჯარით ერისთავების სონის მხარეზედ, ხოლო რუსეთის მო-ციქულები გაისტუმრეს შიშიანობისა გამო ერთს გაცალკევებულს ტყიანს ალაგს, სადაცა გამოიარეს დიდი შეურაცხება და შიმშილი, ამ-ის გამო რუსეთის მოციქულებმა გამოგზავნეს ორი კაცი თავიანთ სვიტითგან მეფე დავითთან, დიმიტრი და ტიმოთე, სახვეწრით შიმ-შილისა გამო, რომელსაც ისინი ითმენდნენ. მეფე დავით გაწყრა, და უბძანა რუსეთის მოციქულები გაეგზავნათ [illegible] დაბაში, სადაც უფრო მეტი შიმშილი გამოიარეს: სიცხე ისეთი აუტანებელი იყო, რომ მცხოვრებნი აიყარნენ და ავიდნენ მთიან ალაგებში, რუსეთის მოციქულებს, რაც თან მხლებლები ჰყვანდათ სრულებით ამოუწყდათ და თჳთონაც ძალიან ავათ დასხდნენ. ბოლოს. ამის შემდგომს მეფე დავით დაბრუნდა ყარიმში, მოუნდათ იქ რუსეთის მოციქულებს, რომ გაესტუმრებინა რუსეთში, მაგრამ ხუთის დღის შემდგომს ოკტომბრის თვეში მეფე დავით გარდაიცვალა,—ამის შემდგომს ჴელმწიფე ალექსანდრეს დარჩა ისევ თჳთ პყრობელობა და აყვედრიდა რუსეთის მოციქულებს, რომ იმ დღითგან, რაღდითგანაც ივერიამ მიიღო ქვეშევრდომობა, რუსეთის მეფეს სრულებით არა გაუკეთებია-რა ივერიის სასარგებლოთ, იმათ მიუგეს, რომ ისინი იქცევოდნენ თავიანთ მეფის ბძანების მიხედვით. ამ პასუხმა ისე გაანჩხლა ალექსანდრე, რომ გაჯავრებული, იმ ზამთარს რუსეთის მოციქულე-ბი თავისთან დაიჭირა და აღარ გაუშო.

1604 წელსა ფებერვლის 15-ს, მივიდნენ მოსკოვში ალექსანდრე-

საგან გაგზავნილი მოციქულები, საბერძნეთის არხიმანდრიტი კირილე კრანტოპული საბბა. მისვლის სამის დღის შემდგომს შეიყარნენ: მეფის მინისტრი აზნაური მისეილი ტატიშევი და გრიგოლი გადობუკოვი, რომელთაც ჰკითხეს ივერიის მოციქულებს: ალექსანდრე კელმწიფემ, რაჲსათჳს ინება ცუდის სიტყვებით მოხსენება მეფის ბორის თეოდორიჩისა და ამასთანავე რათ უჩივლია, რომ მრთელი თავისი ქონება გამოუგზავნია ვითომც რუსეთის მეფისათჳს, რომლის სანაცვლოდ თჳთანკი არა მიუღიარა, მაშინ როდესაც რომ ალექსანდრეს გაუგზავნია მეფესთან მხოლოდ რამდენიმე საჩუქარი, რომლისგნითაც მიუღია მეფეს მხოლოდ თჳთ მცირე ნაწილი, ხოლო დანარჩენი დაუბრუნებია ისევ ივერიის მოციქულებისათჳს, რადგანც სურებია აჩვენოს ივერიის კელმწიფეს თავისი დამეგობრება; რუსეთის მინისტრებმა დაატანეს ესეც. საქრისტიანო ქვეყნების კელმწიფენი აგრეთვე ერთი ერთმანერთს უგზავნიან დასამტკიცებლად თავიანთის მეგობრობისა საჩუქრებს, და არა ანგარების მოყვარეობისათჳს. სპარსეთის კელმწიფეს, ოსმალოსას, რომისას და სხუათა ამ გვარივე დამოკიდებულება აქუსთ რუსეთის მეფესთან. ივერიის მეფემ ალექსანდრემ ისკი არ უნდა იფიქროს, რომ იმისი ქონება ვითომც სურდეს შეიძინოს რუსეთის მეფემ,—ამისათჳს, რომ მეფეს იმდენი სიმდიდრე აქუს, შეუძლიან აავსოს მთელი ივერია ვერცხლითა და ოქროთი. რუსეთის მინისტრებმა ესეც დაურთეს, რომ მეფის მოციქულებმა ივანე ნაშჩოკინსა და ივანე ლეონტიევსა მიეღოთ დიდი შეურაცხება და უპატიურება ალექსანდრესაგან, რომელმაცა შეკვეტა სადღაც მიუვალს ტყეში, უდაბურში და ამოწყვიტა შიმშილით მრავალი კაცი სვიტათაგანი, მაშინ, როდესაც რომ ამავე დროს ალექსანდრემ მიაპყრო დიდი პატივი ოსმალოთგან გაგზავნილს ჩაუშს, რომელიცა დააყენა თავის სასახლის მახლობლივ, ამას გარდა კელმწიფე გიორგი, ძე ალექსანდრესი რა თხოულობდა განჯელის, ოსმალოს ფაშის ყაიხოსროს ქალსა, ეს ფაშა სცხოვრებდა სასახლის წინ და როდესაც სადილზედ ისხდნენ ხოლმე, გიორგი მეფე ყოველთჳს ფაშის ქვემოთ იჯდა. ყოველი ეს მოქმედება წინააღმდეგი იყო ფიცისა, რუსეთის მეფესთან ივერიისგან მიცემულისა, ამისათჳს, რომ დაუტევებია რუსეთის მეფე და მისდგომია ოსმალოს სულთანსა, აგრეთვე უსაფუძვლოა საჩივარი ალექსანდრესი, რომ ვითომც რუსეთის მეფემ რა

გამოუგზავნა ჯარი ალექსანდრესი, ამისი მიზეზი თჳთან ალექსანდრევე იყო, ამისათჳს რომ ჯარი თჳთან ჰყვანდა გამოსაგზავნელად, მაგრამ ის მიელოდა მოციქულებს რუსეთიდგან მოსულებს; ივანე ნაშჩოკინს და ივანე ლეონტიევს, რომელნიც დიდ ხანს შეინახა თავისთან ალექსანდრემ, ამას გარდა განისმა ხმა, რომ ვითომც ალექსანდრე გარდაცვლილ იყო. როდესაც მოვიდა ივერიითგან გაგზავნილი მოციქული არამი, ჯარის სათხოვნელად, მეფეს შეეცოდა ალექსანდრე და გამოუგზავნა ჯარები შევკალების საბრძოლველად; — ნაცვლად ამისა როდესაც ჯარები მოვიდნენ და დაუწყეს შევკალებს ბრძოლა, ალექსანდრე ახლო არ მიჰკარებია, ვითომც იმ მიზეზით, რომ შევკალის ველმწიფის, ქალზედ ჰყოლია ალექსანდრეს შჳლი ჯუარ დაწერილი. ეს შემთხვევები ცხადად ამტკიცებენ ალექსანდრესავე დანაშაულს, რომ რუსეთის მეფეს არა დანაშაული არა მიუძღოდარა ივერიასთან. რუსეთის მინისტრებმა ესეც უთხრეს, თუ რა მიზეზით არ აცნობა ივერიამ მეფეს, როდესაც ალექსანდრეს ძმა დავით ადიოდა საველმწიფო ტახტზედ. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ალექსანდრე მოქმედებს არა ერთგულად რუსეთისა, — ხშირად აქჳს დამოკიდებულება ოსმალოსთან. როდესაც რუსეთის მოციქულები მოვიდნენ ალექსანდრესთან, ნაცვლად ამათის მიღებისა, იმან მიიღო ოსმალოსგნით გამოგზავნილი ჩაუში. ყოველის ამა შეურაცხებისათჳს, რუსეთის მეფემ ინება იმათი ნოვგოროდიდგანვე დაბრუნება ივერიაში. ალექსანდრეს მოციქულები კირილე გსანტოპულისა და ხაბასი, — აღარ მიიღო. ამის შემდგომს მოჰყვეთა ივერიის მოციქულების მიღება და შემწეობის მოცემა ალექსანდრესი. ამ შემთხვევაში შემოვიდა შუამავლად რუსეთის მეფის ძე თეოდორე და სთხოვა მამას, ნება მიეცა მოციქულებისათჳს, ემართლებინათ თავი. მეფემ ამაზედ ნება დართო, მოსკოვში მივიდა კირილე იმ პირობით, ემართლებინა ალექსანდრე. მეფის ბძანება იყო, მინისტრებს ეკითხათ მოციქულებისათჳს: რა მიზეზით მოიხსენა ალექსანდრემ რუსეთის მეფე უკადრისის სიტყვებით; რა მიზეზით მიიღო ოსმალოს ჩაუში; რა მიზეზით დასწერა ჯვარი თავის შვილს გიორგის მაჰმადიანთ სარწმუნოებისა კაცის ქალზედ; ამას გარდა კირილეს უნდა აეხსნა მიზეზი, თუ რათ დაიჭირა რუსეთის მოციქულები ალექსანდრემ ისე დიდ ხანს. —

კირილე მოციქულმა შეჰფიცა, თავის ბერობის წოდებით და წმინდის

ქრისტიანობრივის სარწმუნოებით, რომ ალექსანდრეს პირითგან თავის დღეში არა თქმულა უპატიურის სიტყვებით მოხსენება მეფ-ისა, — და ყოველთჳს იმისი მადიდებელნი ყოფილან მთელის სახლო-ბით; რაცა შეეხება საჩუქრებს და ამ გაგზავნაზედ საჩივარს, ჴელმწი-ფეს ალექსანდრეს ფიქრათაც არ მოსვლია ესენი ეთქვა; ის დარწმუ-ნებული იყო რა ხედავდა, რომ გაგზავნილის საჩუქრებისაგან უკანვე უბრუნდებოდა ზოგი ერთი, რომელიცა ამტკიცებდა რუსეთის მეფის მოწყალებას; რუსეთის მოციქულებისათჳს ყოველთჳს მიუპყრია პატი-ვი და პატივით შეუნახავს; შიმშილი თუ გამოეცადათ ტყვანს ალაგს, ამის მიზეზი იყო, დავით ჴელმწიფე. რომელმაც მამას წაართვა გვირგვინი და რომლისათჳსაც დაისაჯა სასტიკის სიკვდილით.

ამით რომ იმართლა თავი კირილემ, მაშინ მინისტრებმა ჰკით-ხეს, რა მიზეზი იყო, რომ ალექსანდრემ თავის სიცოცხლის დროს დაუთმო გვირგვინი თავის შვილს დავითს, რამდენი ხანი იმეფა და რა მიზეზით გარდაიცვალა? ამ კითხვებზედ კირილე არხიმანდრიტმა უპასუხა: ერთხელ ალექსანდრე შეიქმნა ძრიელ ავათ სახადით, უკანა-სკნელად, მთელი სამი დღე შეიქმნა უგონო, ისე, რომ მკჳდარი ეგონათ; მერე, დიდ ხანს გაატანა ამ ავათმყოფობამ, ამისი მორჩენა აღარ ეგონათ, მაშინ შჳლებმა დავით და გიორგიმ შექნეს რჩევა ტა-ხტზედ ასვლისა. მტრებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და მოისურ-ვეს შფოთის შემოტანა საქართველოში, — ერთს ძმას ეუბნებოდნენ, ძმა მოგკლავს გიპირებსო და მეორეს, ძმა სიკჳდილსაო. ამ ხმის გა-მო, გიორგი გაიქცა ოსმალოში. ის რომ გავიდა საქართველოთგან, მტრებმა ჩააგონეს დავითს, რომ იმ მიზეზით გაიქცა, ვითომც სუ-ლთანსა სთხოვდა შემწეობას. დავითმა ამაზედ მოისურვა ძმის სიკჳ-დილი და უწყო დევნა დავითს, მოეწივა გიორგის გზაზედ, სადაც შე-რიგდნენ და პირობის წერილი დასდვეს, რომლის ძალით დავით უთმობდა ზოგი ერთს თავის სამფლობელოს ქუეყნებს, ხოლო თჳთან უნდა დამჯდარიყო ტახტზედ. რამდენსამე ხნის შემდგომს, შეადგი-ნეს შეთქმა კარის კაცებმა და ურჩიეს გიორგის მოეკლა თავისი ძმა-დავით და თჳთან ასულიყო ტახტზედა, მაგრამ გიორგიმ არა ქნაო რადგანც ფიცი მიეცა თავის ძმისთჳს. დავით მივიდა სნეულს მამა-სთან, დაუჩოქა და მოსთხოვა ბოდიში, რომ სიცოცხლის დროს წაარ-თვა მეფობა. მაგრამ მტრებმა ვერც აქ მოისვენეს. — ურჩიეს თავი

არ დაეჭირებინა დავითს, რაკი მოიპოვა მეფობა, თორემ შესაძლებელი იყო სიკუდილის შემდგომს მამისა ისევ წართმეოდა ტახტი. ამ მიზეზით მოსთხოვა დავითმა, მიეცა მამას სამეფო დროშა, ქუდი და ხრმალი თავისის სარტყლით, რომლის ქონება, საქართველოს ჩვეულებით, ეთანასწორებოდა სამეფო გვირგვინის მიღების ცხებას. და თუ ამაზედ თანახმა არ შეიქნებოდა, უნდა მოეკლა. ალექსანდრემ რა ესა სცნა, დაუთმო იმ აზრით, რომ თუ მორჩებოდა ისევე უკან დაიბრუნებდა. ამ დროს გიორგი განშორდა და მივიდა ქართლში მიტროპოლიტთან, მაგრამ აქ, მიიყვანა თავისთან ქართლის თავადმა გიორგი სჳმონის-ძემ, რომელსაცა მისწერა წიგნი დავითმა აღარ გამოეშო იქიდან. ამ ბრძანების აღსასრულებლად გიორგი სჳმონის-ძემ შეიპყრო გიორგი, შეაბორკილებინა და ჩასვა საპყრობილეში.

დავით მეფობდა ერთს წელიწადს; ის მიდიოდა ქრისტიანობის წინააღმდეგათ. არა მორჩილებდა მამას და ძრიელ აწუხებდა, ზოგჯერ ამშევდა, და აკლებდა ტანთ საცმელს, — მოუკლა მამას 17 კარის კაცი საყვარელი და ერთგული. ზოგს თვალები დააყრევინა, ზოგნი მაღალ მთაზედ აიყვანინა და იქიდგან გადმოაყრევინა. ერთი იმათგანი გამოექცა და შევარდა ეკკლესიაში, დავარდა მუხლებზედ ღვთისმშობლის ხატის წინ, მფარველობისათჳს, მაგრამ აქ შეუხდა დავით, თავისას ჴელით მოჰსჭრა თავი აღსავლის კარებთან და სისხლით შეღება წმინდა ტაძარი. რა ესენი ნახა ალექსანდრემ, ქუდ მოხდილი მივიდა ეკკლესიამდინ, შევიდა, დაემხო აღსავლის კარების წინ მიწაზედ და დასწყევლა შვილი გულმხურვალედ. იმ დღევსვე გახდა ავათ დავით: ჯერ კბილების ტკივილი იგრძნო, შემდგომს სრულებით დასივდა და რამდენსამე დღის შემდგომს მოკუდა ტანჯვით. მკუდარს ისეთი სუნი ჰქონდა, რომ ახლოს ვერავინ მიეკარა. ამის შემდგომს ალექსანდრემ გაანთავისუფლა საპყრობილითგან გიორგი, რომელსაც მისცა ტახტის მემკვიდრეობა, მაგრამ თავის სიცოცხლეში ისევ თჳთან განაგებდა სახელმწიფოს. —

(ზოგი მერე იქნება.)

ი. კერესელიძე.

# რედაქციისაგან.

ამ, **1866** წელს, გამოვიდა რუსულს ენაზედ შედგენილი უფ. პლატონ იოსელიანისაგან, წიგნი: გვარტომობა თავადთა ჩოლოყაშვილებისა და მოწამის ბიძინა ჩოლოყაშვილისა. ამ გვარის წიგნის გამოცემა არის პირველი, ჩუენის ქუეყნისათჳს. — საქართველოში არიან პირველნი გვარნი, რომელთაცა უჭირავთ ისტორიაში უპირატესი ადგილი, მაგრამ არც ერთს არ უფიქრია, თავის გვარტომობის შედგენა და გამოცემა. გვარტომობის აღწერას დიდი დამოკიდებულება აქუს ისტორიასთან, ამისათჳს უფრო საჭიროა ჩუენის ქუეყნისათჳს რომლის გვარი, რომელს დროში თამაშობდა პირველს როლს და საიდგან წარმოდგა; — იქნება კიდეც ბევრს მოუვიდა აზრი, თავის გვარტომობის შედგენისა, მაგრამ შესრულებული ჯერ არავისგან არ გვინახავს. — ეს კეთილშობილური განზრახვა, შეასრულა მხოლოდ თავადმა ნიკოლოზ თადეოსის-ძემ ჩოლოყაშვილმა, რომელმაცა გამოსცა თავისის ხარჯით და დაარიგა საქართველოში უფასოთ; თჳთან ჩუენმა რედაქციამაც თავის მხრივ, გაუგზავნა ეს წიგნები იანვრის თვის ნომერთან იმ პირთ, რომელნიც იბარებენ ცისკრებს ამ წელიწადს. — პატივი და დიდება თ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს ამ კეთილის საქმის შესრულებისათჳს. რედაქცია, ამ ისტორიისათჳს სასარგებლო წიგნსა თარგმნის და დაჰბეჭდავს თავის დროზედ «ცისკარშიაც.» ამას გარდა ბევრი კეთილი საქმე დაუწყვია ამ საქართველოს უპატივცემულეს თავადს, რომელიცა ღირსია ყურადღებისა. თავის სოფლითგან გამოუყვანია ექვსი ყმაწვილი, ზოგი თავის ყმებითგან, ზოგი სახელმწიფოდგან და საეკლესიოთგან, რომელთაცა უპირებს თავის ხარჯზედ მიცემას ტფილისის სასწავლებელში, ამ პირობით, როდესაც აქ კურსს შეასრულებენ, გაიგზავნონ ამისავე ხარჯით უნივერსიტეტში და აქედან გერმანიაში სწავლის შესამსხებლად. — უკეთუ მთავრობაც დათანხმდა. ესეც პირველი მაგალითია ჩუენს ქუეყანაში, ღმერთმა

იქნება მიმბაძავნი გამოუჩნდნენ ამ გვარ კეთილს საქმეში; სხვაც ბევრი კეთილი და სასარგებლო საქმის დაწყობა გვესმის თ. ნიკოლაოზ ჩოლოყაშვილზედ. ჩვენის მხრივ ამაზედ მეტი არა გვეთქმისრა, რომ მადლობა შევწიროთ ამ გვარის კეთილშობილურის გრძნობისათჳს. — ამ შემთხვევაში არ შეიძლება მადლობით არ მოვიხსენიოთ უფ. პლ. იოსელიანიც, რომელიცა მოუღალავად შრომას ეწევა ჩვენის ისტორიის შესავსებლად. (*)

(*) კახეთის მხრივ ტფილისის უეზდში მდინარის იორზედ დღეის აქამომდე არ არის ხიდი, რომლის მიზეზით მგზავრნი ითმენდნენ ბევრს შეჭირვებას, — ამ საქმეშიაც მიუღია, მონაწილეობა თ. ნ. ჩოლოყაშვილს: შეუწირავს ასი თუმანი და ამას გარდა რაც რამ მასალა დასჭირდება თავის მამულითგან უნდა აძლიოს უფასოთ.

---

დიდად მოხარულნი ვართ, რომ მოლაყბის ზნეობის გასამართავმა სტატიამ ბევრს მაგალითი მისცა, თავიანთ სახლ-კარიანობის წარმართებისა. კახეთიდგან მოგვივიდა მადლობის წიგნი კირილე შავწყაროელისაგან, რომელიცა უცხადებს მოლაყბეს მადლობას მაზედ, რომელ იმათ უპატივცემულეს მეუღლეს, რამწავს წაუკითხავს ის სტატია, იმავე დროს ყოველი სასმელ-საჭმელი სახლისა, შინ სახმარი რაც რამ საჭირო არის, ჩაუბარებია სიით ქმრისაგან, შეუნახავს თჳთან, აღარ ჩაუყრია უზრალოთ მოსამსახურეების ხელში და შესდგომია სახლ-კარიანობის მოვლას. — უფრო ეს არის შესანიშნავი, რომ ხელი აუღია ლოტოზედ. ღმერთმა იქნება მიმბაძავნი მრავალნი აღმოჩნდნენ. ჩვენი გულითადი სურვილი ქართველების კეთილდღეობა არის და ამისათჳს ზოგჯერა ვბეჭდავთ ხოლმე მოლაყბის სტატიებს. მეორე სალაყბოს ფურცელი, იმ წინანდლის გაგრძელება აღარ იქნება მიზეზისაგამო, სხვისა და სხვისა.

რედ.

## მართლმსაჯულება არაბეთში.

ამ ოცის წლის წინათ ქარიშხალმა მიაგდო ქალაქს ტუნისში (აფრიკაში) ერთის მარსელელის ფრანცუზის გემი, რომელზედაც ჰქონდა მას ბანბის ყალფაღები, დანიშნული გასასყიდად გიბრალტარში.— ტუნისის კანონისამებრ, იქაურმა ხომალდთა სადგურის ნაზირმა რაის მირზამ მოსთხოვა მარსელელს ბაჟი. ხოლო რადგანაც გარდაწყვეტით არ იყო დადებული ყალფაღებზედ ფასი, რაის მირზამ გამოართო მას თავისის ნებით ორმოცდასუთი თუმანი. ეს ბაჟი მარსელელს ბევრად ეჩვენა, და რაკი განთავისუფლდა ამის კლიდგან, მარსელელი საჩქაროდ წავიდა ბეისთან (მეფესთან) და ჩაუვარდა მას ფეხ ქუეშ.

ბეიმ ყურადღებით მოისმინა საჩივარი ურწმუნო, მარსელელისა, და რა დარწმუნდა, რომ რაის მირზას გამოურთმევია მისთჳს ორმოც და ხუთი თუმანი ბაჟი, ჰკითხა:

—ვითარსა სამართალსა მთხოვ: თათრულსა თუ ფრანცუზულსა?

მარსელელი დაფიქრდა, და რადგანაც არ უნდოდა დაემდაბლებინა კანონი თავისის ქუეყნისა, უპასუხა მან: ფრანცუზულსაო.—

—კარგი, უთხრა ბეიმ: წადი შენს გემზედ და ელოდე ჩემს გარდაწყვეტილებასა.—

მარსელელმა აკოცა ჩუსტსა მის დიდებულებისასა, გამობრუნდა და უწყო ლოდინი.

ამ ლოდინში განვლო, ერთმა, მეორემ, მესამემ თთუემ.

რა შეჰსწყინდა ამდენი ლოდინი, მარსელელმა იპოვნა შემთხვევლება, და როდესაც ბეი მიბრძანდებოდა მეიდანზედ, ის მიახლოვდა და ჩაურდა ფეხ ქუეშ.

—მეფევ, უთხრა მან: თქუენ მე დაგავიწყდით?

—არა, უპასუხა ბეიმ: შენ ის ფრანცუზი ხარ, რომელიც უჩიოდი რაის მირზასა.

—იქნება, თქუენო დიდებულებავ, დაგავიწყდათ, რომ დამპირდით კმაყოფილების მოცემასა.

—ეგეც კარგათ მახსოვს; შენ მთხოვე მგონია ფრანცუზული მართლმსაჯულება.

—დიახ!

—მაშ ეხლა რაღაზედ ჰჩივი?

—ეს სამი თთუე არის მოველი მსაჯულებას

—გესმის, უთხრა ბეიმ: ამ სამის წლის წინათ, თქუენმა კონსულმა მაწყენინა. მე ვჩივლე მასზედ თქუენ მეფესთან და მესამე წელია მოველი მისგან სამართალსა. შენც სამის წლის შემდეგ მოდი ჩემთან და მაშინ ვნახამთ....

—უგანათლებულესო ბეი! არ არის ღონის ძიება შევამოკლოთ ეგ ვადა?

—შენ თვითონა მთხოვე ფრანცუზული მსაჯულება, და ამისთჳს უნდა მომითმინო.....

—თათრული სამართალი რომ მეთხოვნა?

—მაშინ სხვა იქმნებოდა. მე დაუყოვნებლივ მოგცემდი სამართალსა.

—შემიძლიან შევცვალო ეხლა ჩემი თხოვნა?

—რასაკვირველია; მონანება ყოველთჳს შეუძლიან კაცსა.

—მაშ გთხოვ, თქუენო დიდებულებავ, თათრულს სამართალსა.

—წამომყევი თანა.

მარსელელმა აკოცა ბეის ჩუსტსა და გაჰყვა ის სასახლეში.

—რა გამოგართო რაის-მირზამ? ჰკითხა ბეიმ.

—ორმოც და ხუთი თუმანი.

—და შენა ჰფიქრობ, რომ ეგ ბევრი არის?

—ვჰბედავ ვიფიქრო. სხუა ქუეყნებში ამის მესამედსაც არ გამოართმევდნენ.

—მაშასადამე შენ თხოულობ დაგიბრუნონ უკანვე ოცდაათი თუმანი. აჰა ეს ფული.—

—მეფევ! მოახსენა მარსელელმა: თქუენ გიჭირავთ ხელში სასწორი მართლ მსაჯულებისა. იმან კვალად აკოცა ბეის ჩუსტსა და გამობრუნდა კარებისაკენ.—

—სხუას ხომ აღარასა მთხოვ? ჰკითხა ბეიმ, რა ნახა, მარხულელი შესდგა კარებთან.

—მაქვს სათხოვარი, მაგრამ ვერ გაგიბედამ.

—ჰსთქვი!—

—სამი თთუჱ ვცხოვრობდი მე აქ უსაქმოდ და საკმაოდ ფული დამესარჯა უბრალოდ. მე უნდა ჩემი საქონელი მიმეტანა გიბრალტ-არში ზამთრის დასაწყისში, ხოლო ზამთარი უკვე გავიდა და ეხლა საჭირო აღარ იქნება იქ მეორეს ზამთარამდის.—

—რა საქონელი გაქვს? ჰკითხა ბეიმ.

—ბამბის ყალდფაუები, კელიწიფევ.

—რა არის ბამბის ყალდფაუები? მე არ მანასამს.

მარხულელმა ამოიღო ჯიბიდგან ერთი ნიმუში თავის საქონლისა და მიართვა ბეის.

—რაზედა ხმარობენ ამასა? ჰკითხა ბეიმ.

—თავზედ იხურვენ ღამე; და ამ სიტყვებით მარხულელმა ჩამოიფსატა თავზედ.

—ძალიან ტუტუცური რამ მოუგონიათ... მაშ შენ ამბობ რომ, აქ სამის თჳს დაყოვნებით დიდი ზიანი მოგეცა?

—ცოტა რომ მოგახსენოთ, სამას თუმნამდინ მაზარალა.

—კარგი. მოიცადე.....

ბეიმ მოუწოდა თავის მდივანსა, და რამდენიმე სტრიქონი რაღაც დააწერინა არაბულად.

—კარგი, უთხრა ბეიმ სეკრეტარს, როდესაც წერილი გაათავა. უთხარ გზირსა ეს ბრძანება გამოაცხადოს ხალხში.

—შემიძლიანი შევიტყო, რა ბრძანება გაეცით? ჰკითხა მარხულე-ლმა შიშით.

—რასაკჳრველია ამაში ებრძანება ყოველთ ურიათა, რომელნიც ჰსცხოვრობენ ტუნისში, რომ უყალდფასოთ კარზედ არავინ გამოვი-დეს, ვისაც თავი არ მოსძულებია.

—აა! შეჰყვირა მარხულელმა ღიმილით: მესმის.

—თუ გესმის. უთხრა ბეიმ: ახლავ წადი შენს გემზედ და ეცადე გამორჩე რამ სარგებლობას, შენის საქონლიდგან. მყიდავი არ დაგაკლდება.

მარხულელი მოეხვია ბეის მუხლებზედ; დაუმადლა მას და გაეშურა გემზედ.

მას დროს შორის ტუნისის ქუჩებში უკვე დადიოდა გზირი საყვირითა და აცხადებდა ბეის ბრძანებასა:

«დიდება უმაღლეს ღმერთსა, რომელსაც ყოველნი უბრუნდებიან სახელითა მის მონისათა, ტუნისის ბეის უსეინ-ბაშისაგან ებრძანებათ:

ყოველთ მცხოვრებთ ჩუენს დიდს ქალაქში ურიათა, ნაზარეველთა და ისრაილთა, რომ ტუნისის ქუჩებში არ გამოვიდნენ იგინი უყალფაყოთ, რომელნიც უნდა ჰფარავდნენ მათ ურჯულოთა და შეჩვენებულთა თავთა.—

წინააღმდეგი ამ ბრძანებისა დაისჯება სიკვდილით.

ამ ბრძანებას ეძლევა კანონიერი ძალა ოც და ოთხს საათს შემდეგ გამოცხადებისა. ეს ვადა ეძლევათ წყეული ურიათ მოსაშორებლად ბამბის ყალფაყებისა.

«ნამდვილზედ მოწერილ არს: ჰუსეინ.

არ შეიძლება წარმოიდგინონ შიში ოცდახუთი ათასის ურიისა რომელნიც ჰსცხოვრებდნენ ტუნისში, ამ ბრძანების გაგონებაზედ: მათ არ იცოდნენ, სად უნდა ეშოვნათ ამდენი ბამბის ყალფაყები.

ამ დროს ვიღამაც ხმა დააგდო ქალაქში, რომ მარსელელს ფრანცუზსა აქვს გასასყიდი ბამბის ყალფაყები.

ყოველთ ურიათ იხუვლეს და როგორც ღელვა მიჰსცვივდნენ მარსელელს გემთან და შეჰქმნეს ყვირილი ერთ ხმობით:

—ბამბის ყალფაყები! ბამბის ყალფაყები! მარსელელმა გულგრილად მოისმინა მათი თხოვნა და უთხრა:

—ყალფაყები ევროპაშიაც დაძვირებულა: მე იქვე ვაპირებ წაღებას, ეხლა წიგნი მივიღე, რომ.....

—არა! არა! შეჰყვირეს ურიათა. ჩუენ გვინდა, ჩუენც კარგს ფასს მოგცემთ... ჩქარა, ჩქარა!..

—მე თვითონ ძვირად დამჯდომია; ბაჟი გამოურთმევიათ; ახლა გზის ხარჯი...

—ეგ ჩუენ კარგათ ვიცით... ფასი გვითხარ.

—თქუენის სათრის გულისთჳს და ბეის პატივისცემისათჳს, თითო მანეთათ მოგცემთ. ვის უნდა?

—მე! მე! მე! შეჰყვირეს ურიათა და ათასმა ჴელი გაიშვირა ყალფაყისათჳს.

—მოთმინეთ! შეჰყვირა მარხულელმა: რიგზედ ამოდით გემზედ, მარცხნივ და ჩადით მარჯვნივ.

როდესაც შესრულდა ყალფაყების გაყიდვა, მარხულელმა ნახა, ათას ხუთასი თუმანი წმინდა მოგება დარჩა მას, მეორეს დღეს მარხულელი მოვიდა ბეისთან, მოეხვია მუხლებზედ, აკოცა მის ჩუსტსა და გამოუცხადა დიდი მადლობა.

—კმაყოფილება მიიღე ეხლა? ჰკითხა ბეიმ.

—სრულებით, უპასუხა არხულელმა.

—რომელი სამართალი ჰსჯობია: თათრული თუ ფრანცუზული?

—შედარებაც არ შეიძლება მათ შორის!

ჯერ კიდევ მოიცადე. საქმე არ დაბოლოვებულა, უთხრა ბეიმ.

—როგორ? სხჳა რაღა იქნება?....

ბეიმ მოუწოდა კვალად თავის სეკრეტარსა და უბრძანა დაწეროს შემდგომი:

«ამ ბრძნებით აღეკრძალებათ ყოველთ ურიათა გამოსვლა ბაზარში ყალფაყებით. წინააღმდეგნი ამისა დაისჯებიან სიკვდილით, და ეძლევათ ოც და ოთხი საათი ვადა ყალფაყების გასასყიდავად, ვისაც რა ფასათ სურს.»

—გესმის ეხლა? ჰკითხა ბეიმ.

—ოო, დიდებულო ბეივ! სიბრძნე და სიმართლე თქჳენი დააბნელებს სოლომონის სიბრძნესა!

—წადი უკანვე შენს გემზედ.

ნახევარს საათის შემდეგ გზირები კვალად საყვირით კითხულობდნენ ახალს ბრძანებას ბეისასა.

შეშინებულთ ურიათ მოიგლიჯეს თავიდგან ყალფაყები და უნდოდათ ჩაეგდოთ ცეცხლში, მაგრამ მათ მოაგონდათ, რომ ოც და ოთხი საათი ვადა ეძლეოდათ მათ გასასყიდად; ისინი გაეშურნენ მარხულელის გემთან.

— არ გინდა უკანვე იყიდო შენი საქონელი? ეუბნებოდნენ ურიები მარხულელს.

—რათ მინდა! მე ეხლა წერილი მივიღე ევროპიდგან, ფასი ძალიან ჩამოვარდნილა იქ ყალფაყებზედ....

—ჩჳენ უფრო იაფათ მოგცემთ.

—კარგი, ნახევარ ფასათ ავიღებ

—კარგი, გაძლევთ ათ შაურად.

—არა! უთხრა მარსელელმა, მე ეგენი მიყიდნია ფრანციაში თითო აბაზათ, და ეხლა იმის ნახევარ ფასს მოგცემთ, ე. ი. ორორ შაურს. ახლა უკანვე წაღებას იანგარიშეთ, ისევ ისე მომივა.

—ეგ ძალიან იაფია როგორ იქნება! ყვიროდნენ ურიები.

—თქუენი ნებაა, უთხრა მარსელელმა და უბძანა გემზედ იალქნების აშვება.

—რასა შვრები?

—მივდივარ ტუნისიდგან, მშვიდობით!

—სამ შაურად მაინც აიღე! ეუბნებოდნენ ურიები.

—არა მცალიან!... მშვიდობით.

—ორ შაურ ნახევრად...

—არ მინდა სრულებით, გემი დამიმძიმდება....

—კარგი, კარგი! ორ შაურად!

და კვალად ურიათ იწყეს ერთის მხრით ახვლა გემზედ და მეორის მხრით ჩამოსვლა. მათ უხაროდათ, რომ თავი გადაირჩინეს ოთხაბაზ უზალთუნსათ; ხოლო მარსელელს უხაროდა, რომ წმინდა მოგება დარჩა ათას შვიდას ორმოცდა ათი თუმანი.

როგორც ანგარიშიანი კაცი, მცოდნე როგორც ცხოვრებენ ქუეყანაზედ, მარსელელი კვალად მივიდა ბეისთან და თან მიიტანა რვაას სამოცდა თხუთმეტი თუმანი.

—კმაყოფილი ხარ თუ არა? ჰკითხა ბეიმ.

—მე ბედნიერი ვარ და აღტაცებული სიხარულით თქუენის სიბრძნისაგან.

—ეგ რა მოგიტანია?...

—ნახევარი ჩემის მოგებისა. გაგიბედამ მოგართო თქუენ დიდებულებას.

—რისთვის? ჰკითხა ბეიმ. განა აღარ გახსოვს, რომ თათრული სამართალი მთხოვე?

—მახსოვს და დიდათაც მომწონს....

—მაშ იცოდე, რომ ჩვენი მართლმსაჯულება ფულით არ მოისყიდება; ყოველნი სარგებლობენ ამით უფულოდ.

—განათლებულო ბეივ! საფრანგეთში მსაჯული ნახევარს მოგებას არცკი დაგვჯერდებოდა: ის ორ წილს გამომართმევდა.

—შემცდარი ხარ, მარსელელო, უთხრა ბეიმ რომ იქაური მსაჯული გამოგართმევდა.—

—ოო! ეხლა ვხედავ, რომ თქვენ ჩემზედ უკეთესად იცით ფრანციის ანგარიში.

ამ სიტყვებით მარსელელმა დაიჩოქა, რომ ეკოცნა ბეის ჩუსტისთჳს; მაგრამ მან მოწყალებით მიუშვირა მას ჴელი.

ნახევარ საათს შემდეგ მარსელელი ეშურობოდა ტუნისიდგან გამოსვლასა, რათამცა ბეის არ გადაეფიქრებინა და უკანვე არ მოეთხოვნა ნახევარი მოგება მისი.—

გ. ჩრეულოვი,

## მაიკო.

რა საქართველოს მეფემ ირაკლიმ შეიტყო, რომ აღამაჰმადი უნდა შემოვიდეს ქალაქის წასახდენათა, შეიქმნა მეტად მოწყენილი და მწუხარე. იმისთვის მაშინ ნუგეშის ცემა — სიკვდილი იყო. ყოველთვის იჯდა მარტოკა ოთახში ჩაფიქრებული; ეჭირა მას მარგალიტის კრიალოსანი და თითქმის ბანობდა ჩიბუხისაგან დაყენებულს ბოლში. — ერთს დღეს შევიდა იმასთან ნაზირი; დაიდო გულზედ ხელი და დაიჩოქა ირაკლის წინა. — თქვენო დიდებულებავ. უთხრა ნაზირმა მეფეს: საფრანგეთის მეფეს უახლებია თქვენთან ელჩი, რომელსაცა სურს თქუჱნი ნახვა. — მეფემ ხმა არ გასცა, ადგა, გამოვიდა ზალაში ახალის მოსულის ელჩის მისაღებად. — ზალაში იდგა ოცის წლის ყმაწვილი კაცი, ნამცეცი ბალანი არა ჰქონდა სახეზედ. იმისი შავი თვალწარბი, მარჯანის მსგავსი პატარა ტუჩი, თეთრი ყირმიზი ლოყები, ბევრი მშვენიერის ქალებისათჳს იყო სანატრელი. ამ ყმაწვილს ერქო სახელად რენო, და ახლდა თან მოსამსახურედ ერთი მაღალი, სქელი, დიდროვ ულვაშებიანი კაცი რომელიც იყო გაშავებული მზისაგან. — ყმაწვილმა დაუკრა მარდათ თავი; ირაკლიმაც ნელა ჩამოიქნია კისერი. დაუძახეს მაშინვე დილმანდს. — «ვისა ბრძანდებით და რის მიზეზით გარჯილხართ, ჰკითხა ირაკლიმ დილმანდის პირითა — რენოსა.

— მე გახლავარ საფრანგეთის მეფის ელჩი, და გიახელ თქუჱნთან ჩემის ხელმწიფის ბრძანებითა. იმასა სურს თქუჱნთან მეგობრობა და თუ ინებებთ, უნდა რომ ჯარი მოგაშველოს საქართველოს მტრის ქვეყნიდგან დახსნისათჳს, — უპასუხა რენომა.

მე დიდად მოხარული ვარ იმის მეგობრობისა, და დიდი მადლობელიც ვიქნები, თუ რომ ჯარს მომაშველებს. ოღონდ საქართველო

არ ჩავარდეს ურჯულოს ხელშია, თორემ სხუაფერივ იმედი მაქვს რომ სამაგიეროს ჩუენც გარდუხდით ძლიერსა სათვრგეთის ხემწიფესა, უთხრა ირაკლიმ.—

ამ მცირედის ლაპარაკის შემდეგ, ირაკლიმ უბრძანა ნაზირსა დაუცალოს კარგი სახლები ელჩსა და გაუჩინოს ულუფა, როგორც შეჰფერის.—მეორეს დღეს რენოს პატივისცემისათჳს ირაკლიმ გამართა დიდი წვეულობა. შეიყარნენ მრავალნი თავადნი და აზნაურნი ქალნი და კაცნი. იწყეს თამაშობა სხვა და სხვა ნაირი; ახალგაზრდა ქალთა მოეწონათ რენოს მშვენიერება და სულ გარს დასტრიალებდნენ თუმცა რომ ლაპარაკს კი ვერ უბედავდნენ.—რენოვი არავის არ უყურებდა და თითქმის მოწყენილივით იყო; მხოლოდ სან და სან ცალგვერდზედ შეხედამდა ხოლმე თექსმეტის წლის ქალსა მაიკოს, რომელიც ემსგავსებოდა მშვენიერს მხატვრობასა და როგორც ვარსკვლავი წაბრწყინავდა თავის ტოლ ქალებში. სადილი გათავდ; ხალხი წავიდ წამოვიდა—ერთი კვირა ამასთანა შექცევაში ჰყვანდა ყოველდღე რენო და ყოველდღე ეხეც იზიდავდა თავის მხრისაკენ დაუჩვეველთა ქალთა თავის სილამაზით.—

საქართველოში არ იყო ჩვეულება, რომ ყმაწვილს ქალს შეეყვარ, კაცი; და თუმცა შეეყვარებინა, ვერ გამოაცხადებდა და თითონვე უნდა ეტანჯვა თავის სიცოცხლეში.—

მაიკომ ნახა ერთხელ ორჯელ რენო, და როგორც მხურვალე ცეცხლი მოედება წუმწუმასა, ეგრეთვე ჩქარა აინთო გული მაიკოსი სიყვარულითა ამ ერთიორის ნახვით.—

მე ვამბობ, მაიკოს გული აენთო სიყვარულითა; მაგრამ მაიკოს სიყვარული სხვა ნაირი სიყვარული იყო. სიყვარულის წამალი არის განშორება; მაგრამ როცა მაიკო არ დაინახავდა რენოსა, როგორც შემოდგომის ფოთოლი, ისე ყვითლდებოდა და სისხლისაგან შრებოდა თითქმის მარმარილოსაგან გამოჭრილს ადამიანს ემსგავსებოდა, უსულოდ. როგორც თევზისათჳს წყალი, ეგრეთვე მაიკოსათჳს რენოს ყოველდღე ნახვა გახდა საჭიროდ.—გავიდა ორი კვირა, რომ მაიკოსა ამასთანა სიყვარულის ალი ეკიდებოდა, და როგორც დამწვრისაგან ფერფლი, ეგრეთვე მაიკოს მშვენიერება სიყვარულისაგან ჩამოსდიოდა და ჰსჭკნებოდა როგორც ვარდი უნამოდ; როგორც ჩრდილი, ასე რენოსი თან დასდევდა მაიკოსა; ღამე და დღე ფიქრი ქალისა სულ

რენოზედ იყო.—

ერთს საღამოს რენოს მრავალი დიდკაცობა ჰყვანდა სტუმრად. როდესაც ისინი დაიფანტნენ, რენო მივიდა დაღალული და დაწვა.

ერთს საათს უკან კარები იმის ოთახისა დაურაკუნდა; რენოს გამოეღვიძა, აიხედა ზევით და დაინახა ადამიანი, თავპირი სულ შეხვეული შალითა. რენო შეკრთა და მანამ ხმას ამოიღებდა, მანამ ამან შალი მოიხადა.

—ოჰ! თქუენ მოსულხართ, მაიკო? ვინ მოგიყვანათ ამ დროს? ჰკითხა ვაჟმა.

«სიყუარულმა გამომაბა ფრთები და შენკენ გადმომაფრინა, უპასუხა ქალმა. მითხარი, რენო, ჩემის მოსვლით ბედნიერი ხარ, თუ არა? მგონია გიკვირს ჩემი ამ დროს მოსვლა შენთანა, მაგრამ შენმა ლაპარაკმა ცოლქმრობის ბედნიერებაზედა გამაბედვინა ამ დროს შენთან-მარტო მოსვლა.—როდესაც შენ ჩემზედ ჯავრს დაიწყებ, მე შენთან წამოვალ სამგზავროთ. ამბობენ, საფრანგეთი კარგი ქვეყანა არისო, წინდაწინ იქ წავიდეთ ჰო რენო! უთხრა სიცილით ქალმა და დღეში თითო სოფელი დავათვალიეროთ.—

—ორიც ფეშქაშია, თუ რომ ერთი არა გმარა; უპასუხა ვაჟმა; მაგრამა მე ხვალ ერთს საიდუმლოს გეტყვი, მანამ მაგ ოთახში შედი, მხოლოდ ერთი ფარდა განგვაშორებს მე და შენ. ხვალ მოვილაპარაკოთ დაწვრილებით.—

—ხვალ რა საიდუმლო უნდა მითხრა? რატომ ეხლა არ მეუბნები? უთხრა ქალმა წყენით. მე ხომ ყვავილი არა ვარ მისუნო და დამაგდო, მაგრამ იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ და ამის მიზეზით გემორჩილები და გშორდები ხვალამდის. ამ სიტყვებით ქალმა ასწია თეთრი ატლასის ფარდა და შევიდა მეორე ოთახშია.—

არავის არ შეუძლიან წარმოიდგინოს, თუ რა სახით იტანჯებოდა რენო, როდესაც მარტოკა დარჩა. ღვინისაგან აღელვებულსა, ერთს შექცევაში ეთქო იმას მაიკოსათჳს მრავალი კარგი ამბები საფრანგეთისა, ექო იქაური ხალხი, ქცევა, თავის სიმდიდრე, და ბოლოს გასტუდომოდა სიყვარულშია, რომელიცა გულში სრულებით არ ედო, მხოლოდ სასმელი აჭიკჭიკებდა იმას ამისთანა ტკბილის ენითა, და რას მოიფიქრებდა საცოდავი, თუ მაიკოც მხოლოდ შემთხვევას ეძებდა, რომ დაურიდავად და სინიდისის უტანჯველად მისულიყო

იმასთანა დ~ მიენდო თავისი გამოუცდელი გული იმ კაცისათჳს, რომლისაც ნახვა დ~ გაცნობა ძლივს იქნებოდა ორი კვირა! ბევრსა ნანობდა რენო თავის წამოროშვაზედა, მაგრამ ნათქვამს სიტყვებს ხომ ვეღარ მიიბრუნებდა. ამისთანა მწუხარების ფიქრში ჩაეძინა რენოს გადაღელილი.—

ქალიც მეორეს ოთახში იჯდა გაკაპასებული დ~ ფიქრობდა: იქნება რენო რასაც მეუბნებოდა, სულ იმიტომ რომ უნდოდა მოვეტყუვებინე, უნდა რომ შემომხსნას ქალწულობის სარტყელი, დ~ ბოლოს მიმაგდოს მოხუცებულს მამასა, რომელსაც ჩემი უპატიურება ჩააგდებს მაშინვე საფლავში! მე უნდა ვიქნე მამის მკვლელი! დ~ მთელი საქართველო ჩემზედ იშვერდეს თითსა დ~ პირში მაფურთხებდეს... არა, მე მანამდინ ჩემს თავს არ მივიყვან.—ან ესლავ გამოვართმევ რენოსა ჴელწერილსა, რომ ჯვარი დაიწეროს ჩემზედა, ან... ცოცხალი აღარავის არ ვეჩვენები... ამ სიტყვებითა მაიკო შევიდა რენოს საწოლში დ~ თავს დაადგა; უყურებდა ვაჟის მშვენივრად გაშლილისა ამრამშუმივით თმასა, იმის ფუნჩულა ლოყებს, ბროლის ღაბაბს, დ~ უხაროდა; მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როდესაც ნება ექმნება სვევნით სული შეუგუბოს უმაწვილს რენოსა. ბოლოს ქალმა თვალით ჩაუარა ყელსა დ~ გულსა; დ~ დაიწივლა საშინელის ხმით. ამ კივილზედ რენოს გამოეღვიძა დ~ ნახა რომ გულ გადაღეღილი წევს.—მაშინვე წამოხტა ლოგინიდგან წამოავლო, ხანჯალს ჴელი დ~ მივარდა მაიკოსა.—

—დამკარ, თუ შეგიძლიან! აი გული! უთხრა მაიკომა ვაჟსა: მოუმატე ცოდოს ცოდო, გასვარე დაწყევლილი დ~ დამნაშავე ჴელები შენი ჩემის ქალწულის სისხლით; ჩქარა, ნუღარ ფიქრობ ბევრსა, დამკალ როგორც ქათამი; მე მაინც ცოცხალი აღარ გავალ შენის ხელიდგან...

რენოს ხანჯალი ჴელიდგან გავარდა, დ~ ქალმა წამოავლო ჴელი.

—წადი შინა, უთხრა რენომ ქალსა: მე არავის ვეტყვი ამ უბედურის ღამის შემთხვევულებასა; ხმას არ დაგიგდებ ქრისტიანაში.—

—ქრისტიანაში ხმას არ დამიგდებ?! უთხრა ძულვით ქალმა: განა ჩემთჳს ქრისტიანა არის რამე, დ~ სჳნიდისი არაფერი; ქრისტიანის ძრახვას კი მოვერიდო, დ~ სვინიდისის ტანჯვა კი დავფარო ჩემს სიცოცხლეში? მე კიდევ უნდა ვიცოცხლო უგულო?—ჩემთჳს კიდევ იქნება სიცოცხლე? ერთი გული მქონდა სიყვარულით სავსე, ის სიყუარული შენ-

ზედ დავღვარე, შენ ამომწუწნე, შენ დააშრე, დამრჩა ცარიელი გა-მარი გული, და ეხლა ამ გულით ვისთან მივიდე, ვისღა უთხრა მო-უყვარხარ, ვის მივცე გაყინული გული და ხელი. არა გცხვენიან, კაჯეჳ მეუნზნები ცოცხალი იყავით! შენ სულ ნამუს გაწყვეტილი ქალი ყოფილხარ; ღირსი არა ხარ, რომ შენ ეგ ძუძუები გასხსამს.—შეგა-ხმეს ეგ ძუძუები, რომ მე ეგენი არ დამენახა და არ გამეფუჭნა თავი;—მაგ ძუძუებიდგან რძე კი არა, საწამლავი გამოგდის და ისე დუშავ მგონია ჩემს მსგავსთა ქალთა.—ოჰ! ღმერთს გაეცი პასუხი. რა დაგიშავე, რათ გამოიარე მთები, გამოცურდი მრავალს ზღვებსა და მოხველ საქართველოში ჩემს სასიკვდილოთ.—ოჰ! შეჩვენებული იყავ ღჳთისაგან!—

ახლა მოიტანე საწერ კალამი და ქაღალდი, უთხრა ქალმა მრისხა-ნის სახით: დაწერე მამა ჩემთან, რაც მე გითხრა:

ვაჟი დაემორჩილა.—დაწერე, უთხრა ქალმა:

«საყვარელო მამავ!

ნუ შესწუხდებით ჩემთჳს; მე ღირსი არა ვარ შენის წუხილისა. როდესაც თქუენ წაიკითხავთ ამ წიგნსა, მანამ მე მკვდარი ვიქმნები, ნუ მოსძებნით დამნაშავესა ჩემის სიკვდილისასა: მე თვითონ მოვი-კალ ჩემი თავი. მიზეზი ჩემის სიკვდილისა დარჩება საიდუმლოდ, ჩემ და ღვთისა შორის! რადგანაც მე ღირსი არა ვარ წმინდა ადგილს დამარხვისა, მაშ ჩამფალით სადმე ჩუენი ბაღის ბოლოს. ნუ აუიდ-ვინებ მარმარილოს ქვასა ჩემთჳს; მხოლოდ ერთი უბრალო ლოდი და პატარა ჯვარი კმარა ჩემთჳს.—ილოცე ჩემის სულისათჳს, იქნება ღმერთმა შემიბრალოს შენის ლოცვით და მაღირსოს ნეტარება და დამიხსნას ცოდვილი,.. მშვიდობით, თქუენი....»

როცა ეს გაათავა, ვაჟმა კალამი მიჰსცა ქალსა, რომ ხელი მოაწ-ეროს.—

ქალმა გამოართო კალამი და უთხრა: აბა რა მოაწერო, დავწერო, თქუენი ქალი მაიკო, თუ საფრანგეთის ელჩის მეუღლე. აბა რა მოვაწერო..,. ქალმა გაიხარხარა მწარედ.—ვაჟი იდგა თავ დაღუნვილი და ხმას ვერ იღებდა.—ეს წიგნი მამა ჩემს მიეცი, როცა მე მოვკვდე. უთხრა ქალმა. და მოაწერა თავისი სახელი.—

—განა უნდა მოკვდე! უთხრა გაოცებით ვაჟმა.

მე უნდა ავასრულო ჩემი ვალი, უნდა სისხლით მოვწმინდო ჩემი უპატიურება, ქალმა ამოიღო ხანჯალი.—

ვაჟს უნდოდა ხელი ეტაცნა ქალისათჳსა; მაგრამ ერთმა შეხედულებამ სულ ღონიდგან მოშალა ვაჟი და ხელი ველარ გაათვაცურა.—ყოველის მხრიდგან ადგილი მომითხარე და დამაყენე ერთს კენწეროზედა; საითაც მივიხედამ, სულ უძირალი ჭკები მაქვს ფეხ ქვეშა, და ეხლა მეუბნები ნუ მოკვდებიო; ეხლა მაძლევ ხელსა რომ მომარჩინო? უთხრა ქალმა გაჯავრებით.—ვაჟს არც კი ესმოდა ქალის ლაპარაკი და როგორც მეხდაკრული იდგა უძრავად ერთს ადგილს. ბოლოს მოესმა ხმა, რომ ძირს რაღაც დაეცა იმის ფეხებთან. სისხლი შეესხა ვაჟსა პირზედა და თვალები გაახილა. ნახა მაიკო ხანჯალ დაცემული გულში წევს იმის წინ.—

გათენდა, ხალხი შევიდა ვაჟის სანახავათ. ნახეს რომ ისევ იმ ერთს ადგილს იდგა ფეხ მოუცვლელი და დასცქეროდა მკვდარს ქალსა მწუხარედ.—

რენო და იმის მოხამსახურე, დიდ ულვაშებიანი კაცი, მაშინვე დაიჭირეს და მიჰგვარეს ერეკლესა. იმან წვრილად გამოჰკითხა და ბოლოს გაიგო, რომ დიდ ულვაშებიანი კაცი იყო პირველი საფრანგეთის ავაზაკი, ციხიდგან გამოპარული, და ელჩიცა იმის ცოლი, კაცურად ჩაცმული.—ამ ქალს ბევრის საცდელისაგან დაეხსნა თავისი ქმარი, მაგრამ საქართველოში კი იპოვნეს თავიანთ სიკვდილი. ერეკლემ უბრძანა მათი ჩამოხრჩობა.

## სხვა და სხვა ამბავი:

—მ ა ი კ ო.

---

## 1866 წლის

**«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:**

ტფილისში, ადგილობრივ გა-მოგზავნელად **6** მან. დამატებით. **7** მან.

სხჳა ქვეყნებში გაგზავნით, და-უმატებლივ **7** მან. დამატებით. **8** მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უ-მორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:
«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою. 1866 г. 26 Февраля.